



ა. გომელიძე

მეცნარეობა-მეცნიერება ქვედ  
საქართველოში აკერძოვიანი  
მასაღების მიხედვით

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт истории имени И. А. Джавахишвили



Л. В. Б о х о ч а д з е

# Виноградарство и виноделие в древней Грузии по археологическим материалам

(С древнейших времен до XII—XIII вв. н. э.)

Издательство Академии наук Грузинской ССР

Тбилиси—1963



პ. გომილიძე

# მეცნარეობა-მეზონეობა ქვედ საქართველოში არქეოლოგიაზ მასაღების მიხედვით

ოპცელაცი დოკოდან ას. 6. XII—XIII საუკეთესოები

569.96 (47.922) + 551.791 S6 (C 41)  
ბ. 571

ჭირმატუბარე ნაშროღში მოცემულია შეკვენეობა—  
მელიონეობის წარმოშობა და შემსგროში განხორციელდა  
საქართველოში არქოლოგიური გათხრებით მოპო-  
დებული მისალების მიხედვით. ეძველება ურიკოდან  
ა. წ. XII—XIII საუკუნეებდა, მოცემულია ცნო-  
ბები კალტტრიული მევენახობის სამშობლის, შეკ-  
სებ, გამზილული ვაზის კულტურის კონკრეტულების  
ძირითადი საფუძვლები, ამ საფუძვრებისათვის შე-  
სატყვისი შეკვენეობის ფორმები და კვანძის სხვ-  
ლისთან დაკავშირდებული სასხლავი იარაღები, გათ-  
რების დროს მოპოვებული ყურძნის წილები, ჩა-  
მილის შესწავლისაც მიახლოებითა დაგვირილი ა. წ.  
I ათასწლეულის შეუ ხანგში საქართველოს ტ-  
რიტორიაზე გაფრცვდებული ზოგიერთი ვაზის კოში.  
მელიონერმათან დაკავშირებით კონკილიულია შე-  
კრეობისათვის აუცილებელი ინერტუ-ჭურჭელი  
საწინახელი, მისი ძირითადი ტიპები; საქაფერი; თალარი  
და ლინის დასაფრთხეებულ-შესანარი ჭურჭელი —  
შეკვირი. შესწავლილია განთხარი მარნები და მისი  
ტიპები. მოცე ცნობების სახით მოცემულია შეკვ-  
ენა-მელიონერმათან დაკავშირებული ზოგი არქ-  
ოლოგიური და ერთკაფიული შესალება.

გათხრებით მოპოვებული მატერიალური ნაშენება:  
შესწავლის საფუძველზე აცტრი იძლევა როგორც  
მოსაზრებებს და თარიღებს მევენახობა-მელიონერმა-  
წარმოშობისა და განხორციების შესახებ საქართვე-  
ლოში.

15297.167

## შინასიტყვაობა

საქართველო შორეული წარსულისა და დიდი კულტურის მქონე ქვეყანაა. იგი თავის არსებობის შანძილზე არ შემოფარგლულა მარტო პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული ასპარეზით, არამედ მეურნეობის განვითარების სფეროში, კერძოდ კი გარეულ მცხა-რეთა ხელოვნური შექმნებისა და მოშინაურების საქმეშიც ერთ-ერთი მოწინავეთაგანი იყო.

როგორც უახლესი მეცნიერული მონაცემებით იჩვევა, საქართველოს ტერიტორიიაზე მცხოვრებ ხალხს გარეული წვლილი აქვს შეტანილი საკაცობრივი საუნიტ შექმნაში როგორც კულტურის, ისე მეურნეობის სხვადასხვა დარგის წარმოქმნისა და განვითარების საქმეში.

მეურნეობის ერთ-ერთ უძველესს, ლონიერსა და განვითარების გარეული საფეხურიდან წამყან დარგს წარმოადგენდა მეექნახეობა-მელექინეობა. ვაზი ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე უფრო სასარგებლო კულტურული მცხარეა, მიტომაც მეექნახეობა უძველესი დროიდანვე აინტერესებდა აღამიანს არა მარტო ვაზის ლამაზი შესახედაობისა, არამედ იმ ნაყოფის გამო, რომლისგანაც სხვადასხვაგარი პროცესების მიღება სურდა.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას, არქეოლოგური მასალების საფეხურზე, რომლის გვერდით გამოყენებულია ეთონგრაფიული მისალაც, წარმოადგენა ვიქინიოთ მეცენახეობა-მელექინეობის წარმოქმნისა და განვითარებაზე ჩვენში.

ნაშრომის მთლიანად გამოქვეყნება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო კერ მოხერხდა, იგი ძალზე შეძველილად დაისტამბა და მისი მთლიანობაც ნაწილობრივ დაირღვა.

მოუხელევად ასეთი შემცირებისა, წიგნს შეუძლია მეტნაელებად სწორი წარმოადგენა შეუქმნას მკითხველს საქართველოს ტერიტორიაზე მეექნახეობა-მელექინეობის დარგის წარმოშობისა და განვითარების საყითხების შესწავლის დროს.

ავტორი დარწმუნებულია, რომ წიგნის, როგორც პირველ კრებულის ექნება სისრულისა და საყითხის გადაწყვეტის პრეტენზია. იგი დაზღვეული არ იქნება ნაკლისაგან, ამიტომ ავტორი მადლინის გრძნობით მიიღებს ცველა საქმიან შენიშვნას და გაითვალისწინებს მას წიგნის შევსებული, შესწორებული და მისი მთლიანი გამოცემის დროს.

ავტორი დიდადაა დავალებული აქად. ი. ჭავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის ტექნიკოლოგიის ლაბორატორიის გამგის ი. გ დ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ, რომლის უშეალო რჩევით და მითითებებით იქნა დაწყებული აღნიშნულ ნაშრომშე მუშაობა, ავტორი ასევე დავალებულია პროფ. მ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ, რომელმაც ხელნაწერში წაიკითხა ზოგიერთი პარაგრაფი და საყურადღებო მითითებებიც მოვცა. ავტორი გამსაკუთხებით დიდადაა დავალებული ა. ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს ა გ ა ნ, რომელმაც დიდი სამუშაო იტვირთა და წინამდებარე წიგნს რედაქტირა გუკრთა, არაერთი მითითება და განმარტება მოვცა მუშაობის პროცესში. ავტორი ასევე დავალებულია არქეოლოგთა მთელი კოლექტივისაგან, რომელიც წიგნშე მუშაობის დროს მას გულებვად სთავაზობდა არქეოლოგიურ მასხლებს და მონაწილეობდა ზოგიერთი ნაწილის განხილვაში.

წინამდებარე გამოცემისათვის ნახაზები შესრულებულია მხატვარ ვ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ს, ხოლო ფოტოსურათები მ. კ ო შ ლ ი ვ ს კ ი ს ა დ ა ნ ე ს კ ო რ ი დ ი ე ვ ი ს მიერ.

• ვ ტ ი რ ი

ავტორი დარწმუნებულია, რომ წიგნის, როგორც პირველ კრებულის ექნება სისრულისა და საყითხის გადაწყვეტის პრეტენზია. იგი დაზღვეული არ იქნება ნაკლისაგან, ამიტომ ავტორი მადლინის გრძნობით მიიღებს ცველა საქმიან შენიშვნას და გაითვალისწინებს მას წიგნის შევსებული, შესწორებული და მისი მთლიანი გამოცემის დროს.

ავტორი დიდადაა დავალებული აქად. ი. ჭავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის ტექნიკოლოგიის ლაბორატორიის გამგის ი. გ დ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ, რომლის უშეალო რჩევით და მითითებებით იქნა დაწყებული აღნიშნულ ნაშრომშე მუშაობა, ავტორი ასევე დავალებულია პროფ. მ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ, რომელმაც ხელნაწერში წაიკითხა ზოგიერთი პარაგრაფი და საყურადღებო მითითებებიც მოვცა. ავტორი გამსაკუთხებით დიდადაა დავალებული ა. ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს ა გ ა ნ, რომელმაც დიდი სამუშაო იტვირთა და წინამდებარე წიგნს რედაქტირა გუკრთა, არაერთი მითითება და განმარტება მოვცა მუშაობის პროცესში. ავტორი ასევე დავალებულია არქეოლოგთა მთელი კოლექტივისაგან, რომელიც წიგნშე მუშაობის დროს მას გულებვად სთავაზობდა არქეოლოგიურ მასხლებს და მონაწილეობდა ზოგიერთი ნაწილის განხილვაში.

წინამდებარე გამოცემისათვის ნახაზები შესრულებულია მხატვარ ვ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ს, ხოლო ფოტოსურათები მ. კ ო შ ლ ი ვ ს კ ი ს ა დ ა ნ ე ს კ ო რ ი დ ი ე ვ ი ს მიერ.

## შესაჩაღი

კულტურული მცენარეულობა განუყრელადა დაკავშირებული კულტობრიობის მატერიალურ კულტურასთან, მიტომ კულტურული მცენარეების ისტორია წარმოადგენს კულტობრიობის ისტორიის ნაწილს<sup>1</sup>. და მისი შესწავლა საზოგადოების განვითარებისაგან მოწყვეტით, დამოუკიდებლად შეუძლებელია.

იმ ხანისათვის, როდესაც დამწერლობა არ არსებობდა, როგორც საზოგადოების, ისე მიწათმოქმედების საწყისისა და მისი შემდგომი განვითარების ისტორიის გარკვევა მხოლოდ შემორჩენილი შრომის იარაღების შესწავლითა შესაძლებელი, რადგან, „რა მნიშვნელობაც ქველების ნაშთების აგებულებას აქვს გამჭრალი ცხოველების გვარეთათა თარგანიზაციის შესასწავლად, ისეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა თაშტებს გამჭრალი საზოგადოებრივ-ცეკვო-მიურ ფორმაციათა შესასწავლად“<sup>2</sup>, ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებულ მისალებს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია საზოგადოების განვითარების პროცესის აღდგენა და მეურნეობის ამა თუ იმ დარგის საწყისი საფუძურებისა და შემდგომი განვითარების შესწავლა.

საქართველოში მეცნიერობა-მეცნიერობის დარგის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს აკად. ი. ვ. ჭავახი შვილის ფუნდამენტალურ ნაშრომს—„მეცნიერობა“, რომელიც საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მეორე წიგნის დიდ ნაწილს მოიცავს (315 გვ.)<sup>3</sup> მართლია, ნაშრომში არქეოლოგიური მასალები არ არის განჩილული, მაგრამ, იგი წარმოადგენს აღვილობრივ და უცხოურ შერილობით

<sup>1</sup> П. М. Жуковский, Культурные растения и их сородичи, М., 1950, გვ. 5.

<sup>2</sup> ქ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბილისი, 1954, გვ. 230.

<sup>3</sup> ი. ვ. ჭავახი შვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1935, გვ. 289—604.

წყაროებზე დამყარებულ საფუძვლიან გამოკვლევას, მასში წარმოდგრილი მეცნიერების განვითარება და შესწავლილია მეცნიერებული ბასთან დაკავშირებული ცველა პროცესი: გამოკვლეული გამოცვლის შეზღუდვის სახით და მათი სადაურობა; აღწერილია საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი ვაზის ცველა ტიპი და წარმოდგრინილია მათი მპელოგრაფია. ნაშრომში განხილულია ჩვენში გავრცელებული გარეული ვაზის ქართული სახელები: კარიკინა, უსურვაზი, ძლუმ-ბლი, ბურძლუმი (პერეთში, საინგილოში), მორცხული (გურიაში), ბურუხი და შხერი (სამეგრელოში). აქელან ცველაზე გავრცელებულია ძლუმ-ბლი, რომელიც ძველ ქართულ-შიაც იყო და თანამედროვეშიც არის შერჩენილი. გამოკვლეულია ვაზის ვასხვლის ძველი წესები და სასხლევი იარალები (სავაზე, სასხლევი, წალდი და ბურჭული); ვაზის ძირისა და მისი ნაწილების სახელები, რომლებიც მეცნიერების სხვა ტერმინებთან ერთად უცხო ენიდან შეთვისებული არ არის. მასვე ვანხილული აქვს, როგორც თვით სხვლა, ასევე მოსაპრელი იარალისა და ჩქების სახელები: სასხლავი, წალდი, საკაზე, სამაშულებელი, საკავებელი, საკურაველი და გაბრული, დაასახრულ თვით ნეკიც — ცველა მათგანი ნამდვილი ქართული სიტყვებია<sup>4</sup>.

წარმოებულმა დალევამ, მეცნიერებასთან დაკავშირებული ჰასხელებისა და სახელწოდებათა ლინგვასტრუქტურა ანალიზმა, აღვილობრივი ვაზის ჯიშების სიმრავლემ (420 ჯიში), მკვლევარი იმ დასკვნამდე მიიყვანია, რომ საქართველო მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ ცენტრად მიიჩნია.

აღნიშნული ნაშრომის მეცნიერული ლიტებულება ფასდაუდებელია ქართული მეცნიერების შესწავლის საქმეში. აյად, ივ. გვეხმილის, რომელმაც მეცნიერების მრავალ დარგს ჩაუყარა საფუძველი და მათ შესწავლას კაპიტალური ნაშრომები მიუძღვნა, არც მეურნეობის აღნიშნული დარგი გამორჩია მხედველობიდან და მისი შესწავლა საფუძვლიანი გამოყვლევით თანამედროვე მოთხოვნილებას სიმაღლემდე იყვანია.

პირველი მკვლევარი, რომელმაც აქეოლოგიურ მასალებში მეცნიერებასთან დაკავშირებული სასხლევი იარალი გამოიცნო, ა. ა. ა-ქიძე იყო მან ურიათებანში შემთხვევით აღმოჩენილ, ხოლო ბაკურციხეში მის მიერვე გათხრილ მასალებში ნამცლების ერთი

<sup>4</sup> ივ. გვეხმილები, დასტ. ნაშრ., გვ. 360.

<sup>5</sup> აქვაზ, გვ. 603.

წევბა გამოყო და ვაშის კულტურას დაუკავშირა. ამ რიგის თარიღი  
ძლიერ პეის ნამგალს, „სავაზე ნამგალს“ ან „სასხლავ ნამგალი“  
რიგი ფაქტების და ცნობების მოშველიერით ფტორს დატოვის გადაწყვეტილების  
შინანია, რომ ბაკურიანები იღმოჩენილი იარღი ნამგალი კი ამ  
არის, არმედ სასხლავია, უფრო სწორად — „სასხლავი ნამგალია“,  
გამოყენებული მევენახეობის კლასიკურ იდგილის უძველეს ხანაში<sup>6</sup>  
აღნიშნული იარღის შესწავლის საფუძველზე ავტორი სამართლა-  
ნად დასკვნის, რომ ა) საქართველოში უძველესი დროიდანვე გან-  
ვითარებული იყო მევენახეობა, ბ) ვენახის სხვლა ძველ ქართველებს  
ქრისტიანული წელთაღრიცხვის წინათაც სურდნიათ, გ) სასხლავიდ  
ძველ დროში ნამგლისებური იარღები ჰქონიათ, რომელიც მე-19 ს.  
დასასტულამდე შემორჩენახა საქართველოს ყველა კუთხეში.

მევენახეობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მანიძე უცნობა  
სასხლავი იარღის ასტებობა დაადასტური ა. აფაქიძემ. ეს იარღი  
გავრცელებული ყოფილა სამეცნიერო და „ცხემლარი“ ეწოდება.  
მას მრგვალი, მოკლე ტარი, მცრელი ფხა და უოველოფის კაუჭი ნის-  
კარტი აქვს. გარდა ვენახის სხვლისა მისი დანიშნულება იყო  
„კარტარუა“ და „ტოტუა“. — ტოტების ბელვა<sup>7</sup>.

მევენახეობასთან დაკავშირებული რიგი საყითხებისა განხილუ-  
ლი აქვს პროფ. ბ. კუ ფ ტი ნ ს, ა. აფაქიძის მიერ აღმოჩენილი და  
„სასხლავ ნამგლებული“ მიჩნეული იარღების განხილვის დროს.<sup>8</sup>

სამეურნეო დანიშნულების იარღი — წილდი წერილი ტყის, უკალ-  
ბარდების და ბუჩქნარის ვასაკაფავად იწმარებოდა. იგი მევენახეო-  
ბასთან არის დაკავშირებული და ნივარიულებია მისით მიღლარი ფორ-  
მის ვენახის გასხვლა. პროფ. ბ. კუ ფ ტი ნ ი დამლიგომში აღმოჩე-  
ნილი ვეიანბრინგოს ხანის იარღის შესახებ, რომელიც მან წალდად  
მიიჩნია, აღნიშნავდა. თუ ამ შემთხვევაში დაუცვებო, ამ  
წალდისაც მევენახეობასთან დაკავშირებული ფუნქცია ჰქონდა,  
შეიძლებოდა დაბლიგომის წალდი მიღვეჩნია იმის მოწმედ.

<sup>6</sup> ა. ა. კ ფ ტ ი დ. ბაკურიანის არქეოლოგიური ძეგლები, საქანდაგაშო ღა-  
ნერტაცია, აზნაურის, 1940 წ. პარენაზე ნამეტი, 66.

<sup>7</sup> ი ქ ვ ვ. 83. 73.

<sup>8</sup> ი ქ ვ ვ. 73.

<sup>9</sup> ი ქ ვ ვ. 73.

<sup>10</sup> Б. А. Куфтии. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. Խայ-սահմանական թշնամութեան նոամბց. Ը. XIV—Ե. տի., 1944.

რომ ნაციხერის ფერდობზე გვიან პრინცის ხანაში ვენახები ყოფილი გაშენებული.<sup>11</sup>

პროფ. ბ. კუ ფ ტ ი ნ ს განხილული აქტები დასავლეთ კულტურული ლოში აღმოჩენილი ე. წ. მოხრილი დანებიც,<sup>12</sup> მაგრამ მთ იგი სასა-ლივად არ მიიჩნევს, რადგან ვეტორის მიხედვით დასავლეთ საქარ-თველში სავენახე იარაღებს სხვაგვარი გენეზისი აქვთ აյ მაღლარი ვენახების არქაული კულტურის გამო. იქ დღემდე ტარგრძელი წალ-დი-სასხლავები თამაშობს მევენახეთა უნივერსალური იარაღის როლს.-ო.<sup>13</sup>

დაბლაგომში აღმოჩენილი ქვევრსამარები შეისწავლა ნ. ხ თ შ-ტ ი რ ი ა მ. მისი მოსახრებით ქვევრებს თავდაპირეველად სამეურ-ნეო მიზნებისათვის, ღვინის, მარცვლეულობის და სხვათა შესანა-ხად იყენებდნენ.<sup>14</sup>

6. ხორტარის მიერვე იქნა შესწავლილი ჩხოროწყუში აღმოჩე-ნილი არქეოლოგიური მასალები. რეანის მოხრილი დანები მან ყურძნის საერთ იარაღად მიიჩნია.<sup>15</sup> ნისკარტიანი და დაჩვრეტილ-ყელიანი ჭურჭლები მატრის სასმისებად, ქვევრები კი ღვინის შესა-ნახავად. ვეტორის დასკვნით, ჩხოროწყუს დფილას ძველთავანეე ყოფილა მოსახლეობა. ძვ. წ. III—I სს. სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან ერთად იცნობდნენ უკავე ისეთ ინსტრუმენტ კულ-ტურასაც, როგორიც ვენახია. ჩასაც მოწმობს პატარა ფარ-თობზე აღმოჩენილი რეანის დანები და ქვევრები<sup>16</sup>.

შევენახეობა-მელეინეობასთან დაკავშირებული მასალები აღმო-ჩნდა აგრეთვე სოფ. არხილოსკალოს მიღიმოებში, ალაზნის ველზე. აქ მოპოვებული მასალები ძველი და იხალი წელთაღრიცხვის მიჯ-ნით თარიღდება. აღსანიშნავია რეანის მოხრილი დანა, სასხლავი<sup>17</sup>.

<sup>11</sup> Б. А. Куптии. Материалы к археологии Колхиды. т. II. Тбилиси, 1950, გვ. 117.

<sup>12</sup> Б. А. Куптии. Материалы к археологии Колхиды. т. I. Тбилиси, 1949, გვ. 40, т. II, გვ. 37.

<sup>13</sup> Б. А. Куптии. დასახ. ნაშრომი, გვ. 37—38.

<sup>14</sup> Н. В. Хостарик. Древнее поселение в Даблагоми. საქანდიდატო დოსტორტაცია, მანქანაზე ნაბეჭდი, თბ. 1941, გვ. 14.

<sup>15</sup> Н. В. Хостарик. Чхорიკу-могильник с трупосожжением (захо-ронение в урнах) и остатки поселения, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1941, ნაკ. II, გვ. 80.

<sup>16</sup> ი ქ ვ. გვ. 87, 88, 91—92.

<sup>17</sup> გ. ნიორ რაძე, ალაზნის ველის გათხრები, თბილისი, 1940, გვ. 20, ტა. XIII, ტაბ. XIIIп.

ნისკარტიანი, საწურიანი ხელადა-სასმისები<sup>18</sup> და სხვა. პროფ. გ. ნ. ი. რაძე ე აღნიშნავდა, რომ ამ კერამიკის მქონე ხალხს კარგად ცეკვაზე განვითარებული მიწათმოქმედება, იცოდნენ ვაზის მოვლაც რაზეც უდიდეს დაც მიგვითითებს სხვადასხვა სახის საღვინე ჭურჭელი.<sup>19</sup> ბერძნები მართა მართვის გამოყენებული აქცის მოსახრება, რომ ამიერკავკასიაში სამარხიად გამოყენებული ჭურჭლები განკუთვნილი იყო უმთავრესად ლვინისა და სხვა სამეურნეო პროდუქტების შესანახავად (სამეცნიეროში — „ლაგვანი“, იმერეთში — „ჭური“, აღმოსავლეთი საქართველოში — „ქვევრი“, აზერბაიჯანში — „ქემუბი“, სომხეთში — „კარასი“).<sup>20</sup> იგივე მკვლევარი სამთავროს სამაროვანშე აღმოჩენილი ქვევრსამარხის ქვევრებს საღვინე ჭურჭლებად მიიჩნევდა და მიუთითებდა, რომ ისინი მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების შესანახვადაც გამოყენებოდა.<sup>21</sup>

მევენახეობის ისტორიის შესწავლის არქეოლოგიური მასალების მიხედვით სკეციალური ნაშრომი მოუძღვნი გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ მ ა. მან პირველმა აღნიშნა, რომ ქვევრსამარხის ქვევრი მის მეპატრონებს ეკუთვნის და ქვევრში მევენახე მიწის მუშა უნდა იყოს დამარხული.<sup>22</sup> მანვე აღძრა საკითხი მიწის კერძო საკუთრების შესახებ მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებით, რაც დაახლოებით ძვ. წ. III—II საუკუნეებისათვის იდარაუდა. მან ყურადღება მიაქცია საღვინე ქვევრების გამოცნობას რეცხვის დროს წარმოქმნილი ქვევრის გეერდის ხომიანობის მიხედვით. მანვე მევენახეობა-მეღვინეობის საწყისები ძვ. წ. II ათასწლეულში გადაიტანა.

რამდენადმე უფრო ადრე, პროფ. კ. მოდებაძე მ არქეოლოგიური მასალების გამოყენებით საქართველოს ტერიტორიაზე კულტურული მევენახეობა ივარაუდა ბრინჯაოს ხანისათვის, ძვ. წ. II ათასწლეულისათვის.<sup>23</sup> თუმცა მის ნაშრომში დაშვებულია ზოგიერთი უზუსტობა არქეოლოგიური მასალების განხილვის დროს.

<sup>18</sup> გ. ნიორაძე, აღნინის ველის გათხრები, თბილისი, 1940, გვ. 75.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 95.

<sup>20</sup> М. Иващенко. Кувшинные погребения Азербайджана и Грузии. Изв. АН Аз. ССР, Баку, 1947 г., № 1, გვ. 73.

<sup>21</sup> М. Иващенко. Кувшинные погребения Грузии. рукопись, გვ. 103—107.

<sup>22</sup> გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ მ ა. მევენახეობის ისტორიისათვის საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ისტორიის ინსტიტუტის შტომები, ტ. IV, ნაკ. 2, 1959, გვ. 144.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 145.

<sup>24</sup> К. В. Модебадзе. Истоки виноградарства и виноделия Грузии. Виноделие и виноградарство СССР, Москва, 1948, № 6, გვ. 46.

მევენახეობა-მელეინეობის ისტორიას შეეხო ვ. ს ტეინი<sup>25</sup> / რომელსაც არქეოლოგიური მასალებიც აქვს გამოყენებული. საზოგადო, ფრთხოს ამ მიმართებით პროფესიული განათლების მიზანში ნის, რის გამოც არამარტად, ზოგჯერ კი დამასინებულ დროის მასში წარმოდგენილი ამა თუ მშ მასალის ინტერპრეტაცია, დალაგებული არ არის არქეოლოგიური მასალები, რაიმე გარეული საკითხის შინედრით. იგი ზოგჯერ გვთავაზობს ისეთ არქეოლოგიურ მასალებსაც. რომელებიც საეჭვოა ან აღმოჩენილი არ არის, და მათზე დაყრდნობით თამაში დასკვნები გამოიაქვს.<sup>26</sup>

მევენახეობა-მელეინეობის საწყისი საფეხურების ისტორიულ მამოხილვას შეიძლენა პროფ. გ. ბ ე რ ი ძ ი ს ნაშრომები. ერთი მათგანი დაბეჭდილია მებალეობის, მევენახეობისა და მელეინეობის ინსტრუმენტის შრომებში<sup>27</sup>. ხოლო მეორე წარმოდგენის მონოგრაფიის პირველ და საემათდ მოზრდილ თავს<sup>28</sup>. ორავე ნაშრომი თათქოს ეყარება არქეოლოგიურ და ისტორიულ მასალებს, მაგრამ მათი გამოყენებისას ავტორი სამწუხაოდ ბევრ უზუსტობას უშევებს, ამდენად მათი მეცნიერული ღირებულება ძალზე დაბალია.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით მევენახეობა-მელეინეობისთან დაკავშირებული რიგი საერთებია განჩილული გ. ც ქ ი ტ ა შ ვ ი ლ ი ს,<sup>29</sup> დ. ხ ა ხ ტ ა ი შ ვ ი ლ ი ს,<sup>30</sup> ლ ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ს<sup>31</sup> შრომებში, რომელებიც ჯერ კიდევ გამოიქვეყნებელია.

1959 წ. გამოვიდა ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი საქართველოს არქეოლოგის სახელმწიფო ანტრანი, სადაც სათანადო თავებში გაშეუქმნებულია მევენახეობა-მელეინეობასთან დაკავშირებული საერთები და გაკეთებულია მნიშვნელოვანი დასკვნები.<sup>32</sup>

<sup>25</sup> ვ. ს ი ჭ ი ნ ი კ ა, მასალები მევენახეობისა და მელეინეობის ისტორიისთვე საქართველოში, თბა-ლისა, 1960, გვ. 26—58.

<sup>26</sup> გ. ბ ე რ ი ძ ი ს, მევენახეობის საწყისების მოკლე ისტორიული მიმოხილვა საქართველოში, შემალების, მევენახეობისა და მელეინეობის ინსტრუმენტის შრომები, ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 473—491.

<sup>27</sup> Г. Беридзе. Вина Грузини. Тбилиси, 1962, გვ. 3—30.

<sup>28</sup> გ. ც ქ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, შორიშის მეექანი ანტრანი ხანში (ჰართლის ხამეტის ისტორიული გეოგრაფია), 1961.

<sup>29</sup> დ. ხ ა ხ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, თბალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების შეურჩევის ისტორიისთვის, გამოშევეუბი ბეჭედის პროცესში.

<sup>30</sup> ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ურმიშის ნაქალაქების არქეოლოგიური გათხრები, მაკლე ანგარიში, 1959.

<sup>31</sup> ს ი ჭ ი ნ ი კ ა რ ქ ი რ ი ს თ გ ი ა, თბილის, 1959.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს ქართველი ოქეოლოგების ის ნამდებობი, რომელ განსილულია წლების მანძილზე გათხრების  
მოპოვებული მასალები, შოკემულია ამ მასალების მეცნიერებული  
ანალიზი და გაშექებულია მრავალი საკითხი საზოგადოებრივ მასალების  
მიწათმოქმედების განვითარების რომ შეეხება. მკვლევარებიდან  
შეიძლება დასახელოთ: ა. აფაქიძე,<sup>22</sup> გ. გობეგიშვილი,<sup>23</sup>  
ალი,<sup>24</sup> ალექსანდრეგი,<sup>25</sup> გ. ლომთათიძე,<sup>26</sup> ლ. მუსხე-  
ლიშვილი,<sup>27</sup> ლ. ჭილაშვილი<sup>28</sup> და სხვ. აღნაშნულ აეტორების  
თავით შრომებში მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული  
საკითხები სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდიათ, მაგრამ გა-  
ნათხარი მასალების შესწავლისას გაშეუქებულია ამ დარგთან დაკავ-  
შირებული მნიშვნელოვანი საკითხებიც.

სამწუხაროდ, ზემოთ დასახელებულ აეტორთა ნაშრომების ფარ-  
თო განხილვა, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კერ მო-  
ხერხდა, თუმცა ასეთი ხსნათის ნაშრომები წინამდებარე შრომის  
საქმიანდ კრიულადაა გამოყენებული და სათანადოთაც არის შექ-  
სებული.

<sup>22</sup> ა. აფაქიძე, საქართველოს უმცესესი კულტურის მანდ არქეოლოგიური  
აღმოჩენათა შექმენე, თბ., 1956.

<sup>23</sup> ა. აფაქიძე, მცხეთის ქართლი, სამცემის მეცნიერების დადაქალაქი, თბი-  
ლისი, 1959..

<sup>24</sup> გ. გობეგიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართვე-  
ლოში, თბ., 1952.

<sup>25</sup> ა. ალი, კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლის, სოხუმი,  
1953. ა. ალი, კალანდაძე, შექეოთის არქეოლოგიური კენტრიულის 1957 წ. კო-  
ნანის შედეგები (ხელნაწერი), 1958.

<sup>26</sup> ლ. ჭილაშვილი, მცხეთის არქეოლოგიური კენტრიულის 1958 წ. გერ-  
იანის ძირითადი შედეგები (ხელნაწერი), 1959.

<sup>27</sup> გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულ-  
ტურული დასახითობისათვის ახალ შელთაღრიცხვის I—III საცენტრებში, ისტ-  
ოსტრ, შრომისგზი, ტ. 1, თბ., 1955.

<sup>28</sup> გ. ლომთათიძე, რესთავში წარმოდგენდო არქეოლოგიური თხრის უმნი-  
შენებლივანების შედეგები, მასალები საქართველოს და კუკასის არქეოლოგი-  
სათვის, ტ. 1, თბ., 1956.

Г. Ломтатидзе, Археологические раскопки Михета, Тбилиси, 1955.

<sup>29</sup> ლ. გუსტავ ლიშვილი, დაბანისა, ქალაქის ისტორია და ნაქალაქრის  
აღწერა, მთა რესთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938 წ.

ლ. მუსხელიშვილი, გედარები, თბილისი, 1954.

<sup>30</sup> ლ. ჭილაშვილი, კალაქი რესთავე, თბ., 1958 წ.

## თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

80306ახორბა

ზოგადი ცენტრული გაზის კელტისის სამშობლოს უსახია

შეეღა მცენარეს თავისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია აქვს, ასეთივე ისტორია აქვს ვაზის წარმოშობისა და მის განვითარებას. ეს პროცესი მით უფრო სინტენტული ჩვენთვეს, რომ მრავალ მკვლევარს, რომელიც კულტურული ვაზის წარმოშობის საკითხს ეხებიან, კავკასია და, კერძოდ, საქართველო ერთ-ერთ ისეთ გეოგრაფიულ კუთხედ მიაჩნიათ, საღაც შორეულ წარსულში მოხდა ველური ვაზის ფორმიდან მის კულტურულ გიშებზე გადასვლა.

თვით ვაზის, როგორც მცენარის წარმოშობა შორეულ გეოლოგიურ ეპოქის მიეკუთვნება და ჩვენგან ამდენიმე ათეული მილიონი წლითაა დაშორებული. მისი წარმოშობის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ პალეონტოლოგის მონაცემების მიხედვით, რომელიც განმარტებულ ცხოველებს და მცენარეულობას სწავლობს.<sup>1</sup>

ზედაცარცულ პერიოდში არსებობდა მცენარე, რომლის ფოთლის მოყვანილობა ძლიერ ჰგავს თანამედროვე ვაზის ფოთლოს. მესამეულ პერიოდში კი (რამდენიმე ათეული მილიონი წინათ) ვაზი გაერცელებული იყო აზიასა და ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში და კუნძულ გრენლანდიაზე. მესამეულის მიწურულში, ზედა პლიოცენში, ევროპაში ჩედება ვაზის სახე V. vinifera ssp. silvestris Gmel., რომელიც შემონაბული იქნა მეოთხეულ პერიოდშიც.<sup>2</sup>

<sup>1</sup> А. М. Негруль. Виноградарство с основами ампелографии и селекции. Москва, 1956, гл. 20.

<sup>2</sup> ი. ქ. გ. ვ. გ. 20.

კულტურული ვაზი *Vitis vinifera* L. მიეკუთხნება Vitaceae Lindl. ანუ Ampelideae Kunth., რომელიც 600-დღისახეს ითვლის. უდიდესი უმრავლესობა ამ სახეებისა იშტატში კულტურული პირობებში, მხოლოდ მცირებული უმნიშვნელო ნაწილია ჟევგანის კულტურაში,<sup>3</sup> ზოგი სახე გამოყენებულია როგორც დეკორატიული მცენარე. გარეული ვაზის სახეები გავრცელებულია თითქმის ყველა ქვეყანაში, რომლებიც მოქცეულია ცხელ და ზომიერ სარტყებში, ჩრდილოეთ განედის 52° და სამხრეთ განედის 43° შორის.<sup>4</sup> Vitaceae ვაზის ოჯახის სახეები იშრდებიან დაბურულ ტყეებში, მინდვრებსა და მთების კალთებზე.<sup>5</sup> ვაზის ოჯახიდან მხოლოდ 20 სახეა გაყილტურულებული, ყველა ისინი მიეკუთხნებაან ერთ ჯიშს *Vitis*.<sup>6</sup>

ჭრი კიდევ შორეულ გოლოგიურ ეპოქაში, როდესაც კონტინენტების ჩამოყალიბება მოხდა, ვაზის ჯიში *Vitis* იღოჩნდა დანაწილებული და დღეისათვის წარმოადგენს სამ განცალკავებულ ჯგუფს. 1. ჩრდილოამერიკული ჯგუფი, რომელშიაც ვაზის 28 სახე შედის, ქედან კულტურული სახეებისათვის გამოსაღევია 18; 2. აღმოსავლეთ აზიური ჯგუფი, მასში 40-ზე მეტი სახეა, რომლიდანც თანამედროვე კულტურისათვის გამოსაღევია მხოლოდ ერთი სახე *V. amurensis* Rupr.; 3. ეკრაზიული (ეკროპა, ჩრდილოეთ აფრიკა, დასავლეთ აზია) ერთი სახე *V. vinifera* L., რომელიც იყოფა ორ ქვესახედ: ველური ვაზი subsp. *silvestris* Gmel (prospr) და კულტურული ან გაგარიულებული ვაზი subsp. *sativa* D. C. ამ სამი განცალკავებული ჯგუფის ჩამოყალიბების შემდევ განვლო რამდენიმე ასეულმა ათასმა წელმა.<sup>7</sup>

<sup>3</sup> А. М. Негруль, დასაბ. ნაშრ., გვ. 18; А. М. Негруль, Семейство Vitaceae Lindley (Ampelidæae Kunth.). Ампелография СССР, т. 1, Москва, 1946, გვ. 45; П. М. Жуковский. Культурные растения и их сородичи, Москва, 1950, გვ. 369; ხოლ. ჩოლ ჩუაშ ვალი, მეცნაბეჭების სახლმძღვანელო, წიგნ I, ზოგადი ნაშროვი, თბილისი, 1937, გვ. 7.

<sup>4</sup> А. М. Негруль, Семейство Vitaceae Lindley (Ampelidæae Kunth.) Ампелография СССР, т. 1, Москва, 1946, გვ. 45.

<sup>5</sup> А. М. Негруль, Виноградарство с основами ампелографии и селекции, Москва, 1956, გვ. 19.

<sup>6</sup> А. М. Негруль, Происхождение культурного винограда и его классификация, Ампелография СССР, Москва, 1946, т. I, გვ. 161; А. М. Негруль, Виноградарство с основами ампелографии и селекции, Москва, 1956, გვ. 20.

კულტურაში გავრცელებულია *V. vinifera* L., უმცირეს, პირდაპირ წინაპარს ამერიკულ კურსად ვერ ვხდებოთ. კულტურული და აზიის ტყეებში გავრცელებულია *V. silvestris* (L.) Coss. ex Willd. მთლიანდ მონათესავე კულტურული გაზისა. ვაზის კულტურის მიზანი რები გადამენდნენ და ამგვარად ჩვენ წინაშე თავისი წარსულიდან მოწყვეტილი, აღამიანის მიერ შექმნილი სახეობა.<sup>8</sup>

Visit-ის გიმის ვაზის სახეობანი გავრცელებულია სუბტრონ-პიჯულ და ზომიერ ჩრდილოეთ საჩრუელში; ისინი მრავალწლიანი ლიანებია, რომლებიც ველურად იზრდებიან ტყეებში, დაბლობებზე და ხევებში, მდინარეთა ხაბირებზე<sup>9</sup>. ველური ვაზი გვხვდება უზარმაშობის ტერიტორიაზე ესპანეთიდან ვალი კოპეტ-დალამდე (თურქმენეთის სსრ), დიდი რაოდენობითაა გავრცელებული კავკა-სის ზევრ ზღვის სანაპირო ზოლში, დაღვსტანში, ყუბანისა და მთება მიერკავეკაში, ფოთლოვან ტყეებში, ზღვის დონიდან 1500-მდე მეტრის სიმაღლემდე.<sup>10</sup> ველური ვაზი დიდი რაოდენობით გვხვდება დასავლეთ საქართველოში, აგრეთვე ყუბაში (აზერბაიჯანის სსრ), სა-დაც ვაზი იმდენია, რომ მოსახლეობა ყურძენს კრეფს კადეც.<sup>11</sup>

როული და საინტერესო საეთი კულტურული მევენახეობის შესახებ, ე. ი. საეთი იმის შესახებ, თუ დედამიწის რომელ გეო-გრაფიულ კუთხეში მოხდა პირველად გარეული ვაზის მოშინაურება. სად და როდის ისწავლა აღამიანში ყურძნის. წვენისაგან ღვინის დაყენება. აღნიშნული საეთის გამო მეცნიერებაში აზრთა სხვადა-სხვობა არსებობს, თუმცა მკვლევართა უმრავლესობა, ვაზის კულ-

<sup>8</sup> В. А. Комаров, Происхождение культурных растений, М.-Л., 1938.  
<sup>9</sup> კ კ ც ხ თ ვ ლ ი, მ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დ. ტ ა ბ ი ვ ე კ, საქართველოს ამერიკული, თბილისი, 1960, გვ. 4; П. М. Жуковский, დახახ. ნაშრომი, გვ. 369, 371.

<sup>10</sup> А. М. Негруль, Виноградарство с основами ампелографии и селекции. Москва, 1956, გვ. 19.

П. М. Жуковский. დახახ. ნაშრომი, გვ. 369.

<sup>11</sup> А. М. Негруль, Семейство Vitaceae Lindley (Ampelideae Kuntz.). Ампелография СССР, т. 1, Москва, 1946, გვ. 69.

П. М. Жуковский. დახახ. ნაშრომი, გვ. 369, 371, 375. სილ თ-კა შ ვ ი ლ ი, დახახ. ნაშრომ, გვ. 7.

<sup>12</sup> ნ. კ ც ხ თ ვ ლ ი, მ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დ. ტ ა ბ ი ვ ე კ, საქართველოს მეცნიერება, თბილისი, 1960, გვ. 1.

П. М. Жуковский. დახახ. ნაშრომ, გვ. 376—377.

ტურმი შეკვენის ადგილად, კ. ი. მის უძველეს სამშობლოდ წილი  
აზიას ასიხელებს, ვინაიდან მცირე აზიას კლიმატური პირობებზე უფლი  
მისი გეოგრაფიული მდებარეობა, უძველესი ისტორიული ჩიტულური ყავა  
და უღლური ვაზის დიდი რაოდენობით არსებობა ამ მხარეში, სწო-  
რედ ასეთი ცენტრის აქ არსებობის სასარგებლოდ დაპარაკობენ.  
ადგილი, სადაც ვაზი იქნა მოშინაურებული, ცნობილი არ არის.  
ისტორიული ცნობები მოწმობენ, რომ ყველაზე უძველესი კერა  
კულტურული ვაზისა არის წინა აზია. ველური ვაზი *silvestris*  
Gmel. ყველაზე მეტად გავრცელებულია ამიერკავკასიასა და მცირე  
აზიაში, კასპიის ზღვის ირგვლივ მდებარე რაიონში. უნდა ვივა-  
რაუდოთ, რომ პირველად ვაზი ამ ადგილების მახლობლად იქნა მო-  
შინაურებული.<sup>12</sup>

3. უკუკვესის კულტურული ვაზის წარმოშობის საკითხი, ერთ-ერთ,  
ჯერაც გადაუჭრელ პრობლემად მიიჩნია. მისი აზრით, იგი წარმოქმნა  
ძველ ქვეყნებში და ამერიკული უღლური ვაზის სახეებს, მიუხე-  
დავად მრავალი იცხვნებისა, არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ  
V. *vinifera*-ს წარმოქმნაში, მეცნახეობა-მეღვინეობის ძველსა  
და საშუალო ისტორიაში. ყველაზე უფრო ბუნებრივი იქნება V. *vi-  
nifera* -ს ვანვითარების ისტორიის დაკავშირება ეკრანიულ  
კელურ სახესთან, კრიკინასთან — V. *silvestris* -თან, რომელსაც  
უზიარესიარი არეალი იქნა, გიბრალტარიდან კოპეტ-დალამდე თუ  
ტიბიმშანამდე.<sup>13</sup>

როდესაც ვაზის კულტურის წარმოშობასა და მის ვანვითარება-  
ზეა მსჯელობა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სხვა კულტურული  
მცენარეებიც, რომლებიც იდამიანმა ასევე შორეულ წარსულში  
მოაშნა და თავის მოთხოვნილების დასაქმეოფილებლად ვეღურა  
სახიდან კულტურულ ჯგუფად ქვეყნა. ამ მხრივ წინა აზიას, როგორც  
კულტურულ მცენარეთა წარმოქმნის ერთ-ერთ უძველეს და უძლიე-  
რეს კერას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

მოშინაურებულ მცენარეთა და ცხოველთა ყველაზე მეტი რაო-  
დენობა მოგვეა აზიამ, რომელსაც ხმელეთის თოვქმის 1/3 უჭირდეს,  
აზიარი კულტურული მცენარეულობის წარმოშობა დაკავშირებუ-  
ლია უმთავრესად შემდეგ ქვეყნებთან: ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი,

<sup>12</sup> А. М. Негруль. Происхождение культурного винограда и его классификация, Ампелография СССР, т. I, М., 1946, გვ. 197.

<sup>13</sup> П. М. Жуковский, დასახ. ნაშრ., გვ. 375.

2. ა. ბობოშვილე

ინდო-ჩინეთი, ინდონეზია, სსრ კავშირის შუაზიმური ნაწყლი, ჩინ-  
ნესტანი, ირანი, წინა აზია და მიცერებავისია. საამისო ფაქტორებად  
შეცნიერებას მიაჩინია ამ ქვეყნების „მძლავრი მთაგრეხსლურმარტი“  
ნები, ფერდობები, ვაკები, ხეობები და ნაირნაირი ჩაქო შემოსილი,  
ნოტიო, ტროპიკული, სუბტროპიკული და ზომიერი<sup>14</sup>. ამიცერებავისია  
თავისი ბუნებითაც და ისტორიითაც განხილული უნდა იქნას რო-  
გორც კულტურულ მცენარეთა წარმოქმნის კერა, რომელსაც დიდი  
დამოუკიდებელი მნიშვნელობა იქვა. შევიწყდეს პირა და კასპიისპირა  
ვრცელ დაბლობებს წარსულში არ უნდა ჰქონოდათ არსებითი მნი-  
შვნელობა კულტურულ მცენარეთა ევოლუციაში. ამიცერებავისიის  
მთის წინა ზოლსა და ვაკეებში (ქართლის, მუხრანის, აღაზის, უ-  
ბის) საგრძნობლად განვითარდა მემცენარეობა კავკასიური საწყისი  
მასალების საფუძველზე. სახელგანთქმულო კანონი  
და კულტურულ მცენარეთა განვითარდა მემცენარეობა კავკასიური საწყისი  
მასალების საფუძველზე. სახელგანთქმულო კანონი  
Vitis vinifera-aში  
შემავალი ჯიშებისაგან.<sup>15</sup>

კულტურულ მცენარეთა წარმოშობის შესახებ საინტერესოა  
ა. ე ა ვ ი ლ თ ვ ი ს მოსახრებაც. მან მრავალი მასალა შეკრიბა,  
რომელთა გაანალიზებას საფუძველზე გამოყოფილ კულტურულ მცე-  
ნარეთა წარმოშობის 11 ცენტრი, რომლებმაც მისცეს კაცობრიობას  
მთელი თანამედროვე კულტურულ მცენარეულობა. აქედან კულ-  
ტურულ მცენარეთა მეოთხე კერას წარმოადგენს წინა აზია, რომელ-  
შიაც შედის შიდა, მცირე აზია, ამიცერებავისია, ირანი და მთიანი  
თურქეთისტანი.<sup>16</sup> კულტურულ მცენარეთა წარმოქმნის ამ ცენტრება  
კაცობრიობას მისცა შემდეგი კულტურალი მცენარეები: 1. მარც-  
ლეული კულტურები; 2. საკუპი მცენარეულობა; 3. ზეთოვანი მცე-  
ნარეულობა; 4. ეთერზეთვანი, ალკალოიდური და ორიმლოვანი  
მცენარეულობა; 5. გოგროვანი (გოგრა, კვაბი, ყყირო, ხაპი) მცენა-  
რეულობა; 6. მწვანილეული მცენარეულობა; 7. მსხმოიარე მცენა-  
რეულობა (ხეხილი), Vitis vinifera L. ვაზი (უაშჩავი სხვადასხვა  
ფორმის), 8. სურნელოვანი და საღებავი მცენარეულობა.<sup>17</sup> ამგვა-  
რად, წინა აზიაში კონცენტრირებულია მსოფლიო პოტენციალი მეხი-  
ლეობისა, იგი სამშობლო ვაზისა, მსხლის, ალუხის, ბლის, ბრო-  
წეულის, ბერძნული კაქლისა, კომშის, ნუშის და ლელვისა. ხეხილის

<sup>14</sup> П. М. Жуковский, ფას. ნაშრ., გვ. 15—16.

<sup>15</sup> П. М. Жуковский, იქვე, გვ. 23.

<sup>16</sup> Н. И. Вавилов, Селекция как наука. Сборник, Теоретические основы селекции растений, т. I, М.-Л., 1935, გვ. 42.

<sup>17</sup> Н. И. Вавилов, იქვე, გვ. 42—46.

პირველი ბალები უკეცველად მიეკუთვნება წინა აზიას. საქართველოს  
და სომხეთში აქამდე შეიძლება თვალი გადევნოთ მეხილეობებს კურტული  
ლა ევოლუციურ ფაზებს, გარეული მცენარიდან კულტურულ-მემკურავა  
ნარემდე ან კულტურული ხეხილის წარმოქმნამდე.

კულტურული ვაზის სამშობლოდ ნ. ვავილოვს სწორედ წინა  
აზია მიიჩნია, მის ნაშრომში უახლესი მონაცემებით ნაჩვენებია, რომ  
მთელი მსოფლიოს მეცენატებით, ძირითადი ასორტიმენტი ვაზისა მი-  
ღებულია წინა აზიადან, სადაც აქამდე ვაზი იზრდება ველურ პირო-  
ბებში, რომელიც სრულად გარგისია კულტურული ჯიშების გამო-  
საყვანად.<sup>18</sup>

დ ე კ ა ნ დ ე ლ ი ს (1885) მიხედვით კულტურული ვაზის სამ-  
შობლო არის დასავლეთ აზია, ამიერკავკასია და ხმელთაშუა ზღვის  
ოლქები<sup>19</sup>. კ უ ზ ნ ე ც ო ვ ი (1891) მეცენატების სამშობლოდ თვლია-  
და ამიერკავკასიას, ხოლო შარდენმა და პერმა ლინგვისტური ძიე-  
ბის საფუძველზე მეცენატების აკვად ჩითვალეს წინა აზია და გან-  
საყუთრებით კი კასპიის ზღვის ხანიძრო.<sup>20</sup>

ს. კ ო რ ე ი ნ ს კ ი ს გამოოქმული ქვეს მოსაზრება, რომ მეცენა-  
ტებია პირველად დაიწყო სადღაც მცირე აზიაში და აქედან გავრ-  
ცელდა შემდეგ სხვა ქვეყნებში.<sup>21</sup>

მეცენატების სახელმძღვანელოში, რომელიც ა. ნევრულს ეკუ-  
თონის, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ დე კანდელისა და ნ. ვავილო-  
ვის გამოკვლევებით შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალის, რომ  
კულტურული ვაზის სამშობლოდ ითვლება ჩვენი ქვეყნის სამხრე-  
თი, კავკასიის რესპუბლიკები, შეა აზია და აგრეთვე იღმოსავლეთით  
შედებარე რაიონები (ირანი, ავღანისტანი, იღმოსავლეთ ჩინეთი,  
მცირე აზია). ჩვენმდე მოლწეული მატერიალური კულტურის ძეგ-  
ლები, დამწერლობის, მხატვრობის, სკულპტურის მონაცემები და  
რელიგიები მოწმობენ, რომ კასპიის, შავი და ხმელთაშუა ზღვის  
რაიონები წარმოადგენენ უძველეს ცენტრებს კულტურული ვაზისა.  
დაახლოებით 5—7 ათასი წლის წინათ ვაზი კულტივირებული იქნა  
ამიერკავკასიაში, შეა აზიაში, იგრეთვე სირიაშა, მესოპოტამიაშა და

<sup>18</sup> Н. И. Вавилов, იქნ. ვ. 46.

<sup>19</sup> А. М. Негруль, Происхождение культурного винограда и его классификация. Ампелография СССР, т. I, Москва, 1946, ვ. 193; Бро-  
грауз и Ефрон, Энциклопедический словарь, т. VI, II, ვ. 436.

<sup>20</sup> А. М. Негруль, დასახ. ნაზომი, ვ. 193.

<sup>21</sup> იქნ. ვ. 193.

ეგვიპტეში. დაახლოებით 3 ათასი წლის წინათ მეცნიანეობა კულტ  
საბერძნეთში და ექვდან დაიწყო გვერცელება ხმელით ჭრა ჰაფი  
სანაპიროზე დასავლეთით, რომში (იტალია) და, შედარებული ჰყოვნა  
საფრანგეთში.<sup>22</sup>

კულტურული ვაზის წარმოშობასა და მის თავდაპირველ სამ-  
შობლის საყითხს მრავალი მკვლევარი შეეხო. ბევრ მათგანს გაანა-  
ლინებული აქვს ფაქტობრივი მასალები და გამოიქმული აქვს შეხე-  
დულება, რომ ვაზი პირველიდ შეყვანილი იქნა კულტურაში დასაკ-  
ლეთ აზიაში, კერძოდ იმ ადგილებში, რომლებიც კასიისა და შაჟ  
ზღვას სამხრეთიდან გვივრიან, მათი უმრავლესობა კულტურული მე-  
ცნიანების სამშობლოდ მიიღერევასისაც ასახელებს. მკვლევარებს  
შორის შეიძლება დავასახელოთ: შარდენი, პიკტე, ენგლერი, პენ-  
ნი, ბეკტოვი, ბაზერმან-ლორდანი, ბიბერშტეინი, პორტე და რუ-  
სენი, ვიალა და ვერმორელი, კოხი, მენდელევი, შოუ, ბალასი და  
სხვა მრავალი. როგორც ზემოთ იქმ აღნიშნული, ვაზის წარმოშო-  
ბისა და განსაკუთრებით მისი კულტურის პირველი სამშობლოს  
საყითხი როგორც და ამავე ღრის ფრიად მნიშვნელოვანია. მიტო-  
მაც ამ საყითხის შესწავლა მრავალმა მკვლევარმა სცადა და სინტე-  
რესო მოსახრებებიცაა წამოყენებული, თუმცა იგი საბოლოოდ ჟერ-  
კიდევ არაა გადაწყვეტილი და ამდენად ღიად რჩება. მიუხედავად  
ამისა, ერთი მაინც ცხადია, რომ კეკისისა და განსაკუთრებით საქართ-  
ველის კულტურული ვაზის წარმოქმნის სფეროში ფრიად მნიშვ-  
ნელოვანი ადგილი უჭირავს. ამას თვალითადი დაეინახავთ ქვე-  
მოთ, როგორც განხილული იქნება საყითხი კულტურული მეცნი-  
ების წარმოქმნის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე უახლესი  
მეცნიერებული მონაცემების მიხედვით.

ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ვაზის განვითარებისათვის არის  
კლიმატური პირობები.<sup>23</sup> იგი სითბოსა და სინათლის მოყვარე მცე-  
ნარეა. სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში მოხვედრის შედეგად ვაზ-  
მა, როგორც მცნარემ, ცელილებები განიცადა, ვაზს მუხლებზე,  
ფოთლის პირდაპირ უვითარდება პწელები, რომლითაც იგი ეხვევა  
საყრდენს და ამგვარად პეიდებს ზედ თვეს მიწისზედა ნაწილს.  
•ისინი ცვალების მეტამორფოზებს წარმოადგენენ განვითარებულ

<sup>22</sup> А. М. Негруль, Виноградарство с основами ампелографии и се-  
лекции, Москва, 1956, гл. 8.

<sup>23</sup> А. М. Негруль, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

ზედა ნაწილებში.<sup>24</sup> თავდაპირკულად ვაზის წინაპრები ღია მხედარები  
იძრდებოდა და პწელები არ ჰქონდა. ეოცენიდან შოკიდებული, პარ  
სულ უფრო ნოტიო ხდება და ტყეები ბატონდება. ვაზის წმინდაში კუკ  
ექცევიან ტყის პირობებში. მზის სინათლისაღმი ლტოლუს ჰამტებია  
ლებს მათ, ზემოდან მოექცნე ტყეს და ისინიც მხედარები ხდებიან.  
ტყეში სახრდოს უქმარობის გამო უკავილედის ჩროების სტრილი-  
ზაცია ხდება და ისინი იქცევიან პწელებად. ეს უკანასკნელნი ხეებ-  
თან შეხებისას მათზე შემოხვევას იწყებენ. ბუნებრივმა შერჩევამ  
შემოინახა ვაზის წინაპროთა ის ფორმები, რომელთაც გამოიმუშავეს  
ამვარი თვისებები, მხეიარა ტანი და ჩეებზე პწელები. მათ ტყის  
თავზე შექმნეს უზარმაშარი ფოთლოვანი, ასიმილაციური ზედაპი-  
რი, ხოლო ნიაღავში მძლავრი შემწოდი და მომშარავებელი ფუსვა  
სისტემა. ამვარმა ვაზმა მიეცია ადამიანის უურადლება, რომელ-  
საც იგი უხდად აწვდიდა უურძებს, უკანასკნელი დამჭერიც კარგი  
იყო, რადგან ძალზე ტყებოდა და არ ფუჭდებოდა. ადამიანმა ვა-  
მოსტაცა ვაზი ტყიურ გარემოს და დაბრუნა იგი პირვანდელ გა-  
რემოში, ლია განათებულ მზეარეში, სადაც პატარა ბუჩქებად აშე-  
ნებს, ან სარებზე, რეალზე ან მართულზე უშვებს. კულტურულმა  
ვაზმა აღვილად გადაიტანა ტყიდან მოწყვეტის ოპერაცია, ვრცილან  
იქაც სინათლისაფენ მტოლვარე მცენარე იყო.<sup>25</sup>

ვაზი საქართველოს ტერიტორიაზე შორეულ წარსულში არსე-  
ბობდა. ხოლო, იგი შემდევ ადამიანმა კულტურაშიც შეიყვანა, ამი-  
სათვის იქ ყოველგვარი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსე-  
ბობდა.

ამიერკავკასია და განსაკუთრებით საქართველო მდიდარია გა-  
რეული ვაზით. ელურად ხშირად გვხვდება ფორმები, რომლებიც  
ძალიან წააგავენ V. vinifera L. ან კიდევ პირდაპირ გარდამა-  
ვალ საფეხურს წარმოადგენენ კულტურული ვაზიდან გარეულზე  
(კრიკინაზე). ეს იმიტომ, რომ კულტურული ვაზი ძალიან აღვილად  
ვალურდება და ვარედინდება ველურთან, რის შედეგადც პიბ-

<sup>24</sup> П. А. Баранов, Приспособительная эволюция винограда, Москва, 1949.

<sup>25</sup> П. М. Жуковский, Культурные растения и их сородичи. М., 1950, гл. 371—373.

რიცებს ქმნის<sup>26</sup>. ზოგიერთი ბოტანიკოსი კულტივირებული ზოულ ვაშის სახეს V. vinifera L.-ს მიაუთვებს, ხოლო კულტურულ ვაშის, რომელიც ფართოდაა გავრცელებული, კულტივირებაში მიღებულია, რომ კულტურული და კულტურული ვერაზიული ვაში განხილული იქნას, როგორც ერთი სახე — ორი ქვეგულით: გაჩეული ვაში V. silvestris Gmel. და კულტივირებული ვაში subspp. sativa D. C.<sup>27</sup>.

ტიპიურ ველურ ვაშს აქვს მორჩილი, თითქმის მოკლი, დაუნაწევრებელი ფოთოლი, ქვედა მხრიდან თხელი, აბლაბუდას მავვარი ბუსუსებით, შიშველი რქა, პატარა მტევანი, მარცვლები წერილი, მრგვალი, შავი. იზრდება ველურად. ზას შეიძლება შევხდეთ შუა და სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, დასავლეთ აზიაში. სსრ კავშირში იზრდება დუნაის, პრუტის, დნესტრის, ბუგის და დნეპრის ნაპირებზე, ყირიმშა და კუბანში, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, დალესტანში, ამერკავკასიაში, უმეტეს შემთხვევაში ფოთლოვან ტყეებში 1500 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან.<sup>28</sup>

კულტურული ვაშის წინაპრის უანლოესი მონათესავე V. silvestris Gmel. ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელებული მცენარეა, იგი გვხვდება კოლხეთის ტყეებში, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულია უფრო ტიპიურად ჭალასა და ვაკის ტყეებში, მდ. მტკვრის ხეობაში, თვით მტკვრისა და მისი შენაერების ქალებში (ალაზნის, იორის, არაგვის, ლეხერის, ქსნის, ლიახვის, ფრონის, ქციის, ალვეთის, ვერეს, კავთურის, ძამის და სხვათ). კრიკინა აღინიშნა შირაქის ურიანი ველის ცენოზში, პანტიშარისა და ვაშლოვანის ჩისალებში 800 მ. სიმაღლეზე. კრიკინის მრავალნარი ფორმა გვხვდება ალაზნის პირის ჭალებში — ალეან-ნაფარეულ-ლაგოდეს-საინგილის შხარეში.<sup>29</sup>

<sup>26</sup> А. М. Негруль, Происхождение культурного винограда, Ампелография СССР, т. I, Москва, 1946, гл. 188. А. М. Негруль, Эволюция культурных форм винограда, Доклады АН СССР, т. XVIII, № 8, Москва, 1938.

<sup>27</sup> ბ. კ ვ ბ თ ვ ე ლ ი, ბ. რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, დ. ტ ა ბ ი ძ ე, საქართველოს ამპელოგრაფია, თბილისი, 1960, гл. 1.

<sup>28</sup> А. М. Негруль, Виноградарство с основами ампелографии в селекции, Москва, 1956, гл. 22.

<sup>29</sup> А. М. Негруль, დასახ. ნაშრომი, гл. 23.

<sup>30</sup> ბ. კ ვ ბ თ ვ ე ლ ი, ბ. რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, დ. ტ ა ბ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, гл. 2; П. М. Жуковский, დასახ. ნაშრ. ქვე, 376.

გარეული ვაზის სიმრავლე თვალში საცემია განსაკუთრებული 70  
ვი ზღვის სანაპირო ზოლში, მას ძლიერი პოლიმორფიზმი ანასკარ-  
თებს. ფილოქსერასა და სოკოვან დავადებათა განერნამდებრებული საცემი  
საცემის შუა წლებში) ძველ კოლხეთში კიდევ უფრო ძალის მქონე კულტ ა  
ოდენობით იყო ველური ვაზი. სტრაბონი წერდა, რომ სასაზღვრო  
გორებზე კოლხები იღებენ დიდი რაოდენობით გარეულ ხილს,  
განსაკუთრებით ყურძენს და სხვას; მათ ადამიანები ტყეში ნახუ-  
ლობენ მთელი წლის განმავლობაშით. მიუხედავად ფილოქსერისა  
და სოკოვანი დაავადებისა, ველური ვაზი ამ მხარეში მრავლადაა  
შემონახული,<sup>20</sup> ვაზის ღერის სიმსხვი აქ ზოგჯერ 30 სმ ღრმების.<sup>21</sup>

დეტალური შესწავლის საცემველზე დამტკიცებულია, რომ მა-  
ვი ზღვის სანაპიროზე გავრცელებულია ტიპიური გარეული ვაზი  
subsp. *silvestris* Gmel., მაგრამ ამ ტიპიური გარეული ვაზის  
გვერდით გვხვდება გარდამავალი ფორმებიც და აგრეთვე გაგრძე-  
ლებული ვაზი მიტოვებულ ძველ ბაღებშიც.<sup>22</sup>

ტიპიური გარეული ვაზი — subsp. *silvestris* Gmel. იზრდე-  
ბა აგრეთვე კახეთში და მტკიცისა და არაესის ხეობაში. თუ დასაგ-  
ლეთ საქართველოში (აფხაზეთსა და იმერეთში) სჭარბობს  
შებურვილი ტიპის ვაზი, სამაგიროდ ქართლში და კახეთშიაც  
ვაღურსა და კულტურულ ფორმებშიც ჩნდება შებუსეილფოთ-  
ლიანი მრავალი ფორმა, ან ისეთი, რომელთაც ჯაგრისებრი შებუს-  
ვა აქვთ. ჭერ კიდევ კოლენარი (Kolenati, 1845) გამოკი-  
ძირებავესიაში ველური ვაზის ორი ქვესახეობა (V. *vinifera*  
*anisophylla* — შიშველი და აბლაბუდასებრი ბუსუსოვანი ფოთ-  
ლებით და *trychophylla* — ჯაგრისებრი შებუსებით) და დაახასია-  
თა ამ ვაზის კავშირი ადგილობრივ კულტურულ ჯიშებთან.<sup>23</sup>

როგორც მკელევარები ვარაუდობენ, კულტურულ შევენახეო-  
ბაზე გადასცელა მოხდა იმ ადგილებში, სადაც მრავლად მოიპოვება  
ველური ვაზი და აგრეთვე ველური ვაზიდან კულტურულ ვაზე  
გარდამავალი ფორმები. ამ მხრივ საკითხის კვლევას კვლავ მოვ-

<sup>20</sup> А. М. Негруль, Происхождение культурного винограда и его классификация. Ампелография СССР, т. I, М., 1946, гл. 188.

<sup>21</sup> П. М. Жуковский, фас. 6, ნაშრომი, гл. 376.

<sup>22</sup> А. М. Негруль, фас. 6, ნაშრ., гл. 188.

<sup>23</sup> ნ. კაციანი, მ. რამიშვილი, დ. ტაბადა, ფასა. ნაშრ., გл. 1—2; А. М. Негруль, фас. 6, ნაშრ., гл. 189.

კაციასიამდე, რადგან კველაზე მჭიდრო კაცირი კულტურულ ამორიგენულ ვაზის ჯიშებს შორის შეინიშნება დასვლეთ სფეროზე კელოში (აფხაზეთი, გურია, ივარა, იმერეთი), აზერბაიჯანში რაჭა- ბის რაიონში, მთიანი ყარაბაზი, ნახიქევანის ასსრ), მათშეც მასშია აგრეთვე თურქმენეთის (დასავლეთ კოპეტ-დაღი) ზოგიერთ მოსა- ზლერე რაიონში.<sup>24</sup>

გარდამავალი ფორმების სიუხვით, მკელევართა უურადლებას მაინც ამიერკავკასია და განსაყუთრებით საქართველო იძყრობს. საქართველოში (ძევლ კოლხეთსა და კახეთში) და აზერბაიჯანში იზრდება კელური ვაზი *subsp. silvestris* და აგრეთვე გარდამა- ვალი ფორმები (ჩოგორუ ჩანს, ჰიბრიდული) ადგილობრივ კულ- ტურულ ვაზები. აქედან კარგად ჩანს, რომ ამ მხარეში კელურაზ მზარდ და კულტურულ ვაზს შორის შეიძლება მოიძებნოს გარდა- მავალი ფორმები *subsp. silvestris* -ისა.<sup>25</sup> პალიბინის აზრით, რო- მელსაც გათვალისწინებული აქებს მთელი რიგი კნობებისა, სსრ კავ- შირის სამხრეთის ბევრი რაიონი უძველესი დროიდანაა კერები კულტურული ვაზისა, აյ მცირ წევნისგან იღებდნენ ღვინოს.<sup>26</sup>

ბუნებრივი პირობები ხელს უწყობდა ფორმათა ბუნებრივ შერ- ჩევას და კელური ვაზის გადაჯიშებას, რომელიც იძლეოდა მასა- ლის ხელოვნური შერჩევისათვის.<sup>27</sup> აღსანიშნევია, რომ აღვილობ- რივი ასორტიმენტის ვაზის ჯიშები (ჩერქეზული, აფხაზური და სხვა) მიეკუთვნებიან საღვინო ჯიშების კატეგორიას *Proles pontica* *subproles georgica* Negr -ს, მათ შორის გაველურებულ მცნო- ბეულობაში არის ისეთივე ტიპის ლიანები. გარდამავალ

<sup>24</sup> А. М. Негруль и Я. Ф. Кац. История ампелографических исследований. Ампелография СССР, т. I, М., 1946, гл. 37.

საქართველოს ტერიტორიის გავრცელებული გარდამავალი ფორ- მებისა და გაგრძელებული ვაზის ჯიშები თავმოწირილია და უართოდაა შესწა- ლილ პრივ. მ. ჩ. ა. მ. შ. ვ. ი. ს. შეიტ. იგი ამ საყითხებან დაკარგირებით აშე- ცდებს მონაგრაფიულ გამოკვლევას, რომელიც აძლი მომევალში გამოიყო. ნაშრომ- ში გაშემტბულია მოცემული საყითხები უახლეს მეცნიერული მონაცემების და საქართველოს ტერიტორიის აბლად აღმოჩენილი ვარეული და გაგრძელებული ვაზის ფორმების ანალიზის საფუძველზე.

<sup>25</sup> И. В. Палибин и Палеонтология виноградной лозы, Ампелография СССР, т. I, М., 1946, гл. 153.

<sup>26</sup> ი. ვ. პ. გ. 155.

<sup>27</sup> А. М. Негруль. Происхождение культурного винограда и его классификация. Ампелография СССР, т. I, Москва, 1946, гл. 188.

ფორმებს დაკავებული აქვთ შეუაღედი ზოლი ტიპიურ გარეულ  
ვაშსა subsp. *silvecestris tinica* Negr.-ს და კულტურულ ვაშს  
subsp. *sativa proles pontica subproles georgica*<sup>28</sup> Negr.-ს მიერთ  
შორის. ე. ი. კავკასიის შევი ზღვის სანაპიროში ცელურსა  
და კულტურული ვაშის ჭიშებსა და სახეებს შორის<sup>29</sup> მიებანი, ექსპერიმენტული ცნობები ამტკიცებენ, რომ  
კავკასიისა და ევროპის საღვინე ჭიშები უძველესი წარმოშობისა  
არიან და ახლო იმყოფებიან ველურ ვაზთან subsp. *silvestris*  
Gmel. — თან, ვითოვ სამხრეთის სასუფრე ჭიშები, რომლებიც  
მიღებული არიან ხანგრძლივი ხელოვნური შერჩევის გზით.<sup>30</sup>

საბჭოთა მეცნიერება ა. ნ ე გ რ უ ლ მ ა საფუძვლიანად და-  
მუშავა კულტურული ვაშის დიფურენციული (სახის შეგნით) სის-  
ტემატიკა, იგი ემყარება გეოგრაფიულ-ეკოლოგიურ პრინციპს; ასა-  
ხავს ადგილობრივი სორტიმენტების ისტორიას და გვიჩვენებს, რომ  
ისინი ჩამოყალიბდნენ ძირითადად კულტურული ვაშის ადგილობ-  
რივი წინაპრებისაგან.<sup>31</sup> აბორიგენული ვაშის ჭიშების დეტალური  
შესწავლის საფუძველზე გამოყოფილი იქნა სამი ძირითადი ეკოლო-  
გიურ-გეოგრაფიული ჯგუფი:

1. *Proles pontica* Negr. (პონტიუს ჯგუფი), საქართველო,  
მიკრე აზია, საბერძნეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, მოლ-  
დავეთი (ბესარაბია).

2. *Proles occidentalis* Negr. (დასიელის ჯგუფი), საფრან-  
გითი, გრანიკია, ესპანეთი, პორტუგალია.

3. *Proles orientalis* Negr. (აღმოსავლეთის ჯგუფი), შუა აზია,  
აღღანისტანი, ირანი, სომხეთი, აზერბაიჯანი.

პონტიუს ჯგუფს (და, მაშინადამე, საქართველოსაც (ა. ბ.) ახასია-  
თებს: საშუალო სიდიდის, მკვრივი (სასუფრეს მეჩხერი) მ ტევ ვ ა ნ ი,  
მრგვალი, იშვიათად ოვალური, საშუალო სიდიდის ან წვერილი მარ-  
ცვალი, წვინიანი ხორცი; თეთრი, ვარდისფერი და შავი ჭიშების თა-  
ნაბაზო რაოდენობრივი შეფარდება; წვრილი, საშუალო სიდიდის,  
თითქმის უნისკარტო წიბრა, სანიუოლე კვირტებისა და მტევნების  
სიმრავლე; თეთრი ჭიშების ყინვაგამძლეობა, საღვინე ჭიშების (ჩა-

<sup>28</sup> A. M. Негруль, დასახ. ნაშრომი, გვ. 189

<sup>29</sup> ა ქ ვ ვ, გვ. 236.

<sup>30</sup> П. М. Жуковский, დასახ. ნაშრ., გვ. 374—375.

რისხოვეანი და რაოდენობრივი) სიმრავლე და სასუფრენო-ნაჟაფობრივობა; ყურძნის მომენტობა; ზაქარია 18—20%, სიმეცე 6—10%.<sup>41</sup>

პონტოს, ანუ შევის აუზის ჯგუფის ვაზის ჭიშებრივულება ლებულია დასავლეთ საქართველოში (ძველი კოლხეთი) და ჭიშებრივულება ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ფოთოლი ქვემოდან დაფარულია აბლაბუდას მაგვარი ბუსუსით და ატარებენ ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს. ამ ჯგუფის ვაზის ჭიშები აღმოცენდნენ აღვილობრივი კარეული ვაზის შერჩევის შედეგად ხანგრძლევი დროის განმვლობაში. მორიცოლოგიური ნიშან-თვისებებით ახლოს დგანან ველურ ვაზთან, ხასიათდებიან გრძელი სავეგეტაციო პერიოდით, უფრო ყინევამძლე ჭიშებია, ნაკლებად იტანენ გვალვას.<sup>42</sup>

შევის ზღვის ჯგუფის საღვინე ვაზის ჭიშების წარმოშობის ძირითადი რაიონი არის დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო (კახეთი და ქვედი კოლხეთი) და მცირე აზია. ძეგლიან მევენახეობა გაერცელდა სხვა რაიონებში; მათ შორის საღვინე ჭიშები, ტიპისა და სორტიმენტის მიხედვით დასავლეთ საქართველოსთვის მიახლოებული, კულტურულებული და შემონახულია დღემდე ბალკანეთში (საბერძნეთსა და ბულგარეთში), უნგრეთში, რუმინეთში და სსრ კავშირში (მოლდავეთში). Proles pontica -ს ჯგუფის ვაზებს არა იქვთ ფართო გაერცელება (როგორც სხვა ჯგუფის ჭიშები). ამ ჯგუფში უმთავრესად შედიან მაღალმოსავლიანი საღვინე ჭიშები); თუმცა კავკასიის ზოგიერთი ჭიში (საფრავი, ჩქიშითული და სხვა) დიდ ყურადღებას იქცევს და კულტივირებულია სხვა რაიონებშიც. ზოგიერთი ჭიშის მოსავლიანობა აღწევს 40-სა და მეტ ცენტნერს ერთ პექტარზე. მთელი შევის ზღვის აუზის ჯგუფი გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: ქართულ — subprol. georgica Negr. და ბალკანურ — subprol. balcanica Negr. ჯოშებად.<sup>43</sup>

ძ. წ. VII—VI სს მილეთის კოლონისტები დასახლდნენ შევის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და შექმნეს კოლონიები. ეს იყო

<sup>41</sup> А. М. Негруль, დასახ. ნაშრომი, გვ. 182—183; П. М. Жуковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 374—375.

<sup>42</sup> А. М. Негруль, Виноградарство с основами ампелографии и селекции, Москва, 1956, გვ. 26.

<sup>43</sup> А. М. Негруль, Происхождение культурного винограда и его классификация, Ампелография СССР, т. I, Москва, 1946, გვ. 183.

გზა, რომლის მეშვეობითაც ძეველი ბერძნები ვაჭრობას იწარმოებდნენ ცენტრალურ აზიასა და ინდოეთთან. ბერძნებს კავკასიაში დაბათ შესანიშნავი ვენახები და მაღლალი ხარისხის ლინიობური ფონტეს ცნობით თანამედროვე საქართველოს მიდამოებში მუდმივი ინახავდნენ თიხის ჰურტლებში, ჰვევრებში. პომირისის რდისევს და მის მხლებლებს კოლხეთში ცირცეა გაუმასპინძლდა კარგი ღვინით. ეს ცნობები და ავრეთვე ვაზის თავისებური მრავალშეჩივი ასორტინენტის აჩსებობა ყოველ პატარა რაოთონში ამტკიცებს, რომ მევენახეობა დასავლეთ და ომოსავლეთ საქართველოში, ავრეთვე აზერბაიჯანის ზოგ რაიონში ომოცენდა დამოუკიდებლად, იდგილობრივი ველური ვაზის რესურსების ვამოუკიდების საფუძველზე.<sup>44</sup> საქართველოდან მევენახეობა გავრცელდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (საბერძნეთში), აქედან კი რომში (იტალია), სიცილიასა და სხვაგან.<sup>45</sup> არც ისა ვამორიცესული, რომ ვაზის მოშინაურება შოხდა ერთდროულად და ერთმანეთის დამოუკიდებლად რამდენიმე ადგილზე დასავლეთ აზიაში,<sup>46</sup> თუმცა მისითვის საქართვა ყველა ის პირობა, რომელიც მცუნარის სახეთი წარმოქმნაში თამაშობს უდიდეს როლს.

კულტურული მევენახეობის ისტორია შორეულ წარსულს მიეკუთვნება. ძვ. წ. IV თაასწლეულში ეგვიპტეში ცნობილი იყო ვაზის რამდენიმე ჯიში. საქაფავის აღმნიშვნელი იეროგლიფი ნახმარია 1 დინისტიის ხანაში<sup>47</sup>. დაახლოებით ამავე ხანაში მევენახეობა-მეღვინეობას მისდევდნენ მცირე აზიის ხალხები, მაგალითად ხეობი, III თაასწლეულში საბერძნეთის ტერიტორიაზე მევენახეობა-მეღვინეობა ფართოდ იყო გავრცელებული.<sup>48</sup> მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მესოპოტამიის, სირია-პალესტინის, ეგვიპტისა და საბერძნეთის როლი მცირეა კულტურულ მცუნარეთა სახეების წარმოქმნის პროცესში.

<sup>44</sup> А. М. Негруль, დასახ. ნაშრომი, გვ. 172—173; ნ. კიცხოვანი, გ. 6 ამი შვილი, დ. ტაბიდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 2; П. М. Жуковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 379.

<sup>45</sup> ნ. კიცხოვანი, გ. 6 ამი შვილი, დ. ტაბიდი, დასახ. ნაშრ., გვ. 2.

<sup>46</sup> А. М. Негруль, დასახ., ნაშრ., გვ. 197; ნ. კიცხოვანი, გ. 6 ამი შვილი, დ. ტაბიდი, დასახ. ნაშრ., გვ. 2.

<sup>47</sup> А. Лукас, Материалы и ремесленные производства Египта, Москва, 1958, გვ. 55.

<sup>48</sup> А. М. Негруль, Происхождение культурного винограда, გვ. 171—172; П. М. Жуковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 379.

ქეელი სამიწათმოქმედი კულტურები ვითარდებოდა პირველი  
 რიცხვი წარმოშობის მცენარეთა გამოყენების გზით. მა კირათა რესტრ  
 სები სრულიადაც არ იყო ტოლფასი და იმას ძალიან დიდი ჩატარებული  
 მოსდევედა. მოშინაურებულ მცენარეთა და ცხოველთა ჭრის მიმმავა  
 გადამშეუვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იველი მეცნიარეობისა და მე-  
 ცხოველობის გეოგრაფიისათვის<sup>49</sup>, საპეტა წარმოქმნისა და მათ  
 შიგნით მიმღინარე დისერტენციაციის ძირითად არებს. შეადგენს  
 მთანი რაიონები. სწორედ მთაში დაადგინეს საბჭოთა მეცნიერებმა  
 გასაოცარი ფაქტები (მაგ.; ხორბლის სახეები ყველაზე მეტი არსე-  
 ბობს საქართველოსა და სომხეთში და მათი ნახევარი ენდემურია)<sup>50</sup>.  
 მცირე აზიის ნახევარკუნძულის დასაცლეთი სანაპიროდან სამხრეთ  
 ჩინეთამდე — მთელი წინა, ზუა და ოლოსაცლეთ აზიის გავლით —  
 გადაქიმული დიდი მთანი ტერიტორია, დიდ მდინარეთა ხეობებთან  
 ერთად. წარმოადგენს სწორედ ქეელი ქვეყნის კულტურულ მცენა-  
 რეთა დიდი უმეტესობის წარმოშობის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ  
 არეს. მცირე აზიის კულტურული მცენარეები და მათი ველური  
ბ. კუფტინს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ამ ფორმის ნამგლებს ტარი არ ეგებოდა და ნახევრტი თითქოს სარტყელზე ჩამოსაყიდვებელი ზონაზის გასაყრელად იყო განკუთვნილი.<sup>45</sup> ეს მოსაზრება მართებული აა უნდა იყოს, რასაც ქვემოთ ენახეთ.

შეორე ნამგალი გათხრების დროსაა აღმოჩენილი ბაკურიასებრი (ტაბ. I, 1). ისიც ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისაგან არის დამზადებული, რომელსაც ერთი გვერდი ბრტყელი აქვს. (ამ შემთხვევაში ბრტყელი გვერდები ძირსაა მოქცეული). ხოლო ზედა გვერდზე ქედი გასდევს, სატარებთან ფართვა, წვერისენ ვიწროვდება, სატარის შემდეგ თანდათანობით მოხრილი ხდება, წვერისენ კვლავ სწორია. ყუა გათხელებული აქვს, ცალპირლესულია, სატარის აღვილზე გაკეთებული აქვს ერთი ნახევრტი, რომლის საშუალებით ტარზე მანკვლით მაგრდებოდა.

იარაღის სიგრძე 14,8 სმ; სიფართე ტართან 2,9; შუა წელში 2,2 სმ; წვერთან 1,6 სმ; ყუას სისქე 2 მმ; წვერთან 1 მმ. უდრის.

შაკურისებრი აღმოჩენილია სულ ხუთი ნამგალი, მათ შორის ერთი რკინისაა, ყუმწანი და ნამგლის მინიატურულ სახეს წარ-

<sup>44</sup> ა. ა ფ. ე რ ი ჭ. მაკურცხსა აქეოლოგიური ტებები, საქონლადაც ისექტაცია, მინქანაზე ნაბეჭდი, თბილისი, 1940., გვ. 63—69.

<sup>45</sup> Б. А. Куптин. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, გვ. 325, Таб. IX, 6.

მოადგენს. მას თანამედროვე ნამგლის ფორმა, მრგვალი განივის  
თის მქონე ყუნწი, წესიერად მორკალური, შეა წელში გათართუ-  
ბული პირი, სქელი ყუი და გალესილი მჭრელი ფხა აქვს. ტრიცესული  
ნამგლის სივრძე ყუნწიანად 11 სმ, პირის სიფრთხე 1 სმ, კუის  
სისქე კი 2 მმ უდრის.

ბაკურციხეშია აღმოჩენილი ნამგალი, რომელსაც ფრინველის  
სტილიზებული სახე აქვს.

საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ნამგლები სხვა რაოდ  
ნებშიც გვხვდება, თუმცა მათი უმრავლესობა შემთხვევით მონა-  
პოვარს წარმოადგენს. აღმოჩენის ადგილებიდან შეიძლება დასა-  
ხელებული იქნას: ჩურისხევი (ტაბ. I, 5), მელაანი, ვაზისუბანი,  
მცხეთა,<sup>45</sup> წოისი,<sup>46</sup> დასავლეთ საქართველოში ამ ტიპის იარაღი  
საქმოც გავრცელებული ყოფილა. კინისძირის განძში სამი ნამგ-  
ლის ფრაგმენტი აღმოჩნდა,<sup>47</sup> ზენითის განძში — 2,<sup>48</sup> ორშევითის  
განძში — 4,<sup>49</sup> ცაგრის განძში — 2 (ტაბ. I, 3),<sup>50</sup> ქვიშარის განძ-  
ში — 1,<sup>51</sup> სოფ. მახარაძისთან აღმოჩენილი განძში — 1.<sup>52</sup>

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ნამგლებს  
ზოგიერთი ნიშანი სიერთო აქვთ. ისინი ჩამოსხმულია, ყველა უკუნ-  
წოა, სატარესთან 1—3 ნახტერტი აქვთ ვაკეთებული, მაგრამ გან-  
სხვავდებიან რიგი ნიშნების მიხედვით. ჩაც მათ სამეურნეო დანი-  
შნულებას უნდა შეესაბამებოდეს.

როგორც აღნიშნული იყო, თრიალეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს  
ნამგალი (ტაბ. I, 4) ბრტყელი ფირფატისაგან არის ვაკეთებული  
სხვა ნამგლებთან შედარებით დიდია, მისი სიფართე 3,5 სმ უდ-  
რის. მიუხედავად ამისა, ვაკერდზე არაეთარი შემაღლება, ქედი  
არ გასდევს, ეს მისთვის არც იყო იყო საჭირო, რადგან იგი მხოლოდ  
თიბგისათვის უნდა ყოფილიყო განკუთენილი და სხვა სახის ფუნქ-

<sup>45</sup> საქართველოს არქეოლოგი, გვ. 182.

<sup>46</sup> Б. А. Куфтии. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию. Тбилиси, 1949, გვ. 26, таб. VIII.

<sup>47</sup> თ. გ. თ. რ. ა. გ. მიწოდოქმედების იარაღი დასეცრ-ქრონიკული ცენტრი, გვ. 206, სერ. 7 და სერ. 10.1.

<sup>48</sup> А. А. Иессен. დასახ. ნაშრ., გვ. 122, სერ. 145.

<sup>49</sup> Б. А. Куфтии. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, სერ. 20, ტაბ. X.

<sup>50</sup> Б. А. Куфтии, იბid, გვ. 340.

<sup>51</sup> გ. ნ. თ. რ. ა. გ. ქვაშარის ანქერ-ოფიციელი მეგლები, გვ. 14, სერ. 11.

<sup>52</sup> А. А. Иессен. დასახ. ნაშრ., გვ. 125.

ციის შესრულება მისგან გამორიცხული ჩანს. ამავე დროს მეტად კელობაშია მისალები აღმოჩენის ადგილიც.

რაც შეეხება მეორე ჯგუფის ნამგლებს, პირველზე დამკარგებელი პირი პატარა ზომისანი არიან, მათი სიგრძე, სატარე ნაწილის ჩათვლით 15 სმ არ აღემატება. შედარებით ვიწროებია, 3 სმ-დე აღწევს სიფართით, ისიც მხოლოდ სატარესთან. წვერისკენ თანდათან ვიწროვდებიან, გასქელებული ყუა აქვთ და ბრტყელ გვერდზე, პირსა და ყუას შორის შემაღლებული ქედი გაუსვებათ. ყველა ცალპირლესულია. ამ ჯგუფის ნამგლები, განსაკუთრებით ურიათუბანში აღმოჩენილი იარალი (ტაბ. I, 2) სხვა დანიშნულების მატარებელი ჩანს. მათი სამეცრნეო დანიშნულება ვაზის გასხვლა უნდა ყოფილიყო. წარმატებით შეიძლებოდა მათი გამოყენება მებაღეობაშიც, ხეხილისათვის სხვადასხვა წვრილი რტოების შესაჭრელად.

ურადლება ვეინდა ვავამანვილოთ ამ იარალების ზოგიერთ თავისებურებაზე, რომლებიც უბრალო თიბვისათვის განკუთვნილ ნამვალს, არ ახსიათებს. აღრევე იყო შენიშნული რომ ამ ჯგუფის ნამგლებს გასქელებული ყუა აქვთ და ყუასა და პირს შორის ქედი გასდევთ<sup>44</sup>. ასეთი აღნაგობა იარალისათვის, რომელიც მუშაობის პროცესში უფრო მეტ სიმაგრეს, სიმკვრივეს ხვდება, აუცილებელი ჩანს, ვიდრე უბრალო ნამგლისათვის, რომელიც ჩეეულებრივ სათიბად იარალად არის გამოყენებული. თუ დაცუშვებთ, რომ ასეთი იარალებით მართლაც ვაზს სხლავდნენ, ან ბალში მუშაობდნენ, მაშინ ისინი, ამ საქმისათვის შესაფერისად გამოიყურებიან, რადგან გასქელებული ყუა და იარალის გვერდზე არსებული შემაღლებული ქედი, მას საემაოდ მტკიცე და ღონიერ იარალად ხდიდა. ასეთი იარალით ადგილი იქნებოდა ვაზისათვის რქის შეჭრა და მისი პირის დრეკადობა სიმკვრივესთან შეხების დროს შემცირებული იყო.

უკელა ასეთ იარალს 1 ან 2 ნახვრეტი აქვს. როგორც ჩანს, მათ სის ან რქის მოკლე ტარი ეგებოდა და ტანში მანქელებით

<sup>44</sup> Б. А. Куптин, დასახ. ნოშრ., გვ. 325.

იყო დამაგრებული. ამ ხანისათვის დაბლარი მეცნიერობა იტაკ და გულისხმევი, ხოლო ასეთი იარაღი სასხლავ ნამგლადა მიჩნეული ამიტომ თუ ასეთი იარაღი სასხლავად იყო გამოყენებული გამოყენებული უნდა ჰქონოდა, რადგან ადამიანს სასხლავი ვაზის ჩემისათვის ძირიდან უნდა მოედვა და თავისკენ მოეზიდა. ამ პროცესის დროს გრძელი ტარის არსებობა სრულიად გამორიცხულია, ხოლო მანკველებით ტარში სასხლავი იარაღის კარგად დამაგრება აუცილებელი იყო, რადგან ჩემის გაურას საქმით ძალა სჭირდებოდა და ასეთი სამუშაოს შესრულება ხანგრძლივად, ტარში იარაღის კარგად გამაგრების გარეშე, არ მოხერხდებოდა. ამდენად ყუნწიანი იარაღის სასხლავად გამოყენება ამ საფეხურისათვის შეუძლებელი ჩანს და ჩემში, ისე როგორც წინა აზიაში, უყუნწი ნამგლებია გავრცელებული, რომლებიც მებალეობა-მეცნიერობათან უნდა იყოს დაყავშირებული.

ევე იბადება კითხვა: რატომ მივიჩნიეთ თრიალეთში აღმოჩენილი ნამგალი სათიბავ იარაღად, როდესაც მასაც სატარეშე ორ ნახერეტი აქეს მანკველებისათვის? ჯერ ერთი, თრიალეთში აღმოჩენილი ნამგლები შედარებით დიდები და ფართვები არიან, უფრო წესიერად არიან მორკალური, მეორეც, მათ არც გასქელებული ყუა აქვთ და არც ქედი გაუყვებათ ბრტყელ გვერდზე, ამდენად ისინი სასხლავად არ გამოდგებოდნენ. ხოლო არც შეეცება მათ უყუნწობის, ეს კუკლა ნამგლისათვის ერთი და იგივე დამხასიათებელი ნიშანთვისებაა.

ევე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აღნიშნულ იარაღებს და მათ სამეურნეო დანიშნულებას — „სასხლავ ნამგლებად“ გამოყენებას — უფრო მეტ საჭუთიანობას შემატებს. ბაკურციხეში აღმოჩენილი ნამგლები, როგორც უემოთ იყო აღნიშნული, ვენახის სასხლავ იარაღად არის მინიჭეული. გამოთქმულ დებულების თანახმად, ბაკურციხეში აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღი ნამგალი კი არ არის, არამედ სასხლავია, უფრო სწორედ, „სასხლავი ნამგალია“, გამოყენებული მეენახეობის კლასურ ადგილს უდეველეს ხანაში.<sup>55</sup> ე. ი. ამ დებულების გამოთქმის შესძლებლობაში ავტორს აღმოჩენის ადგილის ბუნებრივი პირობებიც დაეხმარა, რადგან ბაკურციხე მეენახეობის კლასიკური ადგილია და აქ ეს კულტურა უძეველესი დროიდან უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ანალოგიური აზრია გამოთქმული „სასხლავი ნა-

<sup>55</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, ვე- 67—68, 73.

შვლების“ შესახებ საქართველოს არქეოლოგის“ სახელმწიფო  
ლოშიც, სადაც კითხულობთ: ბრინჯაოს ნამგალთა შოთაში გამოიწყე-  
ნენ ერთო სერია მცირე ზომის იარაღებისა, რომელთა მართვა  
ავტორებისა (ა. აფაქიძე, ბ. კუთტინი) სრულიად მართებულად  
სასხლავიდ მიიჩნევენ. ასეთი განსაზღვრა ამ იარაღებისა მით  
უფრო საჩიტო საჩიტოა, რომ თითქოს ყველა ისინი კახეთშია ნაპოვნი.  
წევნი აზრით, ეს გარემოება პირდაპირი მოწმობა უნდა იყოს მე-  
ვენახეობის მაღალ დონეზე დგომისა იორ-ალაზნის შუამდინარეთ-  
ი<sup>26</sup> ამ დებულების გამოთქმაშიც უაღრესად დიდი როლი  
იარაღთა აღმოჩენის აღვილში და მისმა ბუნებრივმა პირობებმა შეა-  
სრულა. რაღაც იარაღი მევენახეობით განთქმულ რაომიშია აღმო-  
ჩენილი, ადგილი შესაძლებელი გახდა მისი ამ კულტურასთან დაკავ-  
შირება და სასხლავ იარაღად გამოცხადება.

როგორი მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ დასაცლეთ საქართვე-  
ლოს მიმართ? ასეთი დებულების წამოყენებაზე ბ. კუთტინმა მო-  
გვიანო ხანის მასალების განხილვის დროსაც კი შეიკავა თავი. დაბ-  
ლაგომში აღმოჩენილი „ნამგლისებური დანა“, რომელსაც ბრტყელი  
სატარე უცნწი და მანქვლისათვის განკუთვნილი ნიხვრეტი აქვს, კა-  
ნის თოვრიან-ყალასა და სმელას ყორლანებში აღმოჩენილ რკინის  
დანებს შეადარა. ამგვარი რკინის მრუდე დანები არაერთგზისაა ნა-  
პოვნი მიერკავებისი ანტიკური დროის სამარხებში, ეშერში, ბან-  
ძაში, მანგლისში, გურგანში და სხვ. ეს უკანასკნელი უფრო ძლიერ  
აზრის მოღვაწული და ჩანს, სპეციფიკური სავენახეა, თან აბლავს  
რკინის ნამდვილი ნამგალი და სამარხურები. რაკი ამგვარი დანები  
ასე ფართოდ ყოფილ გავრცელებული, მათი ფუნქციური დანიშნუ-  
ლები შეიძლებოდა ფრიად სხვადასხვაგვარი ყოფილიყო. მიტომ ბუ-  
ნებრივად დაბიდებული აზრი დაბლაგომის დანის სავენახე ნამგლად  
მიჩნევის შესახებ დაბრკოლების აწყდება იმ შერივ. რომ დასაცლეო  
საქართველოში სავენახე იარაღებს სხვაგვარი გნეშისი აქვთ — ჯ  
მაღლარი ვენახების არქაული კულტურის გამო. იქ დღემდე ტარგო-  
ძელი წალდა-სასხლავები თამაშობს მევენახეთა უნივერსალური ი-  
რალის როლს.<sup>27</sup> აქედან კარგად ჩანს, ის, რაც დასაშეებია კახითი-  
სათვის, გამორიცხულია კოლხეთისათვის. რაკი კახეთი ამთავოთვე  
მიჩნეულია მევენახეობის რაონად, აქ აღმოჩენილი ნამგლების სასხ-  
ლავიდ აღიარება უფრო ადვილი და შესაძლებელი აღმოჩნდა, ვიდრე  
კოლხეთში აღმოჩენილი სასხლავი იარაღისა, გაცილებით მოვეიინ-

<sup>26</sup> საქართველოს არქეოლოგია, ვ. 182.

<sup>27</sup> Б. А. Кутини, материалы к археологии колхиды, т. II, ვ. 37—38.

ხანაშიც კი. ვფიქტობთ, რომ ზემოთ წამოყენებული მოსახლება მართლეს არ შეეფერება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაბლარი მევენახეობის წარმატები მოქმნისათვის რიგი წინამილობა საჭირო. აღნიშნული შემსრულებელი კოლხეთშიც არსებობდა და ამდენად იქაც უნდა წარმოქმნილიყო ამ უორმის მევენახეობა. თუ გაეისახებოთ, რომ წალლი მევენახეობასთან დაკავშირებული იარაღია და იგი მაღლარიდან დაბლარზე გარდამავალი ფორმის, ოლიხნარის, სხვლის საჭიროებიდან წარმოიშვა, ხოლო ამ იარაღის გავრცელება ძირითადად ემთხვევა ბრინჯოს ნამკლების გავრცელების არეს დასავლეთ საქართველოში, მაშინ უნდა ვივარაულოთ, რომ მთის წინა ზოლში, საღაც ყოველგვარი პირობა იყო შექმნილი მიწათმოქმედებისა და მევენახეობის განვითარებისათვის, ეს დარგები განვითარების მაღალ დონეზე იყო ასეული ვეინი ბრინჯოს ხანაში, ასებობდა გარდამივალი ფორმის მევენახეობა. უნდა ვივარაულოთ, რომ ამავე ხანაში, როდესაც დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ბრინჯოს ნამგლები, დაბლარი ფორმის მევენახეობაც იყო და აღნიშნული იარაღი იქაც „სასხლავად“ გამოიყენებოდა. დაბლარ მევენახეობას, რა იქმა უნდა, ფრიად ლოკალური ხისიათი უნდა ქვრინდა. მაღლარი აღბათ წამყვანი ფორმა იყო და კილევ ლილხანს დარჩა მევენახეობაში.

კოლხურ კულტურაში გავრცელებული<sup>57</sup> ბრინჯოს ნამგლები აღმოჩენილია სწორედ მთის წინა ზოლში, ისეთ ადგილებში, რომლებიც თავიანთი ბუნებრივი პირობების მიხედვით ხელსაყრელია მევენახეობის განვითარებისათვის. საერთოდ კი, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ ტიპის იარაღები, თრიალეთის გარდა (საღაც ისინი სათიბავ ნამგლებს წარმოადგენენ), მევენახეობისათვის ხელსაყრელ აფგანულშია მოპოვებული. ამრიგად კიდევ ერთი საბუთი უნდა მიმეატოს მოსაზრებას აღნიშნული ჯგუფის იარაღების „სასხლავ ნამგლებად“ მიჩნევის შესახებ.

აღნიშნული იარაღის ძირითად ფუნქციას ვაშის გასხვლა წარმოადგენდა, როგორც სამართლიანად არის შენიშნული, ბაკურიანეში სასხლავად გამოყენებული ნამგლისაბური იარაღი სხვა აღვილას, ვაშისაერთოებულ პირობებში, შესაძლებელია მესითვის ყოფილიყო გამოყენებული. ეს შეეხება პირველ რიგში იმ რაონებს, სადაც უძველესი ტროიდანვე გავრცელებული ყოფილა ხორბლებულის კულტურა.<sup>58</sup> თუ ბრინჯაოს ნამგლების აღმოჩენის აღვილებს გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ისინი ისეთ რიაონებშია ნაპოვნი,

57 ა. აფაშიძე, ბაკურიანის არქეოლოგიური მუზები, გვ. 80—81, 87.

რომლებიც შიწაომოქმედების განვითარებისათვის უაღრესად საყრელი პირობებით ხასიათდებიან. ამავე ტროს, ამ ადგილზე მევენახეობაც უნდა ყოფილიყო განვითარებული და ნამდგრატულ კულტურულ ექლოთ სხვადასხვა დანიშნულების სამუშაო შეესრულებაში გამოიყენება რიცხული არ ჩინს მათი გამოყენება თავთავითი მარცვლეული კულტურების მექის ტროს. მართებული ჩანს წამოყენებული მოსაზრება, რომ ახალი ფუნქცია ნამგლისა სრულიადაც არ გამორიცხავს ამ იარაღის გამოყენებას სამკალად. პირიქით, იქ, სადაც მევენახეობა სხვა დარგებთან თანაბარი მნიშვნელობისა იყო, იარაღი სხვადასხვა ფუნქციას შეასრულებდა. ოქმებში, საღაც უფრო მეტად მარცვლეულ კულტურებს მისდევდნენ, ბუნებრივ პირობებთან შედარებით, ნამგალი აღრე უნდა განვითარებულიყო ცელამდე. იქ კი, საღაც „ოქმი უაღრესად დაპეციალდა“ მევენახეობაში, სასხლავი ნამგალი აღრე უნდა განვითარებულიყო „სავაზემდე“. ამრიგად სასხლავი იარაღის გამოყენების და განვითარების შემდეგი სახე უნდა წარმოვიდენოთ:

1. სასხლავი ნამგალი *Falx putatoria*, სასხლავი, სავაზე, ცხემლარი, წალდი და ბურტული — სხვლისათვის.

2. ნამგალი, ცელი და წალდი — მექისა და ცელვისათვის.<sup>58</sup>

მაშასადამე, ძვ. წ. II თასაწილეულის გასულისა და I თასაწილეულის დასაწყისისათვის საქართველოს ტერიტორიაზე, მთის წინა ზოლში და მდინარეების სანაპიროზე მიწაომოქმედება უაღრესად განვითარებულია. ჩინდება ახალი ფორმის მევენახეობა—დაბლარი და ამ ტიპის მევენახეობისთვის დაკავშირებული ნამგლისებური დანები — სასხლავი. დაბლარი ფორმის მევენახეობის განვითარებამ ხელი შეუწყო გვაროვნეული საზოგადოების დაშლის პროცესს და დაჩქარა მიწაზე კერძო შეულობელობის წარმოშობა. განვითარებული დაბლარი მევენახეობა თავისი ხეილით შეუთავესებელი ჩანს გვაროვნეულ საზოგადოებისთვის, როდესაც მიწა საზოგადო მფლობელობას წარმოადგენს და გვარის ყველა წევრს ერთნაირად ეკუთვნის. ხოლო მიწიდან მიღებულ მოსავალს ერთნაირად ინაწილებს. დაბლარმა მევენახეობამ მეურნეობის ამ დარგში დაპეციალება მოითხოვა, ამიტომ იყო მიწაომოქმედების გამოყენ და ცალკე, ტამოუკიდებელი დიდი ფარგი გახდა მეურნეობისა. ამ დარგის შემდგომშეა განვითარებამ ადამიანი მიწაზე კერძო საკუთრების ჩამოყალიბებამდე მიიყვანა. ზოგ ავტორს მიწაზე კერძო საკუთრების ჩამოყალიბება ძვ. წ. III საუკუნეში უკვე მომხდარ ფაქტურად მიაჩნია, რადგან

<sup>58</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ბაკურციხის არქოლოგიური მუზეუმი, გვ. 87.

ქვევრში დაკრძალვის ფაქტები, გაგებული იქნა როგორც იმის გამო მხატველი, რომ ქვევრსამარხებში დამარხულო საკუთარი ცენზო ქვემდით. ე. ი. მიწაზე კერძო საკუთრება, იმ ხანიდან მანიც ტახტული ნიდანაც ჩვენში ქვევრსამარხები ჩნდება, რაც მომხდარული მუშაობების ისეთი დარგება, როგორიცაა მეცნიერობა-მეცნიერება.<sup>60</sup>

„სტრაბონი თავის აღწერილობაში იბერიის მოსახლეობის „მესამე გენოსის“ სახელით იხსენიებს—„მიწათმოქმედი და მეომრები“, ფენა, რომლის ქართული სახელი, როგორც სამართლიანადაა აღნიშნული მკვლევართა მიერ, „ერთ“ უნდა ყოფილიყო. ისინი, საფიქრებელია, ჯერ კიდევ სამოფლო თემებში იყვნენ გაერთიანებული, ძნელია თქმა, რამდენად განვითარებული იყო მეთემთა შერის კერძო საკუთრების, კერძოდ, მიწაზე კერძო საკუთრების იმსტიტუტი. ფორმალურად შეიძლება მიწა კვლავ თემის საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ ფაქტიურად იყი უკვე, უეჭველია, ცალკეული ოჯახების ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდა. აქაც უნდა გავიხსენოთ მეურნეობის თავისებური ხსიათი საქართველოში. კერძოდ, უკვე უეჭველს ხანებში განვითარება მიწათმოქმედების ისეთი ინტენსიური დარგებისა, როგორიცაა მეცნიერობა და მებაღეობა. ...ჩევნ გვაძვს უკვე უურძნის შატერიალური ნაშთები — ყურძნის წიპტები, ნაპოვნი დ. წ. IV—III სს ფენებში (საგარევოს ჩაიონში, სოფ. ნი-ონწმინდაში — ნ. კალაძის მასალები, აგრეთვე ცხინვალის ნაცარ-გორასთან 1948 წ. ნაპოვნ სამარხში). მეცნიერობის განვითარება კი როგორც უკვე აღნიშნული იყო ზემოთ, თემური მიწათმულობის რლევენისათვის ხელისშემწყობი ერთო ფაქტორი უნდა ყოფილიყო<sup>61</sup>. აკად. ნ. ბერძნიშვილს ერთ-ერთ თავის ნაშრომში გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ „ბარის ბუნებრივი პირობები (ეს იყივეა, რასაც ჩევნ მთის წინა ზოლში ვაკულისხმობთ. ა. ბ.) მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის შეუდარებლად მეტ საშუალებას იძლეოდა, ვიდრე მთა. სწორედ აქ, ბარში წარმოიქმნა განვითარებული კულტურები მეხორბლეობაში (ძეველი, ადგილობრივი პრი-

<sup>60</sup> გ. ც ტ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. შორავნის ქვეყანა ანტიურ ხანაში. გვ. 68. პ. ც ტ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. მეცნიერობის ისტორიისათვის საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, სტრანის იმსტიტუტის შრომები. ტ. IV, ნაკვ. 11, თბილისი, 1956, გვ. 144 — 145.

<sup>61</sup> გ. ც ტ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებრისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკუთხისათვის, თბილისი, 1955, გვ. 160.

მიტიოლი პურეულის ჯიშების გაუმჯობესებისა თუ უცხოურის ხა  
სესხობის გზით), მევენახეობაში (დაბლარის ქართული თეტა უცხო-  
ური ჯიშები). მებილეობა-მებოსტნეობაში და სხვ. მომართებულების  
საამისოდ მეტად შეზღუდული იყო და მისი შემდგომში ჩატექტებული  
განვითარებაც შეფერხებული იყო (ცშავი, ხევსურეთი, მოცულეთი,  
ხევი, სეანეთი, თუშეთი).

აქ, ბარში, ამ სამეურნეო განვითარებისდაცვალად ჩნდება კერძო  
საკუთრება სავენახე, საბაღე თუ სხვა „ნალვაწ“ მიწაზე. ეკონომიკუ-  
რად დაწინაურდებიან სახლები და იქმნება სოციალური უთანაშორ-  
რობის წარმოქმნის ტენდენცია<sup>42</sup>.

„ნალვაწ“ მიწებად აქ პირველ რიცხი მიჩნეულია ისეთი მიწება,  
რომლებიც იჩწყვებოდა და სიირიგაციო მეურნეობის მოწყობასთან  
იყო დაკავშირებული. „მაგრამ აეტორს, კერძოდ, მხედველობიდან  
არ გამოიჩინია, რა ოქმა უნდა, რომ მიწა კერძო საკუთრების რბი-  
ებრად იქცა და პირველყოფილი თემური წყობილება კლასობრივა  
ურთიერთობამ შეცვალა ისეთ ქვეყნებშიაც, სადაც მორწყვას დიდი  
სამეურნეო მნიშვნელობა არ ქონდა. მაგრამ ეს მხოლოდ იმას მოწ-  
მობს, რომ სამიწაომოქმედო მეურნეობის განვითარება, რაც საჭუ-  
ცელია მიწაზე კერძო საკუთარების ინსტიტუტის გავრცელებისა, სხვა-  
დასხვა პირობებში სხვადასხვა მომენტს ემყარება (მორწყვა, გაშრიო-  
ბა, გაშენდა-გატება, მოქნა, დავაკება, გაპატივება, განაშენება, შე-  
ლობება, შეკავება და სხვადასხვა). ჩვენი მოსაზრება კი, რაც ამ შემ-  
თხვევაში გვაინტერესებს, ისაა, რომ აღ მოსავლე თ საქართ-  
ველო შეი მიწის მორწყვა იყო ის უმთავრესი მნიშვნელობის  
მომენტი. რასაც ქართლის ინტენსიური მეურნეობის განვითარება  
ძირითადად ემყარებოდა და რაც თავის მხრით, იყო მთავარი საფუ-  
ძველი, როგორც მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენისა და კლასობ-  
რივი ურთიერთობის წარმოქმნისა, რაც, განვითარების შემდგომ სა-  
ფეხურზე, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისა.<sup>43</sup>

მიუხედავად იმისა, რომ, აქ მიწაზე კერძო საკუთრების წარმოქმ-  
ნის საქმეში მთავარი რილი მორწყვას აქვს მიკუთვნებული, იგი  
ჩვენ მიერ წამოყენებულ მოსაზრებას სრულიადაც არ ეწინააღმდეგე-  
ბა და კიდევ ერთ დამატებით საბუთს წარმოადგენს „ნალვაწ“ მა-  
წებზე კერძო საკუთრების ჩამოყალიბების სასაჩვებლოდ. ე. ი. თუ

42 ნ. ბერძენიშვილი, ერთ უცრცილი სტორიულ-გოგრაფია  
დღიურიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I. ლბალია,  
1960, გვ. 181—182.

43 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

ვანვითარებული არ იყო მიწათმოქმედება, მარცვლეულისა და ლაპლატინის კულტურა, მაშინ თავისთვის და სიირიგაცია მეურნეობაც საჭირო არ იქნებოდა. მაღლარი მევენახეობა მორწყვას/რჩის/ მიზანი კიროებს, რადგან იგი სანახევროდ მაინც ტუიურ პირობეჭიშვილი მიზანი ხოლო დაბლარი ვენახის გაჩენის შემდეგ მევენახე გამოცდილებით იმაშიაც დარწმუნდა, რომ გამომშრალი ნიაღავის მორწყვა სასაჩვებლო იყო და მას ასეთი ხერხისთვისაც უნდა მიემართა. რა თქმა უნდა, მორწყვის სისტემაზე დამყარებული დაბლარი ვენახის კულტურა კიდევ უფრო მცირე მოცულობისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე თვით დაბლარი მევენახეობის გაფრცელების არე მისი წარმოქმნას პირველ საფუძველზე. ასეთი სახის მეურნეობა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში იქნებოდა გაფრცელებული, ხოლო დასავლეთ საქართველოში, ნალექების რაოდენობის სიდიდის გამო, საირიგაციო მეურნეობის მოწყობა გამორჩებული ჩანს და აქ მიწაზე კერძო საეულოების ჩამოყალიბება სწორედ დაბლარი ფორმის მევენახეობის წარმოქმნასა და მის ვანვითარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ორნაცევარი ათეული წლის წინათ, იმ მკირე მონაპოვართა შესწავლის მიხედვით, რაც მაშინ არქეოლოგის მოქმედოდა, ა. იესენია, დამაცელთი საქართველო ტყით დაბურულ ქვეყნად მიიჩნია და აქ ტყის ტიპის მიწათმოქმედება ივარაუდა, ხოლო კახეთი ვანვითარების მიხედვით თითქმის წინა აზიის სახელმწიფოებთან, კერძოდ კი ურარტუსთან, ვაათანაბრა. მან, ავად, მეშჩინინვთან ერთად, ამ მხარეში, მიწათმოქმედება მეორე ხარისხოვან, ხოლო მესაქონლეობა კი ძირითად დარგად ჩათვალი,<sup>44</sup> რაც, ჩვენი აზრით, ვაკე რაიონებისათვის მართებული არ უნდა იყოს. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მიწათმოქმედება ამ ხანისათვის, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით, მეურნეობის ძირითადი დარგი ჩანს, რომლის გვერდით ვანვითარებული მესაქონლეობაც იყო, თუმცა იგი აღნიშნულ რაიონებში გამოყოფილი უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედებისაგან.

ბაკურლიხში, სასხლავ ნამგლებთან ერთად აღმოჩნდა ფრინველიად სტილიზებული ნამგალი, რომელიც ა. აფაქიძემ მევენახეობისა და საერთოდ მებალეობის აუკავების სიმბოლოდ მიიჩნია.<sup>45</sup> თუ ამ

<sup>44</sup> А. Иессен, გასაბ. ნაშრ., გვ. 113—115.

<sup>45</sup> ა. აფაქიძე, ბაკურლიხის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 84.

შოთარიშვილის მართებულად ჩატვლით, მაშინ ეს ნიშანი უკვემოფრთხოების დრო მოწმე იქნება ამ მხარეში მიწათმოქმედების განვითარებისთვის.

ბრინჯაოს „სასხლავი ნამგლების“ შემდგომ განვითარებული უკვემოფრთხოების დრო ხანაში ჩეკინის მოხრილი დანები უნდა წარმოადგენდეს. ასეთი დანები, საღლეისოდ ცნობილი მასალების მიხედვით, დვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან არის ცნობილი და საქმაოდ უარ-თოლაც არის გაერცელებული ისეთ რაიონებშიაც კი, საღაც მეცენა-ხეობა არც საგულვებელია და მისთვის არც ხელსაყრელი ბუნებრი-ვი პირობები აჩვებობს. მიიტომ ასეთი დანების დანიშნულება და სამეურნეო ფუნქცია სხვადასხვა რაიონებში სხვადასხვა უნდა ყო-ფილიყო. თუ მეცენახეობის რაიონებში მათი გამოყენება სასხლაუ, სავაზე დანაღაა შესაძლებელი და მიჩნეულიცაა, მთიან რაიონებში იგი შესაძლოა მეცხოველობასთან იყოს დაევალირებული. ოღნიშნუ-ლი ტიპის დანები შედარებით პატარი ზომისაა, სიგრძე 8—15 სმ, სიგანე 1 — 3,5 სმ უღრის. სატარე სწორია და მასზე ორი-სამი, ზოგ შემთხვევებში ერთი ნახვრეტია გაეკეთებული მანქელისათვის, პირი მოხრილი აქვს, ყუა სქელი, ცალპირლესულია, წვეტიანი. დანებს, როგორც ჩანს, ხის ან რქის ტარი ეგებოდა და მანქელებით მაგრ-დებოდა, რაც მას მოხდენილ და სამზღვო სამუშაო იარაღად აქცი-და. ასეთი იარაღით თავისუფლად შეიძლებოდა დაბლარი ვრნახის გასხვლა და სხვა სახის მწვანე თავერაცხების ჩატარება. გამოიყენე-ბოდა აღმათ ყურძნის კრეფის დროსაც, როგორც ამას ზოგიერთი

66 ვეინბრინგასონ ხანის მასალებში, კიდევ ერთი, სახის იარაღი გვხვდება. რომლის გამოყენებასც ვარაუდობენ მეცენახეობაში. ეს კომპინირებული იარა-ღია და სამეცნიერო ლიტერატურულში ცნობილია ცულნამგალას სახელით. იგი საქართველოში სულ რაზი ცალია აღმოჩენილი, ერთი ქაზიკალის მახლობლად, მეორე კი ლუმიშემი. ა. აფაქიძეს გამოთქმული აქვს მოსირება, რომ მისი ცორჩა და მოუკანილობა გვიჩვენებს, ი. სამკეულ იარაღად ანუ „სამკეულ ნამგლალ“ იარა-ღის შემთხვევებში არ ვამოცებოდა, ხოლო საკატად და სასტაციად დაცელი სა-მარტი და ცუმეტიური იქნებოდა, ა. ა ფ ა ჭ ი ძ ე. ბაკურების აჩვეოლი ივისური ტეგლები, გვ. 82. ეს მოსაზრება შემდევ ვიზიონის ა. უფტიშვილის ც. კუფტიშვილის კულტურისა და მეცენახეობის განვითარებისთვის ნაკადის განვითარებისათვის იქნებოდა. ნულსაყრელი იარაღი ჩანს იგი ახლს ასაღებად, მისი ნამგლისებური პირი გამოდგებოდა მიწის ზევით საკატად, ხო-ლო ცულისებური—უნდებისა და ფუსვების საჭრელად. მიიტომ იგი მეცენახეობა-სთან კავშირში არ უნდა იყოს და ამ თვალსაზრისით განშილული არა ჩვაექვს.

ავტორი ვარაუდობს. მმ დანების სასხლით იარაღიდ გამოყენება მდგრად საგულვებელია, რომ ისინი წშირად ქვევრსამარხის ინკენტრას წარმოადგენს. ხოლო ქვევრი, როგორც მმას ქვემოთ უკავშირი ხავთ, მევენახის დასამარხვად გამოყენებულ კურჭლადბრძველს მარტინ ამდენად სავარაუდოა, რომ მევენახის საიმპერიანოდ, სხვა ნივთებთან ერთად, სასხლავი იარაღიც გაატანეს. მეორეს მხრივ, მმ ხანაში ვენახის არსებობა ეჭვის აღარ იწვევს, სასხლავიდ გამოყენებული სხვა სახის იარაღი კი არ ჩანს, ხოლო მმ დანების განვითარებულში ფორმებში „სავარაზის“ და „სასხლავის“ სახელშოდებით თავი XX საუკუნის დასაწყისამდე შემოინახეს. ესეც ერთ-ერთი დამატასტურებელი საბუთი უნდა იყოს აღნიშნული დანების აღრევე სასხლით იარაღიდ გამოყენებისა.

როგორც აღნიშნული იყო, მოხრილი რეინის დანები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებული.

ბრილის VII — VI სს სამარხებში, აღმოჩენილ რეინის დანები უმთავრესად საყოფაცხოვრებო დანიშნულება ჰქონდათ. თუმცა ზოგიერთი მათგანის სიღიღდე აღბათ მიუთითებს მათ საპიროლო ოვისებებზეც. ბრილური დანები მოხრილია და ცალ გვერდზე თდნავ ყუა შემაღლებული. ამ დროის ზოგიერთ სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს, ხის ან ძვლისტარიანი, მეტად მოხდენილი დანები; ხემ და ძვალმა შემოინახა ტარის შემკულობის ნაშთები — ლამაზად ამოკვეთილი კონცენტრული წრეები და სპირალები.<sup>67</sup>

აღრეანტიკური ხანის ეშერის სამართვამზე, ურნაში აღმოჩენილი იქნა ჩანის ნამგლისებური იარაღი (ტბ. I, 6). იგი წარმოადგენს პატარა მრუდე პირს, რომელიც ჩამიგრებული იქნებოდა ჩეის ან ძვლის ტარში, რეინის მანქველით და კიდეც შერჩენია ამ ნახვრეტს. მანქვლის ზომა, სატარე ნაწილის სიფართე და სწორულთხოვება კამორიცხავს შესაძლებლობს, ვივარაუდოთ, რომ ტარი ხისა იქნებოდა. აუცილებელი ჩანს გაცილებით მავარი და მტკიცე მასალა, რომელიც მაინც გამჭრალა. სეთი ყველაზე უფრო იქნებოდა რეა. რაც შეეხება დანიშნულებას, ეს იარაღი აღბათ წარმოადგენდა საბალე მრუდე დანას, გაცილებით უფრო მოღუნულს, ვიდრე ბანის მრუდე დანა (ტ. II ს.).<sup>68</sup>

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩანის მრუდე ნამგლისებური დანები ეშერის სამიეკ სამარხში აღმოჩნდა ჩალშეზნექილ სამაჭუ-

<sup>67</sup> საქართველოს არქეოლოგია, ვ. 193.

<sup>68</sup> Б. А. Куптии, Материалы к археологии Колхиды, т. I, ვ. 40, Тб., V, 10.

ჩებთან ერთად, რაც გვიმცნობს, რომ ამ დროს გავრცელებული  
ყოფილა ამგვარი იარაღი, რომელსაც გურჯანში მართული ზედომი  
ნამდის მოვალეობა შეესრულებია სიდიდისა და ფუნქციურული  
ხედვით.<sup>39</sup>

ეს ოდნავ მოხრილი დანა, რომელიც უნაში ჩაუდვიათ სპაფუ-  
რებისა და ამფორისკების ასორტიმენტთან ერთად, უკეთესად  
ეკუთხნოდა ჭალს და ემსახურებოდა მას ალბათ უკრძას საკრე-  
ზად. რა თქმა უნდა, არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მგვა-  
რი დანა გამოეყენებიათ მწიფე თავთავების მოსაჭრელადაც. მაგრამ  
თუ ასე იყო, მაშინ მისი ფორმა დაარღვევს აღვილობრივი ნამდის  
განვითარების ყველაზე უფრო ძირია მსვლელობას და ვერც სამ-  
კალი იარაღის ანტიურ ფორმათა შორის ჰპოვებს აღვილს.<sup>40</sup>

აღნიშნული დანა თავისი სამეურნეო ფუნქციით პ. კულტინმა  
შაინც მეცნახეობას დაუკავშირა, თუმცა იგი სასხლავ იარაღად არ  
მიიჩნია და ამის მიხეში დაბლაგომის დანების განხილვისთან დაკავ-  
შირებით გამოთქვა. რაյი მგვარი დანები ასე ფართოდ ყოფილა  
გავრცელებული, მათი ფუნქციური დანიშნულება ფრიად სხვადა-  
სხვგარი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ბუნებრივად დაბადებული  
აზრი დაბლაგომის დანის სავენახე დანად მიჩნევის შესახებ დაბრ-  
კოლებას აწყდება იმ მხრივ, რომ დასივლეთ საქართველოში საენა-  
ხე იარაღებს სხვადასხვაგარი გენეზისი აქვთ, აქ მაღლარი ვენახის  
კულტურის გამო.<sup>41</sup> ამ მოსაზრების შესახებ ზემოთ უკვე გვეხმა-  
ოლი შენული და აქ მას აღარ გავიმეორებთ.

მოხრილი რეინის დანა აღმოჩნდა თეთრიშვაროს მახლობლად  
ქვევრსამართში, რომელიც ძე. წ. VI—V სს თარიღდება. აქ აღმოჩე-  
ნილი დანა სატარესთან ოდნავაა მოხრილი, სიგრძე 8,5 სმ უდრის.<sup>42</sup>  
მსგავსი დანები აღმოჩენილია თრიალეთში, ბერიაშენის სამართვან-  
ზე, რომელიც ამავე ხანის მიეკუთვნება.<sup>43</sup>

<sup>39</sup> Б. А. Куптиш, материалы к археологии Колхиды, т. I, გვ. 41.

<sup>40</sup> ი ქ ვ, გვ. 40

<sup>41</sup> Б. А. Куптиш, Материалы к археологии Колхиды, т. II, გვ. 37.

<sup>42</sup> ა. ბ რ ჩ ა ძ ე, აღრეანტეცერი ხანის სამართები თეთრიშვაროში, ასმა-  
რანტთა და ახალგაზრდა შეცნები მემდეთ VIII სამეცნიერო კონფერენციის თ-  
ზისები, თბილისი, 1957, გვ. 62.

<sup>43</sup> Б. А. Куптиш, Археологические раскопки в Триалетии, Тбилиси, 1941, გვ. 45.

ოღნიშნული ტიპის დანები აღმოჩენილი იქნა კამარახეველის სამოვანზე, რომელიც ძვ. წ. V—III საუკუნეებით თარიღდება<sup>74</sup>. ჩანს დანები სამეურნეო იარაღებს წარმოადგენენ და, შესრულებული სასხლავადაც კარგად გამოიყენებინათ. ასეთ შემთხვევაში შემატებული ვაკები ვაკები კამარახევში მიწათმოქმედთა, კერძოდ, შევენახეთა სამარხებიც. ძველი დედაქალაქის ამ უბანზე მეცნიახეთა ცხოვრება მოულოდნელი არ უნდა იყოს. არავის მარცხნა ნაპირი მსხვილი მეურნეობის მოწყობის პირობებს ქმნიდა უთურდ ძველადაც, ე. ი. მცხეთის დედაქალაქობის ხანაში, კერძოდ კი ძვ. წ. V—II საუკუნეებში, როგორც ამას კამარახევის სამაროვნის გათხრისას მოპოვებული მასალა გვიჩვენებს. ფეოდალური ხანის ვითარებაც ამ მხრივ თითქმის კარგადაც ცნობილი; ამ უბანზე საკმაოდ დიდი საწინახლის ნაგრევებია შენიშნული არქეოლოგიური ძიებისას და შენიშნულია ძველადვე გალავანშემოვლებული ზეარი „წიწამურის სერის“ ძირში.<sup>75</sup>

„დიდი მცხეთის“ სარეინე უბანზე ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა ლითონის, საწილი და დასამუშავებელი სახელოსნოების ნაშთები. უნდა ვიცარაუდოთ, რომ აյ არის დამზადებული კამარახევის სამარხებში აღმოჩენილი დანები (სავაზეები) და, საერთოდ, დედაქალაქობის ხანის მცხეთისა და მის მახლობლად აღმოჩენილი იარაღები.<sup>76</sup>

მოხრილი რეინის დანების სიმრავლით ყურადღებას იპყრობს ჩხორიშვილი. აქ სულ 7 რეინის დანა აღმოჩნდა, მათ შორის ორი II და III სამარხში, მათი სიგრძე 10-დან 13 სმ-დე აღწევს. სატარე ყუნწებს ნახვრეტები აქვს და ზოგ მათგანში შემორჩენილია მანჭვალი. ერთს შემორჩენია ძვლის ტარიც (სურ. 2). ეს დანები, როგორც ამას ავტორი ფიქრობს, აღმართ ყურძნის საერეფად იხმარებოდა<sup>77</sup>, ხოლო მსვავი დანები სასოფლო-სამეურნეო იარაღებით აქვს მიჩნეული.<sup>78</sup>

<sup>74</sup> ჩ. ჩ. მი შეი ლ. ი. კამარახევის სამაროვანი, მასალები საქართველოსა და კეთილის არქეოლოგიისთვის, ტ. 11, თბილისი, 1959 წ., გვ. 18, ტაბ. VII, 4, 23-24, ტაბ. X, 2, გვ. 24, ტაბ. XIV, 4.

<sup>75</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, მცხეთი ქართლის სამეცნის ძველი დედაქალაქი, თბილისი, 1959, გვ. 60.


<sup>76</sup> ი ქ 3 9, გვ. 75.

<sup>77</sup> Н. Х о ш т а р и а. Чхороцку, могильник с трупосожжением (захоронение в урнах) и остатки поселения, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, თბილისი, 1941, ნაკ. II, გვ. 80.

<sup>78</sup> ი ქ 3 9, გვ. 81.

ნ. ა. ბოხოჩაძე.

ალაზნის ველის გათხრების დროს №7 სამარხში აღმოჩენდა კუთხია  
ცალი წვერმოტეხილი, რკალისებურად მოხრილი დანა,<sup>79</sup> რომელიც  
სასხლავ იარაღი იქნა მიჩნეული. ასეთივე ტიპის დანერვა მასში ნილია გურჯაანში,<sup>80</sup> მანგლისში,<sup>81</sup> აფაშეთში, ადგილ ციმარუორევზე,<sup>82</sup>



სურ. 2. დანისპირები რეკინისა. სოფ. ჩხოხოველი (სამეცნიერო).

<sup>79</sup> გ. ნიორაძე, ალაზნის ველის გათხრები, თბილისი, 1940, გვ. 20, ტაბ. XIIIc, ტაბ. XIIIp, ტაბ. XIIe, ტაბ. XIIIi.

<sup>80</sup> Б. А. Куфтии, Материалы к археологии Колхиды, т. I, гв. 41, Б. А. Куфтии, ქასახ. ნაზრ., ტ. II, გვ. 37; არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტ. II, თბილისი, 1955, გვ. 82, ტაბ. XLVIII, 1.

<sup>81</sup> ლ. მელიქ სამი — ბეგო, მანგლისის ნეკომისული, „ჩევნი მეცნიერება“, № 1 (13) ტფილისი, 1924, გვ. 82—87.

<sup>82</sup> Т. И. Беленький, Дневник Археологической раскопки на 95-ой версте Поти-Тифлисской жел. дороги, вблизи речки Кириллы, Пятый археологический съезд в Тифлисе. Протоколы подготовительного комитета, Москва, 1882, гв. 487, 490, 492.

როგორც აღნიშნული იყო, მოხრილი ჩეინის დაწები ფართის უძველესი გავრცელებული არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, მარმარალის სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაშიც. ამდენად მთი სამეურნეო უნჯებიაც სხვადასხვაგვარი უნდა ყოფილიყო ადგილისა და პირობების შესაბამისად. ეშერში აღმოჩენილ დანის პარალელი ვარის მახლობლად, თოვრაბ-ყალაში<sup>56</sup> და აღრესკვითური ხანის სმელის ყორდანების მასალებში მოეძებნებათ.<sup>57</sup> გვიანანტიკური ხანის სასხლავ იარაღად წოდებული დაწები აღმოჩენილი იქნა. შევი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს,<sup>58</sup> ისინი რამდენადმე განსხვავდებიან ფორმის, მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამავე ხანის იარაღებიდან და უფრო მოგვიანო ხანში გავრცელებულ საესვე და სასხლავ იარაღებს მოგვავონებენ.

აღნიშნული ტიპის საესვე და სასხლავი დაწები საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და იგი თანამედროვე ეთნოგრაფი-

\* М. Иващенко, Бори., 1943.

<sup>53</sup> გ. ექიტი შვილი, მეცნაბეჭის ისტორიისათვის/საქართველოში არქიოლოგიური შასაქლების მიხედვით, ისტორიის იმსტიტუტის მუნიციპალიტეტი, ტ. IV, ნაკვ. II, თბილისი, 1959, გვ. 140.

<sup>54</sup> გ. ექიტი შვილი, შერაპინის ქვეყანა ანტიკურ ხანში (ქართლის სამეურნეო მოწოდებული გეოგრაფიიდან) ხელნაბეჭდი, 1961 წ., გვ. 65.

<sup>55</sup> გ. ლომთა თ მ. გ. კლიფერის სამართვანი, თბ., 1957, გვ. 16, 177, სურ. 2 ბ, ტაბ. XXI, 1, ა; გ. ლომთა თ მ. გ. საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახმასთხოვისათვის აბ. წ. I—III საუკუნეებში, სატორის იმსტიტუტის მუნიციპალიტეტი, ტ. I, 1955, გვ. 352, 358; საქართველოს არქეოლოგიური კულტური, გვ. 317.

<sup>56</sup> გ. ლომთა თ მ. გ. კლიფერის შარმოცხული არქეოლოგიური გათხრების უშიშრებლოვანების შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიათვის, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 188, სურ. 2.

<sup>57</sup> კ. ლომთა თ მ. გ. კლავერ რასოვი, თბილისი, 1957, გვ. 169, ტაბ. XXXVII.

<sup>58</sup> C. F. Lehmann-Haupt, Materialien zur älteren Geschichte Armeniens und Mesopotamiens B: Abh. d. K. Gesellsch. d. Wiss. zu Göttingen. Ph. Hist. Kl. NF. Bd IX. Berl. 1907, გვ. 101, სურ. 72.

<sup>59</sup> А. А. Бобринский, Кургани и случайные находки из местечка Смела, т. I, СПБ. 189—2, გვ. 68, 75, 76.

<sup>60</sup> В. Б. Блаватский, Раскопки Пантикеапеля (1947 г.) КСИИМК. XXXVII, გვ. 214, სურ. 71, 1, გვ. 215. В. Ф. Гайдукевич, Раскопки Мирмекия в 1935—1938. гг., МИА, № 25, М.—Л, 1952, გვ. 184, სურ. 91. В. Ф. Гайдукевич. Виноделие на Боспоре, МИА, № 85, II, М.—Л. 1958, გვ. 361, სურ. 5.

ულ ყოფაშიც შემოინახა. სავაზე და სასხლავი დანებრ, მეცნიერებასთან და სხვლასთათ დაკავშირებული იარაღი, ფართოდ არის განხილული აყალ. ი. გ. გავაძიშვილის<sup>79</sup> და სხვათა ჩარჩოშვილის<sup>80</sup> ამიტომ მათ აქ ხელმეორედ განხილვას აღარ შეუდგენ.<sup>81</sup> მაგრამ ამას არ შეუდგენ.

მაშიალამე, მეცნიერების განვითარების უძველესი საფეხურების დაღვენისა და შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ მასალებს ენიჭებათ. ირკვევა, რომ ამ სამი ათასი წლის შინ ჩენის წინაპრებს ისე განუვითარებით ვაზის კულტურა, რომ მისი სხვლაც სცოდნიათ.<sup>82</sup> ამ საჭიროებისათვის განსაკუთრებული სასხლავი იარაღები შეუქმნიათ. განვითარებული ფორმის სავაზე-სასხლავი იარაღები საქართველოს მეცნიერების უკელა რაიონში კოდვილა გავრცელებული და მათი ხმარებიდან გამოსხლა გასული საუკუნის დასასრულიდან დაიწყო, როდესაც ხმარებაში სკატორი შემოვიდა.

აყალ. ი. გ. გავაძიშვილმა გამოიკვლია უკელა ის ტერმინი, რომელიც ვაზის გასხვლასთან არის დაკავშირებული და ვენახის ამა თუ იმ ნაწილს ეწოდება. უკელა ტერმინი ქართული წარმოშობისა ჩანს და ნასესხები სხვა ხალხიდან ამ მხრივაც არაფერი გვერნია.<sup>83</sup>

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს მეცნიერების რაიონებში დღესაც დაცულია ტელი დროიდან შენარჩუნებული მეტად დიდი და თვალსაჩინო ხსიათის სპეციალურობა, ჩენთვის ცხადი იქნება, რომ ი. გ. გავაძიშვილის დასკვნა სავსებით სამართლიანია. ჩენის მეცნიერებისში სადღეისოდ წმარებული ტერმინები მეტად მდიდარი და დამოუკიდებელი წარმოშობისაა. თითოეული საქმიანობა, ვაზის ცალკეული ნაწილები ატარებენ სრულიად გარკვეულ და ჩამოყალიბებულ სახელებს, რომელიც გაცილებით უფრო მდიდარი და უკეთესი გამომხატველი არიან მოიტექით და წარმოებისა, ვიდრე მეცნიერების მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ხმარებული ტერმინები. ასეთივე განსაკუთრებული სიმღლიდრით ხასიათდება მეცნიერებული ცურპელი, მისი მო-

<sup>79</sup> ი. გ. გავაზიშვილი, საქართველოს კუთხმიური ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 330 — 331.

<sup>80</sup> ა. ა. ე. ქ. ი. გ. გ. ბაკურიაშვილის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 63—89. და სტ.

<sup>81</sup> ა. ა. ე. ქ. ი. გ. გ. საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგურ აღმოჩენათ შეუქმნია, თბილისი, 1956, გვ. 25.

<sup>82</sup> აღნიშნული საყითხის იჩველი დაწერილებით იხილეთ — ი. გ. ტავაზე ვაკელი, საქართველოს კუთხმიური ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 343 — 348, 358 — 367.

კუვანილობა, ოდენობა და სახელწოდებანი. — ყოველიც ეს კი რა საკუთრებულია, ერთი დღის მონაპოვარი და შემთხვევითი ხელითის როდია. საქართველოს მატერიალური კულტურის შესწავლულზე ამ, ჯერ კიდევ „ცოცხალ“, ნაშთებს განსაკუთრებული ღირებულება აქვს.<sup>93</sup>

საქართველოს ტერიტორიაზე ამ მხრივ მასალა მრავალფეროვანია. შეკრებილია 430 ტერიტორია, რომელშიც ამ შედის ყურძნის ჭიშთა სახელწოდებანი და როგორთან დაკავშირებული ტერმინები. ამათგან მეცნიერების 150 მილითადი ტერიტორია განსხვავებულია, ამა თუ კუთხების, არამედ სოფლებისა და ზოგჯერ მოქმედების მიხედვითაც. ამიტომ, ცადით, საქართველოში არსებული, მეცნიერებასთან დაკავშირებული, ყველა სიტყვის აღნუსხვა ძნელია.<sup>94</sup>

ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკის სიუხვე მოწმობს, რომ ხალხს, რომელიც ძველთაგანვე მისდევდა მეცნიერებას, ზელმიწევნით ჩისწვდომია სოფლის მეურნეობის ამ დარგს, ვაზის კულტურის მოვლა-დამუშავებისა და ყოველი მისი ნაწილის სახელწოდებით გამოიხატავს ამა თუ იმ პროცესის მნიშვნელობა და ამ თუ იმ ნაწილის ფუნქცია.<sup>95</sup>

ვაზის მოვლასთან და მის ნაწილებთან დაკავშირებული ლექსიკური მასალა, რომელიც ქართული წარმომადგენებისაა, უძველესი დროიდან იქმნებოდა და ვაზის კულტურის წარმოქმნის ლოკალურ რაონებს შეესაბამება, რაც კიდევ ერთ დამატებით საბუთს წარმოადგენს ამ კულტურის აღგილობრივი წარმოშობისა და შემდგომი განვითარების სასაჩვებლოდ. თუ ლექსიკური მასალები აქ არ მოვიტანეთ, რომლებიც ყავის, ფავისიშვილს აქვს განხილული და ას. ასათიანის საქართველოს ტერიტორიაზე შეგროვილი, ეს იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დარიდრეო თავი ჟყვე შესწავლილი საკითხებისა და მასალების განმეორებას, იგი ღაინტერესებულ მკითხველს აღნიშნული ავტორების ნაშრომებში შეუძლია ნახოს.

<sup>93</sup> სოლ. ჩოლოკაშვილი, შეენახეობის სახელმძღვანელო, გვ. 56.

<sup>94</sup> ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულსა და თანამეტროვა ქართულ დაბატიტებში, საქართვის დისტაცია, შანქანიშე ნაბეჭდი, თბილისი, 1950, გვ. 6.

<sup>95</sup> იქვე, გვ. 184.



არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალების დაცვის სამართველოს ტიტული  
რომელიც უძრავიდ მოწმობს მეცნიანეობის არსებობას, ყურძნის  
წიპწებიც მიეკუთვნება. წიპწები აღმოჩენილია ძველ ნამოსახლარ  
ადგილებზე, სამარხებში და მარნის ქვევრებში.

აღმოჩენილი წიპწები შეიძლება იყოს როგორც ველური, ისე  
კულტურული ვაზის ყურძნისა, მათი გამოცნობა შესაძლებელია  
წიპწების მორფოლოგიური შესწავლის გზით, რაღაც ველური და  
კულტურული ყურძნის წიპწებს რიგი თავისებური ნიშნებისა ახა-  
სიათებს; ასევე განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან ეკოლოგიურ-  
გეოგრაფიული ჯგუფების მხხედვით.

ვაზის ჯიშის განსაზღვრისას, როგორც აღნიშნავს ა. ნეგრული,  
ამპელოგრაფები ისახელებენ ყურძნის წიპწის ყველაზე მუდმივსა და  
დამახასიათებელ ნიშნებს. პირველ ყოვლისა, ესაა წიპწის ტა-  
ნისა და ნისკარტის ზომა — მოყვანილობა, ქალაძის ფორმა და მუც-  
ლის მხარეზე აჩებული ღარების ხასიათი; მაგრამ ვაზის ჯიშის  
განსაზღვრა წიპწის ამ ნიშნების მიხედვით თითქმის შეუძლებელია.<sup>1</sup>

მოცულობა ყურძნის წიპწებისა განსაზღვრება სიგრძესა და  
სიგანის ცვალებადობით. უკანასკნელ ხანებში ფართოდ არის გამო-  
ყენებული ინდექსი წიპწების სიფართის შეფარდებისა სიგრძესთან  
(შტუმერის მეთოდი, გამოიყენა 1911 წ.), იმისათვის, რომ ვაჩევნოთ  
განსხვავება გარეული (ssp. *silvestris* Gmel.) და კულტუ-  
რული (ssp. *sativa* D. C.) ვაზის წიპწებს შორის.<sup>2</sup>

ყურძნის წიპწები, რომლებიც უცილობლად მიეკუთვნებიან  
უძველეს რელიეტურ ფორმებს, სიხისათვის დამახასიათებელ ნიშ-  
ნებს გარდა, ხასიათდებიან რიგი საერთო ნიშნებით, სახელობრ;  
სცერტული მოყვანილობით, პაწია ტანით, მოკლე ნისკარტით (1 მმ-  
დე), მკაფიოდ გამოკვეთილი, მომრგვალებული, ცენტრში მოთავ-  
სებული ქალაძით.<sup>3</sup>

ტიპიური ფორმა ველური ეკრაზული ვაზისა (ssp. *silvestris* Gmel.), რომლის წიპწის საშუალო სიგრძე 5 მმ. (4 — 6 მმ) უდ-

<sup>1</sup> А. М. Негруль. Археологические находки семян винограда. Советская археология, Москва, 1960, ტ. 1, გვ. 112.

<sup>2</sup> ი. ჯ ვ. გვ. 113.

<sup>3</sup> ი. ჯ ვ. გვ. 113.

რის, ძალიან ახლოსაა *Vitis*-ს სხვა ჯიშებთან. ძირითად განწყვეტილი კულტურული ვაზისა (ssp. *sativa* D. C.) კულტურისაგან (ssp. *silvestris* Gmel.) ითვლება. წის მსხლისებრი მოყვანილობა, ტანის წაგრძელება 5—9 მ-და, ფიდარებით გრძელი ნისკარტი, 1—2,5 მ, ოვალური, ჩაზნექცილი ქალაქი, წიპწის ზედა თავი ჩვეულებრივ გადაწეულია. წიპწის სიფართის დამოკიდებულება სიგრძესთან (შტუმერის მიხედვით) კულტური ვაზისათვის 0,76—0,83, კულტურულისათვის 0,44—0,53.

კულტურულ და კულტურ ვაზს შორის არსებობს გარდამავალი ფორმები, ასე, მაგალითად კულტურ ვაზთან წიპწების ზომით ძალიან ახლოს დგას ზოგიერთი ძეველი ჯიში, რაც საცსებით გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ მათ წარმოშობას კულტური ვაზიდან.

მრავალრიცხოვანი ვაზის ძეველი ჯიშები ssp. *sativa* D. C. ა. ნეგრულის მიერ დაყოფილია კეოლოვიურ-გეოგრაფიულ ჯვარებად, რომლებიც წიპწების საშუალო ზომით განსხვავდებიან; დასავალეთ-ევროპული ჯვარი (Prol. *occidentalis* Negr.)—5,8 მმ, ზევი ზღვის აუზის ჯვარი (Prol. *pontica* Negr.)—6,1 მმ, აღმოხავული საღვინე (Prol. *orientalis subprol. caspica* Negr.)—6,8 მმ, აღმოხავლური სასუფრე (Subprol. *antasiatica* Negr.)—7,2 მმ.<sup>4</sup>

უკრძნის წიპწები მიწაში ხანგრძლივი დროის ყოფნის გამო შევდება. მაგალითად, X—XII საუკუნის წიპწები ჯერ კიდევ ინახავენ ყავისფერს, XI—V საუკუნეებისა მურა ყავისფერია, ხოლო უფრო ძეველ წიპწებს მიღებული აქვთ ზევი ფერი. წიპწები აღმოჩენილი ნახანძრალ, დანახშირებულ აღგილზე ნაკლებ სანდოა, ზოგ შემთხვევაში ისინი იმყოფებიან სხვა დანახშირებულ ნაყოფებთან და შესაძლებელია მათგან აღვილად გაიჩინეს. საერთოდ განათხარი წიპწები 5 ათასი წლის მანძილზე ინახებიან კარგად.

სპეციალური ცდებით დადგენილია, რომ ტიგელში გამოწევის შედეგად წიპწის სიგრძე მცირდება საშუალოდ 0,6 მმ-ით (8—10% მთელი სიგრძისა), სიფართე 0,25 მმ-ით, ხოლო ნისკარტის სიგრძე კი 0,2 მმ-ით.<sup>5</sup>

<sup>4</sup> А. М. Негруль, Эволюция культурных форм винограда. Доклады АН СССР, Москва, 1938, т. 18, № 8; А. М. Негруль, Происхождение культурного винограда и его классификация, Ампелография, СССР, Москва, 1946, т. I, გვ. 182—183; А. М. Негруль, Археологические находки семян винограда, СА, I, 1960, გვ. 113.

<sup>5</sup> А. М. Негруль, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

აღნიშნული ნიშან-თვისებებისა და ეკოლოგიურ-გეოგრაფიული  
არის მიხედვით შესაძლებელი ხდება აღმოჩენილი წიპწებით ქანა-  
ლობითი განსაზღვრა ვაშის ჭიშისა.

ამიერკავკასიაში მოპოვებული მასალები გვიჩვენებული არის ყე-  
პროცესის ხანაში, წიპწები თავისი ტიპის მიხედვით მიეკუთვნებიან  
ეკლური ვაშის (ssp. *silvestris* Gmel.) სახეს, გვედდება იგრუ-  
ოვე წიპწები ssp. *sativa* D. C. მოშინაურებული ვაშისაც.<sup>6</sup>

ხანლართან გათხრილ ძეელ ნამოსახლარში, რომელიც ძ. წ. I  
ათასეულის დასაწყისს მიეკუთვნება, ერთ-ერთი ნასახლარის გაწ-  
მენდისას აღმოჩენდა იატაში ჩაღვმული დიდი ზომის კურპელი  
(კვევრი). მასში აღმოჩენდა ყურძნის (Vitis *vinifera* -b) წიპწები.  
ეს აღმოჩენა მოწმობს მეცნიანეობა-მელვინეობის დიდ სიძეველეს  
ამიერკავკასიის ტერიტორიაზე,<sup>7</sup> ყურძნის წიპწები აღმოჩენილი  
იქნა კარმინბლურზე, ციტადელის გათხრების დროს,<sup>8</sup> და ისინი  
მიეკუთვნებიან კულტურული ვაშის ჭიშებს. ყურძნის წიპწები ცნო-  
ბილია უზერლიკ-თეფედან (კ. კუშნიაროვას გათხრები) და ყაზახი-  
დან (ი. ნარიმანოვისა და დ. ხალილვას გათხრები), ისინი ბრინჯა-  
ოს ხანას მიეკუთვნებიან და საკმაოდ დიდი ზომით და ნისკარტით  
ხასიათდებიან.<sup>9</sup>

ყურძნის წიპწები აღმოჩენილია საქართველოს ტერიტორიაზე,  
მაგრამ ისინი გაცილებით გვიან ხანისა ჩანან, ვიდრე ჩვენში კულ-  
ტურული მეცნიანეობა და მელვინეობა საფარისუდო. აღრეული ხა-  
ნის წიპწების არასებობა ჩვენში, უპირველეს ყოვლისა, ამავე ხანის  
ნამოსახლარი ადგილების შეუსწავლულობით უნდა აიხსნას, რადგან  
ამ ჯვეფის მასალები სწორედ ასეთი ადგილებიდან არის მოსალოდ-  
ნელი და სამარხებში მათი აღმოჩენა შემთხვევითი ხასიათისა.

საქართველო ეკოლოგიურ-გეოგრაფიული არის თვალსაზრისით  
პონტოს ჯგუფში შედის. ამ ჯგუფის ვაშისათვის დამახასიათებელია  
მთელი რიგი ნიშნებისა, რომლებიც მას სხვა ჯგუფის ვაშებისგან  
ანსხვავებს. ზემოთ ჩამოთვლილ სხვა ნიშნებთან ერთად ამ ჯგუფის

<sup>6</sup> А. М. Негруль, დას. ნაშრ., გვ. 117.

<sup>7</sup> Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Ленинград, 1949, 71.

<sup>8</sup> З. М. Касабян. Переработка земледельческих продуктов в Урарту по материалам раскопок Кармир-Блурэ, автореферат кандидатской диссер-тации, Ереван, 1960, გვ. 8.

<sup>9</sup> А. М. Негруль, დას. ნაშრომი, გვ. 117.

ყურძენს ახალითებს წვრილო, საშუალო სიღიღის, თითქმის უნიკარტო კურგა.<sup>10</sup>

პროფ. ლ. დეკაპტელევიჩს ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნულია აღმოსავლეთ საქართველოში ხიშინჯებიანი შენობების ნარჩენებში ნაპოვნია ხორბლისა და სხვა კულტურულ მცენარეთა მარცვლები, ყურძნის წიმწები. წიფლის წიწიბო, რკო და აგრეთვე მარცვლის დასაფხვნელი ქვები. ეს ნაპოვნი ენეოლითს ეკუთვნის.<sup>11</sup> სამწუხაოდ, აეტორი ზუსტად ას მიუთითებს აღმოჩენის აღგილსა და დროს, არქეოლოგიურ ექსპედიციას, აღმომჩენის ერთობას. ვ. სიჭინავის ენეოლითის ხანის ყურძნის წიმწები დინა-გუძუბის ქვედა ფანაში აღმოჩენილად მიაჩნია და შეცდომით უთითებს ნ. ხოშტარის ნაშრომს, სადაც წიმწების შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს.<sup>12</sup>

შეორე აღვილურ იგვევ ავტორი ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნი. შეას, რომ „საქართველოში ვაშის კულტურა გაშენებული იყო ენეოლითის პერიოდში. ამ მოსაზრებას სავსებით აღასტურებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითური პერიოდის ყურძნის წიმწების აღმოჩენა. მართალია, ეს წიმწები მეცნიერულად შესწავლილი არ არის, მაგრამ ეს ჩვენ უფლებას არ გვაძლევს არ მივიჩნიოთ ისინი კულტურული ვაშის ყურძნის წიმწებად. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს წიმწები აღმოჩენილია ენეოლითური პერიოდის საოჯახო ინკუნტართან ერთად, რაც კიდევ უფრო გვაჩრენებს, რომ მაშინდელ საქართველოში ვაშის კულტურა გაშენებული იყო და იძრიონდელ მოსაზღვრობაში ყურძენი და აგრეთვე ლვინო მოწონებით სარგებლობდა.“<sup>13</sup>

აეტორის ასეთი პრეტენზიული განცხადება უსაფუძვლოა, რადგან ენეოლითის ხანის მასალებში, არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთ საქართველოში, ყურძნის წიმწები ჩერ-ჩერობით ცნობილი არ

<sup>10</sup> А. М. Негруль. Промеждение культурного линограда и его классификация. З. 182—183.

<sup>11</sup> ლ. დ. დ ვ ე ვ ბ ე ლ ე ვ ი ნ ი. შოთა რესოვლის ეპოქის შინლერის უმთავრესი კულტურები. შოთა რესოვლის ეპოქის მატერიალური კოლექტის იბილისი, 1938, ვ. 6, 35.

<sup>12</sup> ვ. ს ი ჭ ი ნ ა ვ ა, მასალები შევენახეობასა და შელვინეობის ისტორიასთვის საქართველოში, 1960, გვ. 28.

<sup>13</sup> ვ. ს ი ჭ ი ნ ა ვ ა, მასალები შევენახეობასა და შელვინეობის ისტორიასთვის საქართველოში, 1960, გვ. 32 — 33.

არის და ამდენად ივტორისეული დებულებაც მოკლემული  
ველგვარი საფუძველს.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი წიპწები არჩევის შემთხვევაში  
უფლისციხეში, სამოსახლო ბორცვის გათხრების ღრმას და მკ-  
კუთვნება ძვ. წ. I თასეულის დამდეგს.<sup>14</sup> აქ საკურთხეველად ჩად-  
გმულ ჰურპელში (კოჭობში) აღმოჩნდა:

1. ფშატის კურკები და
2. ყურძნის წიპწები.

აღნიშნული მასალა, როგორც სხვა დანარჩენიც, შესწავლილია  
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
მებალეობის, მეცნიერობისა და მელვინეობის სამეცნიერო კვლევით  
ინსტიტუტში პროფ. მ. რამიშვილის მიერ.<sup>15</sup>

უფლისციხის ზონაში ფშატი, როგორც გვაძვის ამტანი მცენარე,  
ძველთაგანვე გავრცელებულია და დღესაც გვხვდება ცოცხალი ლა-  
ბეების სახით. კურკების შემოწმებით დასტურდება, რომ ფშატის  
ერთ ფორმასთან გვაქვს საქმე.

ყურძნის წიპწები მორფოლოგიური აღნიგობის მიხედვით 4  
ჯგუფად იყოფა. ყველას ნათლად ემჩნევა დამახასიათებელი ნისკარ-  
ტი (მოკლე), ზურგის მხარეზე ქალაძა და მუცლის მხარეზე თრთ  
ლარი.

ხანდაზმულობის გამო, როგორც ფშატის, ისე ყურძნის წიპწებს.  
განუცდით დეფორმაცია, რის გამოც ძნელდება ზუსტად დავადგი-  
ნოთ წიპწები კულტურულია (*v. sativa*) თუ გარეული (*v. silve-  
stris*) ვაშისა.

აღნიშნული წიპწები შესაძლოა ველურიდან კულტურულ ვაზზე  
გარდამავალ ფორმასიც მიეკუთვნებოდეს. ორმცა, როგორც დაკუ-  
ნაშია აღნიშნული, გარკვევით რაიმეს თქმა შეუძლებელია წიპწების  
დეფორმაციისა და ხანდაზმულობის გამო.

<sup>14</sup> დ. ხახურიშვილი. უფლისციხეში 1959 წ. წარმოდგენილი არქეო-  
ლოგიური ინტერი შედეგები, სამეცნიერო ცენტრი, მიძღვნილი 1959 წლის სავაუ-  
რისტო ლოგიკური კლევატობის შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, თბი-  
ლის, 1960, გვ. 56.

<sup>15</sup> დასკვნები ყურძნის წიპწების შესახებ, რომელიც გაკუთხებულია პროფ.  
მ. რამიშვილის მიერ, ინახება ანტიკური და უკოდაცური ხანის არქეოლოგიის  
განკუთვილების არქეოლოგიური წიპწების აღწერილობა, მით მორფოლოგიური ფასადი-  
ობები და ეზოს გიშის განსაზღვრა, ამოლებული გვაქვს პროფ. მ. რამიშვილის მიერ  
გადმოგზავნილი დასკვნებიდან.

შედარებით მოგვიანო ხანის წიპწები აღმოჩენილია 1955 წელს  
ნინო ბერძენიშვილის შეკრულის შეკრულის შეკრული, სოფ. ნინოწმინდაში ჩატარდებული არქეოლოგიური გათხრების დროს, ერთ-ერთ სამართლებრივი კულტურული დოკუმენტის, რომელიც ძვ. წ. IV—III საუკუნეებით თამაშურებული იყო.

წიპწები შესწავლილი და განსაზღვრულია პროფ. პ. რამიშვილის მიერ.

ნინოწმინდაში აღმოჩენილი 5 ცალი წიპწის მორფოლოგიური აღნაცობა მიგვითითებს, რომ უკელი კულტურული ვაზის ტიპიური წარმომადგენლებია და ვაზის ორ კულტურულ ჯიშთან გვაქვს საქმე.

I. ერთი ცალი წიპწი — რომლის მთლიანი სიგრძე ნისკარტის ჩათვლით 6 მმ-ია, სიგანე 3,5 მმ; ნისკარტის სიგრძე 1 მმ. ნისკარტი კონუსისებური, ქალაძა ჩაღრმავებული და მოგრძო ოვალური, მუცულის მხარეზე ორი ღარის შეკეთრი გამოსახულებით, ქალაძის ბოლოდან ჩასდევს საკმაო ღრძია ღარი. ამ ნიშნების მიხედვით იგი წააგვის ვაზის უძველეს ჯიშს ბუდეშურს.

II. ოთხი ცალი წიპწი — რომელთა სიგრძე 5,8 მმ; სიგანე — 3,4 მმ; ნისკარტის სიგრძე 0,6 მმ. ნისკარტი მოკლე, მოკვეთილი ცილინდრული; ქალაძა მომრგვალო ჩაღრმავებული. მუცულის მხარეზე ღარები საქმაოდა გამოსახულია. ამ ნიშნებით ემსგავსება აღმოსავალეთ საქართველოში გავრცელებულ მწვანეს.

მიუხედავად იმისა, რომ წიპწების შესწავლით აბსოლუტურა ვანსაზღვრა ვაზის ჯიშისა არ ხერხდება, სასურველად მივვაჩინია მოკლე აბპელოგრაფიული დახასიათება ვაზის იმ ჯიშებისა, რომელსაც ნიშნების მიხედვით იგი წააგვის. ზევით აღწერილი წიპწების მიხედვით ერთი ჯიში ბუდეშურს უახლოვდება.

ივ. ჭავახიშვილი ბუდეშურს მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავალეთ საქართველოს ჯიშად გულისხმობს, მისი სახელი ოდესაც საქართველოში აჩვენდება გეოგრაფიული სახელისგან უნდა იყოს წარმომადგერი. მისი კვალის წარხოლების გარემოებაც ამ ყურძნის ჯიშის საპატიო ზნიერების გამომედავნებელია.<sup>16</sup>

<sup>16</sup> პ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მეცნახეობის ისტორიისთვის საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, გვ. 138.

<sup>17</sup> ი. ვ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს კუთხომისურა ისტორია, წევნი მეორე, გვ. 525; ნ. კ ე ც ხ ვ ე ლ ი, პ. ა მ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ტ ა ბ ი რ ე კ ე ს. საქართველოს მშელოგრაფია. თბილისი, 1960, გვ. 113.

ბუდე შერი წითელი, ადგილობრივი ვაზის ჭიშია, წარმოშობილია კულტურული ვაზის ჭიშების ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივა კერიდან. ეკოლოგიურ-გეოგრაფიული კლასიფიკაციის ქრისტფრაუბი რომელიც პროფ. ა. ნეგრულმა შეიმუშავა, მიეკუთვნება კულტურულიანია, Subprol. georgica Negr. ჯგუფს. ძველად იგი გვირცელებული ყოფილა მესხეთში. იგი საქმოდ ძველი ჭიში ჩანს. ენდურივიათად არის გაერცელებული.<sup>18</sup>

მწვანე-ქახური ადგილობრივი ვაზის ჭიშია, იგი წარმოქმნილია კულტურული ვაზის ჭიშების ფორმათა წარმოშობის ადგილობრივი კერიდან. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ჭიშის მორფოლოგიური, სამეურნეო თვისებები და შედარებითი ამპელოგრაფის მონაცემები, რომელთა მიხედვით იგი ძლიერ ემსგავსება სხვა ადგილობრივი ვაზის ჭიშებს და მათთან ერთად მიეკუთვნება ვაზის ჭიშების Prol. pontica, subprol. georgica Negr.-ის ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფს. ბიოლოგიური ნიშნების მიხედვით იგი უძველეს ჭიშად უნდა მიეიჩინოთ და რქაწითელზე გაცილებით აღრეული ჭიში უნდა იყოს.<sup>19</sup> რქაწითელი კი იგ. ჯავახიშვილმა V ს-ის ანტა დროში წარმოშობილ ვაზის ჭიშად მიიჩინა.<sup>20</sup>

სოხუმის ციხის ტერიტორიაზე წარმოებული გათხრების დროს, ავ. წ. IV — III საუკუნეების ფენაში აღმოჩენილი იქნა ყურძნის წიპწები.<sup>21</sup>

სოხუმიდან წარმოდგენილ ნიმუშები აღმოჩნდა მხოლოდ ერთი ჯიშის ყურძნის წიპწები. წიპწების საშუალო სიგრძე მეტყეობს 5—6,5 მმ-დე, სიგანე 3—4 მმ-დე, ნისკარტის სიგრძე 0,7—1,0 მმ-დე.

მუცლის მხრიდან ახასიათებს ორი ღრმა ღარი, მომრგველო და ხშირად ამობურცული ქალაძა. ამ ნიშნებით, აგრეთვე წიპწების ფორმით, იგი კულტურული ვაზის ტიპიური წარმომადგენელია და უახლოვდება ქართული ვაზის უძველეს ჭიშს კაჭის.

კაჭის გავრცელებულია აფხაზეთსა და სამეგრელოში. მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშანთვისებებით იგი ადგილობრივ ჯი-

<sup>18</sup> საქართველოს ამჟღაობაფია, გვ. 119.

<sup>19</sup> საქართველოს ამჟღაობაფია, გვ. 238.

<sup>20</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, ლაბა. ნაშრ., გვ. 530.

<sup>21</sup> А. М. Апакидзе, О. Д. Лордкипанидзе, Отчет о работах причерноморской археологической экспедиции в 1959 г. სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წლის საფულე—არქეოლოგიური კოლეგიაში შედგენისადმი, მომსწნებათა ანორტაციები, თბ., 1960, გვ. 41.

შებს უახლოედება და ამტკიცებს მრს კოლხეთის ფორმითა წარმოშნის კერაში წარმოშობის საკითხს.<sup>22</sup>

უკრძნის წიპწები აღმოჩენილია ურბნისში „ხიზანაანთ გურულურული“ აქ აღმოჩენილი წიპწები შეისწავლეს პროფ. ა. ნეგრულმა პილატის მიერ რამდენიმე ვინაოდან ს. ნადიმაშეილისეული დათარილება წიპწებისა ეჭვს იწვევს, ამიტომ მოვიყვანთ დაწერილებით მონაცემებს აღნიშნულ წიპწებზე, ორივე მკლევარის განსაზღვრიდან.

აღმოჩენის ადგილი	თარიღი	წიპწების სა- შეალო სიგრძე მი- ლიმეტრებში	ნისკარტის სა- შეალო სიგრძე მილიმეტრებში	ჭალაძის ტიპი
საქართველო ურბნისი	ძვ. წ. III ათასწლეულ- ის დასაწყისი	6,4 ± 0,14 (5,5—7,0)	1,5 ± 0,03 (0,75—2,0)	ჭალაძის ზედა ნაწილი რეალუ- რია, შეაში კი მომრგვალებული

პროფ. ა. ნეგრულის დასკვნის მიხედვით ს. ნადიმაშეილის მიერ შეგროვილ უკრძნის წიპწებს ურბნისიდან, რომელიც დათარილებულია ენეოლითით (ძვ. წ. III ათასწლეული), აქვს მერაყავის ფერი, ზომით აღწევს 7 მმ., ხოლო ნისკარტის სიგრძე 2 მმ, აქვს ოვალური ზედა ქალაძა. ეს ფაქტი თავისთვის გვავალებს გადავხედოთ დათარილების სისწორეს, თუმცა აზერბაიჯანში მოპოვებული წიპწები ბრინჯაოს ხანისა უზერტლიკ-თეფე (შეგროვილია კ. კუშნიაროვის მიერ) და ყაზახიდან (შეგროვილია ი. ნარიმანოვისა და დ. ხალილოვის მიერ). ხასიათდებიან საქამოდ დიდი ზომებით და ნისკარტით.<sup>23</sup>

პროფ. მ. რამიშვილის „დასკვნაში“ აღნიშნულია: არქეოლოგ ს. ნადიმაშეილის მიერ ვაღმოგზავნილი ყურძნის წიპწები, მისივე განმარტებით, ნაპოვნია ძველი ნაქალაქირის—ურბნისის ტერიტორიაზე, ე. წ. „ხიზანაანთ გორა“-ზე, ადგილობრივ კოლმეურნეთ მიერ მიწის სამუშაოების დროს, სამლოცველო ნაგებობის თოხატუების იატაკის ინვენტართან ერთად. პრეპარაცია ჩატარებულია თვით ს. ნადიმაშეილის მიერ. მისი განმარტებით იგი უნდა ეკუთვნოდეს ენეოლითის პერიოდს (III ათასწლეული ჩ. წელთაღრიცხვიდე).

წარმოდგენილი 11 ცალი წიპწის მორფოლოგიურმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ვაზის მხოლოდ და მხოლოდ ერთ ჭიშთან გვაქვს

<sup>22</sup> საქართველოს ამ ეთობა ფრა. გვ. 192.

<sup>23</sup> А. М. Негруль. Археологические находки семян винограда, СА, გვ. 117.

საქმე, რაც მტკიცდება წიპწების ქვემოთ მოყვანილი მორგვლისადმი  
ური აღნავობით.



წესის ნომერი	წელი	სიმძლე	სისართოები	სისართოები	სისართოები	მუცლის ღამისადმი	
						შეალის აღნაგობა	მუცლის ღამისადმი
1.	6	4,5	2	კვერცხისფერი, საშუალო სიღრმის	კალამიდან ნისკარტისა-კენ გასფეროს მცირე ზომის გართი ღამი; მუცლის მა-რეზე გამოსახულია ორი ღარი.	"	"
2.	5	4,5	1,3	მომრგვალო, მცირედ ჩანარებილი	კალამიდან ნისკარტისა-კენ გასფეროს მცირე ზომის ღარი; მუცლის მარეზე რამი ღამისა.	"	"
3.	6	4,5	2	კვერცხისფერი, საშუალო სიღრმის	"	"	"
4.	6	4,5	2	კვერცხისფერი, საშუალო სიღრმის	კალამიდან ნისკარტისა-კენ გასფეროს მცირე ზომის გართი მუცლის მარეზე რამი ღამი.	"	"
5.	5	4	2	კვერცხისფერი, მცირედ ჩალრაცებული	"	"	"
6.	6	4,5	2	კვერცხისფერი, საშუალო სიღრმის	"	"	"
7.	4,5	3,2	1,2	"	"	კალამიდან ნისკარტისა-კენ გასფეროს მცირე ზომის გართი ღარი; მუცლის მა-რეზე გამოსახულია ორი ღარი.	"
8.	5,3	2,8	1,0	"	"	"	"
9.	5,4	3,3	1,6	"	"	"	"
10.	5,1	4,0	1,2	"	"	"	"
11.	4,1	3,5	1,2	"	"	"	"

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, წიპწების მორფოლოგიური  
ალნაგობა უზრიერთ მსგავსია; განსხვავდებიან ერთმანეთისგან შავ-  
ლოდ სიღიძით, რაც ჭიშის ფარგლებში დასაშევებად არის მოწირული  
ლი. ამ ნიშნების მიხედვით, ნაპოვნი წიპწები უახლოვდება ქართული კულტურის  
გარეულებულ უძველეს ჭიშს ბუდეშეურს.

აქევ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წიპწებს არ დაუკარგავა  
თავიანთი მორფოლოგიური სახე, რაც ერთდაგვარად ეჭვს ბადებს შათ  
ჰეტად ხანდაზმულობაში. და თუ დათარიღება სწორია (არქ. ს. ნა-  
დიმიაშვილის განმარტებით — ენეოლიტის პერიოდისა) შესაძლოა  
წიპწები ინახებოდა პერმეტიულად დახურულ ჭურჭელში.

როგორც ვნახეთ, ორმა სპეციალისტმა მკელევარმა ერთმა-  
ნეთისგან დამოუკიდებლად შეისწავლეს ურბნისში აღმოჩენილი  
წიპწები და მათი ხანდაზმულობის შესახებ ეჭვი გამოიქვეს. პროფ.  
მ. რამიმშვილის განსაზღვრით, ასე შორეული ხანის წიპწების მოლ-  
წევა დაუზიანებლად ჩვენამდე მხოლოდ პერმეტიულად დახურულ  
ჭურჭელში იყო შესაძლებელი, რაც თვით ს. ნადიმიაშვილის მონაცე-  
მებს არ შეეფარდება. აქ საქმე უნდა გვქონდეს კულტურული ფე-  
ნების აღრევასთან.

აღნიშნულ გორაზე ჩატარებული გათხრების დროს დადგენილი  
იქნა თოი ფენის არსებობა. აქ ენეოლიტურ ფენას ზემოდინ უშეა-  
ლოდ ანტიკური ხანის კულტურული ფენა აღევს, და ყურძნის წიპ-  
წებიც ამ ფენიდან უნდა მომდინარეობდეს. წიპწები აღვილობრივ  
კულტურნეთა მიერაა აღმოჩენილი მიწის სამუშაოების შესრულე-  
ბისას და ამ დროს ფენების გამოყოფა ერთმანეთისგან შეუძლებე-  
ლი იქნებოდა. ბულეშურთან მიახლოებული ვაზის ჭიშის არსებობა  
შიდა ქართლში, ანტიკურ ხანაში სავსებით შესაძლებელია და წიპ-  
წების აღმოჩენაც მოსალოდნელი.

ყურძნის წიპწები აღმოჩნდა აგრეთვე ცხინვალის ნაცარეორასთან  
1948 წ. გათხრილ ერთ-ერთ სამარხში, რომელიც ძვ. წ. IV — III  
საუკუნეებს მიეკუთვნება.<sup>24</sup> სამწუხაროდ, ეს წიპწები ჯერ-ჯერმანით  
შესწავლილი არ არის და ამდენად ვერ ვიტუვით, მიეკუთვნებიან თუ  
არა ისინი კულტურულ ვაზეს.

<sup>24</sup> გ. ცეიტიშვილი, მეცნახობის სატერიტოსაონის საქართველოში  
ასტროლოგიური მასალების მიხედვით. გვ. 138; გ. მელიქიშვილი, საქარ-  
თველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხ-  
საონის, გვ. 160; გ. სიჭინავა, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

ურბნისში ჩატარებული გათხრების დროს, აღრეცეცა მართვის  
ხანის ქალაქის ტერიტორიაზე, მევენახეობა-მეღვინეობასთან შირებული მრავალნაირ ინვენტართან ერთად აღმოჩენილი კურძნის წიპწებიც.

მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული შუაფეოდალური,  
ხანის მასალები აღმოჩენილია რუსთავის ნაქალაქარის გათხრების  
დროს. მესამე თხრილის № 3 ოთახში მდებარე ქვეცრში აღმოჩენილი  
ყურძნის წიპწები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ქართლ-კახეთში  
გავრცელებული ვაზის აბორივნული ჯიშებისაგან. ქაური წიპწ.  
ზომით მოკლეა და განიერი, პატარა ნისკარტით. მუცლის მხრიდან  
მცირედ იქცს გამოსახული ღარები. აღნიშნული ნიმუშები უფრო  
უახლოვდება მოსავლის მოტუმ ველური ვაზის ფორმებს, რომელთა  
წარმომადგენლები ამჟამადაც ფართოდ არის გავრცელებული ილგო-  
თის, ქცია-მაშავრის, იორ-ალაზნის ხეობებში (კახის, ზაქითალას, ბე-  
ლაქნის, ლაგოდეხის, ყვარლის, საგარეჭოს, მარნეულის, გარდაბნის,  
თეთრიწყაროს, ბოლნისისა და ღმანისის რაიონებში). დასახელებულ  
რაიონებში ნაპოვნი ველური და გაველურებული ვაზის ფორმის  
ყურძნენი ფერით მეტ წილად წითელია ან შავი, წვრილმარცვალა და  
ორ-სამ-წიპწიანი, როგორც პროფ. მ. რამიშვილი გადმოვცემს, აღ-  
ნიშნული ვაზის ჯიშები მაღლარს წარმოადგენდა, ხეებზე ისე იზრ-  
დებოდა, რომ ადამიანის ზრუნვას არ ყოფილა მოქლებული. მათი  
გასხვლა ხდებოდა ხოლმე გრძელტარიანი წალდებით და ვაზებს გაუ-  
დაბურების საშუალება არ ეძლეოდათ. სხვათაშორის აღნიშნული  
გარემოების გამო რუსთავში აღმოჩენილი ორი ცალი წალდი (ყოველ  
შემთხვევაში პატარა შაინც) შეიძლება სასხლავ წალდებად მივი-  
ჩნოთ.<sup>25</sup>

<sup>25</sup> ლ. ჭილაძე ვ. ლ. ა. ქალაქი რესთავე, ისტორიულ-არქეოლოგიური ნარ-  
კვევი, თბილისი, 1958, გვ. 169. ტაბ. XXXVII.

## თავი მეორე

მ ე ლ ვ ი ნ ი ს ა ბ ა

### ცარცაზები

როდესაც მეღვინეობის დარგის ხანდაზმულობაზე და მის განვითარებაზე გვაქვს მსჯელობა, არ შეიძლება მხედველობიდან გამოვყეშვათ მასთან დაკავშირებული ინვენტარი. ასეთი ინვენტარის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს ს აწ ჩ ა ხ ე ლ ი წარმოადგენს. იგი თავისი სამეურნეო დანიშნულებით იმდენად ახლო კავშირშია მეღვინეობასთან, რომ ადამიანის ღვინის დაყენების დაწყებასთან ერთად პირველი საწნახელიც უნდა გაეკეთება. ვენახის ნაყოფის გან — ყურძნისგან რომ ტებილი მიეღოთ, ამისათვის მარცვლების დაჭყლეტა, დაწურვა იყო საქირო, ხოლო დასაჭყლეტ-დასაწურვად კი რამე ჰურჭელი. რა, ფორმისა და მისალისაც არ უნდა ყოფილიყო ეს ჰურჭელი, აგი — პირველი საწნახელი იყო. ს ა ბ ა ს მიერ საწნახელი „ყურძნის საჭყლეტ“-იდ<sup>1</sup> არის განმარტებული, ე. ი. იმ ჰურჭლად, რომელშიაც ხდება ყურძნის მარცვლების დაჭყლეტა, დაწურვა და მი გზით ტყბილის მიღება. აღნიშნული უფლებას გვაძლევს, რომ მეღვინეობის კულტურისა და საწნახლის წარმოშობა ერთდროულად ვივირავდოთ.

სახელწოდება საწნახელი, ზონის „წნებები“-ს აწყმო დროის მიშლებას წარმოადგენს, სა-წნებე-ელი, და განსაზღვრავს იმ ჰურჭლის რაობას, რომელშიაც ყურძნის დაწურვასთან, დაწნებასთან დაკავშირებული პროცესი მიმდინარეობს.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა ხანიდან ეწოდება აღნიშნულ ჰურჭელს სახელი საწნახელი, მაგრამ იგი საქმით ძველი წარმოშობისა ჩანს.

<sup>1</sup> ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტუეის კონა, გვ. 309.

ქართული ხელნაწერების ჭრუჭისა და პარხალის რედაქტორი კუთხი ადგილას მოხსენებულია „და მოუწოდა კაცად-კაცალსა, თანმიმდევრა/ უფლისა თვესისა, და პრქუა პირველსა მას: რაოდენი თარევული ჭუჭის/ ლისა ჩემისა? ხოლო მან თქვეა: ასი საწნეველი ზეთისა“<sup>2</sup> პატივურების ჭუჭი ერთობის საუბარია სიოთხის ჭრუჭელზე, მის საზომ ერთოულშე. უნდა ვიკარიულოთ, რომ ეს სახელწოდება X საუკუნეზე გაცილებით აღრეც არსებობდა და მა სახელით აღნიშნული ჭურქელი, არა მარტო ყურძნის დასაწურავ საშულებას, არამედ სიოთხის საზომ ერთოულ- საც წარმოადგენდა. ამ საყითხს დაწვრილებით განვიხილავთ ქვემოთ, როდესაც მარანზე გვევნება მსჯელობა.

ცნობილია, რომ ხის ჭურქელს დიდი ნის ისტორია აქვს. საციქ- რებელია, რომ პირველად სწორედ ხის ჭურქელი უნდა გამოეყენე- ბია ადამიანის ყურძნის დასაწურავით, თუმცა საგანგებოდ გაეკორებუ- ლი ვერ იქნებოდა. იგი პატარი და უოველდლიურია სახმარებელი უნდა ყოფილიყო.<sup>3</sup> გ. ჯალაბაძე ს დასავლეთ საქართველოს მე- ცენახეობაში გამოყენებული ყურძნის საკრეფი მარტივი კოდი ყურძ- ნის ჩასაწურ პირველყოფილ საშუალებად მიაჩინა.<sup>4</sup>

სათანადო მასალების სიმცირის გამო, ძნელია იმის გარკვევა, თუ რა სახის ჭურქელი გამოიყენა ადამიანშა ყურძნის დასაწურავ საშუალებად, საწნახელად მეღვინეობის წარმოქმნისა და განვითარე- ბის პირველ საფეხურზე. ასეთი დანიშნულების ჭურქელი შეიძლე- ბა ხისა და სხვა მასალისაც ყოფილიყო. მართებული ჩანს მ. გეგე- შიძის მოსაზრება საწნახელის წყლის ტრანსპორტთან, ერთ ხეში (მორში) მოკეთილ ნავთან დაკავშირების შესახებ<sup>5</sup>. მართლაც და პატარი ზომის ნავი სანიმუშო იქნებოდა დამწყები მეღვინისათვის, რომ იგი ყურძნის დასაწურავ ჭურქელად გამოეყენებია, მთ უმე- ტეს, იმ შემთხვევაში, აუ ტკბალის დაღულება და ლვინის დაყენება ერთ და იმავე ჭურქელში ხდებოდა,

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ყურძნის დაწურვის მრავალი პრიმიტიული ხერხია დამოწმებული: ტყავზე დაწურვა,

<sup>2</sup> ქართული თახთავის ორი ძეველი ჩედაქცევა ხამი შეტყირდება ხელნაწ- არის მიხედვით (897, 936 და 978 წწ.), გამოსცა ა. შანიძემ, ობილის, 1945, ლურ, 16, 5—6 (DE).

<sup>3</sup> მ. გეგეშიძის გელვინეობის ხის სარალ-ჭურქელი დასავლეთ საქართვე- ლოდან, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოაშნე, XIX—ნ, თბილისი, 1956, გვ. 144.

<sup>4</sup> გ. ჯალაბაძე, იულ. ს. განაშენს ხის, საქართველოს სახელმწიფო მე- ზეუმის მოაშპე, XIX—ნ, 1936; მახალები საქართველოს განვითარებისათვის, 1, თბილის, 1959, გვ. 216.

<sup>5</sup> მ. გეგეშიძის დასახ. ნაშრ., გვ. 146—147.

გოდორში, პურის სახელ ვარცლზე, ტომრებში გამოწურვა და სხვ.  
ყურძნის წურჭა ტყავზე, რომელიც ძეველ წესადაა მიჩნეული. და  
დასტურებულია მცხეთის რაიონის სოფ. წილკანში<sup>7</sup>. ჩამოთვლილი  
ხერხებით ყურძნის დაწურვის შემდეგ ტქბილს ავროვებჭურული მოვარდა  
სხვა ჭურჭლებში გადაქონდათ, სადაც დაღულებასთან დაკავშირე-  
ბული პროცესები და ღვინის დაყენება ხდებოდა.

თანამედროვე ყოფაში შემორჩენილი დაწურვის მეტ-ნაკლებად  
სრულყოფილი ხერხებისა და სხვადასხვა ჭურჭლის ან ინვენტარის  
არსებობის მიუხედავად, ერთი რომელიმე მათგანის უპირველესად  
აღიარება სადღესოდ უმართებულო იქნებოდა, ხოლო არსებული  
წესებისა და საშუალებათა ღრიშენა კი სასურველი იყო.

საწნახლის არსებობის ხანგრძლივი დროის შანძილზე, ქართულ  
ისტორიულ სინამდვილეში შეინიშნება მეღვინეობასთან დაკავშირე-  
ბული ამ თუცილებელი ელემენტის სამი ძირითადი სახეობა-ტიპი,  
რომელიც განისაზღვრება მის ასაგებად გამოყენებული მასალის ხა-  
სიათით.

1. ყურძნის დაწურვის მრავალ ხერხსა და მრავალ ჭურჭლ-  
ინვენტარს შორის, ერთ-ერთი ძირითადი ხისგან გაკეთებული საწნა-  
ხელი და მასში ყურძნის დაწურვის წესი უნდა ყოფილიყო, რომე-  
ლიც თავისი პრიმიტივული და ჩვენთვის უცნობი ფორმიდან, დღემდე  
არსებული საწნახელის განვითარებული და სრულყოფილი სახით  
მოვიდა. ამდენად, საწნახელის თავდაპირველი ტიპი ხანგრძლივი და  
ძირითადი ხისს. დროთა განმავლობაში ვითარდებოდა, იხვეწებოდა  
მევენახეობის კულტურა, ღვინის დაყენების ტექნიკოლოგია და მასთან  
ერთად საწნახელის ფორმაც. სამწუხაროდ, უძველესი დროის საწ-  
ნახებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, აქედან სავარაუდოა, რომ უძვე-  
ლესი დროის, ეს, ყურძნის დასაწურავი ჭურჭლები და ინვენტარი  
ხისგან იყო ნაკეთები.

2. საწნახელის მეორე ტიპად ქლდეში ნაკეთი მთლიანი საწნა-  
ხები უნდა მივიჩნიოთ. ამ ტიპის საწნახლები, როგორც ამას უკა-  
ნასკენელი ხანის არქეოლოგიური გათხრები აღამტურებენ, ძვ. წ.  
IV—III საუკუნეებიდან მაინც უნდა ყოფილიყო საქართველოს ტე-  
რიტორიაზე ცნობილი, ხოლო განვითარების და გავრცელების უმაღ-  
ლეს ღონეს მათ შეაფენდალური ხანის საქართველოში მიაღწიეს.

<sup>6</sup> გ. ჭ. ა. ბ. ა. ძ. ე. დასტ. ნაშრომი, გვ. 216.

<sup>7</sup> ი. ნ. ა. ნ. გ. ა. შ. ე. ი. ლ. ი. ვ. ა. დასტ. ნაშრ. ქიზიუში, თბილისი,  
1960, გვ. 121.

<sup>7</sup> ი. ნ. ა. ნ. გ. ა. შ. ე. ი. ლ. ი. ვ. ა. დასტ. ნაშრ., გვ. 122.

3. მესამე სახეობას კი კირხსნარითა და ქვებით ნაშენი სახური ლები წარმოადგენენ. კირხსნარით ნაეგბი საწნახლები ღორისი კლდეში ნაკვეთ და ხის საწნახლებს იმეორებენ, ზოგიერთი კულტურული ცელი ცვლილებებით. არსებობას იყო, როგორც ამტკიცებულებები მოწმობს, შეაფერდალური ხანიდენ რწყებს და დღევანდელ ყოფაშიც ფართოდ არის გატრცელებული.

უძველესი დროიდანვე ხის საწნახელის არსებობა ეჭვევარებული. ასევე შეიძლება ვივარაუდოთ ყურძნის წურვის სხვადასხვა პრიმიტიული ხერხის არსებობაც. იმ ადგილებში, სადაც მევენახეობა-მელვინეობა განვითარებული იყო, საწნახლებს ხელმისაწვდომი მანალისაგან ამზადებდნენ; ზოვან მას კლდეში კვეთდნენ, უმრავლეს შემთხვევაში კი ხისგან აკეთებდნენ, ხოლო შეაფერდილური ხანიდან ორივეს გვერდით კირხსნარით საწნახლების შენებაც შემოვიდა პრაქტიკაში.

საწნახლების განვითარების გარევეულ საფეხურზე უნდა იყოს წარმოშობილი „საქაფავი“, რომელიც მელვინეობის დარგის განვითარების ერთ-ერთ დამაღასტრებულ ფაქტორად არის მისაჩინევი. ყურძნის დაწურვის ხელოვნება იმდენად წინაურდება რომ იმ პროცესში ეხლა შევ ტექნიკის იუნებდნ. საქაფავი განკუთვნილია საწნახელში ფეხით დაწურული ყურძნის ჰავიციან, მასში დატენილ ტკბილის გამოწურებისათვის. ასეთი გამოსაწურავი მოწყობილობის, წენების, შექმნა გამოწევეულია ყურძნიდან ტკბილის გამოსავლიანობის გაზრდის მიზნით, როცა ფეხით დაწურული ყურძნის წვევი საკმარისად აღარ არის მიჩნეული და სხვა საშუალებაა მისთვის გამოძებნილი. საქაფავი აღნაგობით რთული ტექნიკური მოწყობილობაა, რომელიც შევმოთ ცალკე იქნება განხილული.

ხის საწნახელი, როგორც აღნიშნული იყო, უძველესი ჭურჭელინეენტარია, რომელშიაც ყურძნის დაწურვა ხდებოდა. ზოგიერთი მკვლევარის მიერ ღვინის დაყენება სწორედ საწნახელთანაბ დაკავშირებული; იგი არა მარტო ყურძნის დასაწურავი, არამედ ღვინის დაყენებელ-დასადუღებელ ჭურჭლადაცაა მიჩნეული.<sup>8</sup>

დღევანდლამდე შემორჩენილი ხის საწნახლები ძირითადად ერთი ტიპისაა, ხოლო ისინი ფორმებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ამდენად მათში რამდენიმე ქვეტიპის ან სახის გამორჩევა შეიძლება. ამ მხრივ საყურადღებოა დასავლეთ საქართველოს ტერიტო-

<sup>8</sup> ვ. ვ. ვარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 136, 143.

ოსახე თანამედროვე ყოფაში გავრცელებული საწნახლის ფორმები შეუძლია მორი (ტაბ. II, 1); შეუძლია მოთლილი საწნახლის რომელსაც თავები გამოყენებული აქვს; შეუძლია მოთლილი საწნახლის რომელსაც თავები ჩადგმული აქვს, თავები შედგენილია ჩეკულებრივ სამი ნაწილისაგან; შეუძლია მოკვეთილი და გარედან გაფუთხული საწნახლი. ზემო გურიაში თავები გამოყენებული საწნახლი ყოფილა გავრცელებული, რომელსაც ტკბილი გამოსასვლელი ხერხლი არ აქვს, იგი მოლიან ჭურჭელს წარმოადგენს, საიდანაც ტკბილი ამოაქვთ პატარა ჭურჭლით და ქვევრებში ასხამენ.<sup>9</sup>

საწნახლის თავების მირველ ფორმად ისეთი სახის ჭურჭელი — ინენტარი უნდა იქნას მინერალი, რომელშიაც ტკბილის დაღულება და ღვინის დაყენება იქნებოდა შესაძლებელი. ას თქმა უნდა, პატარა ზომის სამდინარო მორა ნავები, რომლებიც ერთ ხეში იყო მოკვეთილი, ასეთი საწნახლის წინამორბედად გამოყენება და გამორიცხული არც ჩანს მისგან საწნახლის განვითარება, ხოლო აღრეულ ხაში მისი ამავე დანიშნულებით გამოყენება.

ხის საწნახლი, რომელსაც თავები ჩადგმული აქვს, დამოწმებულია ქართლში, გავრცელებული ჩანს კახეთშიც. ყურძნის დასაწურავად საწნახლის გვერდით ნეიცი ყოფილა გამოყენებული. ნავი ფტრებისგან იყო შექრული, უპირატესობა ფიჭვისა და ნაძვის ხის ფიცრებს ენიჭებოდა.<sup>10</sup> ასეთი საწნახელი, ნავები, დიდი ზომის ყოფილან. ქიზიყში დამოწმებულ ზოგირთ ნავში 150 და მეტი ფუთი ყურძნი ეტროდა.<sup>11</sup>

საწნახლის გასაკეთებელ საუკეთესო მასილად ცაცხეს ხეა მინერალი. მას რიგი უპირატესობა გააჩნია სხვა ჯიშის ხესოთ შედარებით; რბილი მერქანი აქვს, ალვილი დასამუშავებელია. არ იძრავება, მჩატეა და გადასატანად ალვილი. საქართველოში არსებული ხის საწნახლების უმრავლესობა სწორედ აღნიშნული ხისგანაა გაკეთებული. გ. ჯალაბაძეს კახეთში თხილის ხისგან გაკეთებული საწნახელი უნახავს, რომლის სიგრძე 5 მეტრს აღწევს.<sup>12</sup> თხილის ხისგან გაკეთებული საწნახელი ჩემთვის ცნობილია იმერეთიდანაც.

<sup>9</sup> მ. გ ვ გ ვ შ ი ძ ე. დ ა ს. ნ ა შ რ., გვ. 136.

<sup>10</sup> ნ. თ თ ფ უ რ ი ა. ქართული მარანი, მისალები საქართველოს ეროვნული ფილატელი, VII, თბილისი, 1955, გვ. 141 — 142.

<sup>11</sup> ა. ნ ა ნ ი შ ვ რ ლ ა. დ ა ს. ნ ა შ რ მ ი, გვ. 120 — 121.

<sup>12</sup> ცნობა მოვალეობა გ. ჯ ა ლ ი ბ ა ძ ე გ მ.

ზესტაციონის რაიონის სოფ. ოერინში პ. კუნტრიშვილს მართავდა აქვს თხილის ხის საწნახელი, იგი ღიღი ზომისაა და მისი მარტო მოსაფალი 15 საბალნებდე (150 ფუთი) ტკბილს იძლევთ უკიდურესად ჩანს, ცაცქვის გვერდით თხილის ხეც ყოფილა გამოყენებული, მაგრამ იგი იშვიათობას წირმოადგენს. გამორიცხული არ ჩინს სხვა ჭიშის ხის საწნახლების არსებობაც. მაგალითად, გურიაში პ. გეგეშიძის მიერ დამოწმებულია წაბლის საწნახელიც.<sup>13</sup>

დღევანდელ ყოფაში დამოწმებული საწნახლები იმითაა საინტერესო, რომ მათ ფორმებს დაღი ცვლილება არ უნდა განეცადა უკანასკნელი საში ათასი წლის მანძილზე. გვიანბრინჯაოს ხანაში საწნახლეს დახვეწილი და შესაძლებელია საბოლოოდ ჩამოყალიბებული ფორმა მიეღო. რადგან ამ ხანაში ბრინჯაოს მეტალურგიამ თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მრალწა და შეიქმნა ბევრი ისეთი იარაღი, რითაც ხის დამუშავება და მისთვის სასურველი ფორმის მიცემა სინცელეს არ წარმოადგენდა. ხითხუროობის დარგთან დაკავშირებული იარაღებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოსგან ჩამოსხმულ-გამოკეთილი ისეთი იარაღი, როგორიცაა ცული, ებო, ხელებო, სატენი, ლორები<sup>14</sup> და სხვა მრავალი. აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღები კარგი მოწმეა იმისა, რომ ხის დამუშავება, მისი გამოყენება მეურნეობისა და საცხოვრებელი ნაგებობების ასაგებად, ჩვენს ქვეყანაში მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო ძ. წ. მეორე ათასწლეულის დასასრულსა და პირველი ათასწლეულის დასაშუალების მიხედვისში. ძნელი არ იქნებოდა ხის საწნახლის დამზადება, რისთვისაც საჭირო იყო ხის მოჭრა, გულის ძოლება, გაკუთხვა და სხვა. ამრიგად, საწნახელიც თავისი ძირითადი ფორმით უნდა მთსულიყო ჩვენ დრომდე გვიანბრინჯაოს ხანიდან მაინც, ისე, როგორც ქვევრებსაც არ შეუცვლიათ ძირითადი ფორმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, გადახვევა ფორმებში ძალაშევები ჩინს, თუმცა მისთვის თვალის გაღევნება არ ხერხდება, როგორც ეს შემორჩენილი ქვევრების მიხედვითაა შესაძლებელი.

აქვე უნდა იღინიშნოს, რომ პ. გეგეშიძეს ნაშრომის დასკვნაში გამოთქმული ქვეს დებულება, რომელიც მთლად მართებული არ ჩინს. მისი აზრით, „დასავლეთ საქართველოს უმეტეს კუთხეებში შემონახული ლეინის ტექნოლოგიის ხალხური წესი—ლეინის დადუ-

<sup>13</sup> პ. გ ე გ ვ ჭ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

<sup>14</sup> საქართველოს არქეოლოგია, გვ. 182.

დება-დაუენება საწნახელშივე (რაც თავისთვად ძალზე ძველი ჩამო).  
 ა. ბ.) იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ღვინო თავისი წარმომა-  
 პით უშუალოდ საწნახელს უკავშირდება, რომ საწნახლის ფფრტული  
 და სახეობა-გულამოლებული მორი თავდაპირელად უურმინდა-კუსით  
 წირი იარალიც იყო და ღვინის შესანხავი ჭურპელიც” -ო.<sup>15</sup> ამ  
 დებულების პირეელი ნახვარი მთლად მართებული არაა, რადგან,  
 დასავლეთ საქართველოს არა თუ უმეტეს ნაწილში, არამედ ზოგა-  
 რთ რაიონში შეიძლება იყოს შემორჩენილი ღვინის დაღულება-  
 დაუენების წესი საწნახელში და მისი გვერცობა მთელ დასავლეთ  
 საქართველოშე არ არის სწორი. ღვინის დაღულების აღნიშნული  
 წესი დასავლეთ საქართველოში მართლაც არსებობდა და იგი დღე-  
 საც არსებობს ნაწილობრივ ზოგიერთ კუთხეში. ამავე მხარეში  
 გვერცელებული სხვა წესიც, რომელიც „შუმი“ ღვინის დაყენებას  
 კი არა, არამედ ე. წ. „სახარჯო“ ღვინის გაცემების გულისხმობდა  
 და გულისხმობს დღესაც. როდესაც უურმინდან ტკბილს გამოწურავ-  
 დნენ, საწნახელს საღინარ ხერელს დაუცობდნენ, „გაგლესდნენ“  
 აყალო მიწით ან სხვა საშუალებით, ჰავას საწნახელში გამლიდნენ რა  
 ზედ წყალს დაასხამდნენ. წყალდასხმული ჰავა საწნახელში რამდე-  
 ნიდე დღის განმავლობაში დარჩებოდა. იგი აღუღდებოდა და ამ გზით  
 მიიღებოდა ე. წ. „სახარჯო“ ღვინო, რომელსაც ზემო იმერეთში  
 „ნაქიჩისაც“ ეძახდნენ. ამ გზით მიიღებული ღვინო მავარი არ იყო, იგი  
 ფხიანი და სასიამოვნო დასალევია და მას ყოველდღიურად ხმარობ-  
 დნენ. ხოლო რაც შეეხება ტკბილს, იგი წურვის პროცესშივე ვადაკ-  
 ქონდათ და ქვევრებში ასხამდნენ, საღაც ხდებოდა მისი დაღულება  
 და ღვინის დაყენება.

რაც შეეხება თითონ წესს, რომელიც ტკბილის დაღულებასა და  
 ღვინის დაყენებას ერთ და იმავე ჭურპელში გულისხმობს, იგი  
 მართლაც უძველესი და თავდაპირველი წესი უნდა იყოს, როდესაც  
 აღამიამშა პირეელად მიაგნო ღვინის დაყენების საიდუმლოებას და-  
 დულების გზით. ხოლო ხის საწნახელი და მით უმეტეს „გულამოლე-  
 ბული მორი“ მართლაც ისეთი ჭურპელი-ინერციარი უნდა ყოფი-  
 ლიყო, რომელშიაც ხდებოდა არა მარტო უურმის დაწურვი, არამედ  
 ტკბილის დაღულება და ღვინის დაყენებაც. ამ მხრივ ღვინის დაყე-  
 ნების ოღნიშნული ტექნილოგიური პროცესიც უძველესი ჩანს და  
 იგი მეღვინეობის დაწყებასთან ერთად წარმოიშვა.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების  
 შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე იღმოჩენილი იქნა კლდეში

<sup>15</sup> ვ. ვაკე ვიკე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

ნაკვეთი საწნახლები, რომელიც ამ ტიპის ჰურპილ-ინდუნისტობი შეირჩევა სახეობად გვიძეს მიჩნეული. 1959 წელს უფლისების არქოლოგიურმა ექსპედიციამ შიდა ქალაქის პირველი უბნის მდგრადი გადასაცვლის დანართი დარღვეული გამოიყენებოდა, ერთ-ერთ კლდეში ნაკვეთ სათავსოში, რომელიც რომელი ტიანი დარბაზის კომპლექსში შედის და მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, გამოავლინა ორი კლდეში ნაკვეთი საწნახლები. საწნახლები განლაგებულია ერთ ნაგებობაში ერთმანეთის გვერდით და აგებულებითაც ერთმანეთს იმეორებენ.<sup>16</sup>

1960 წელს აღნიშნულ კომპლექსში, ორსაფეტიანი დარბაზის დასკვლეთით მდებარე ერთ-ერთ სათავსოში, გამოვლენილი იქნა კლდეში ნაკვეთი კიდევ ორი საწნახლები (№ № 3, 4), რომელთაც ისეთივე აღნაგობა აქვთ, როგორც პირველი ორ საწნახლები.<sup>17</sup> ამ საწნახლოთაგან გადარჩენილია მხოლოდ აუზები დ ტკბილის საღინარი არხები. ორივე აუზში შუასაუკუნეების თონებია გამართული, რომელთა „სასულის“ ფუნქციას საწნახლოთა ტკბილის საღინარი არხები ასრულებდნენ.<sup>18</sup>

1961 წელს შიდა ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქის გვირაბის მახლობლად მდებარე კლდეში ნაკვეთ ლია ნაგებობაში აღმოჩნდა კიდევ ერთი, მსგავსივე ტიპის საწნახლები (№ 5), რომლის აუზში შუასაუკუნეების (აღრეცელური ხანა?) თორე დადასტურდა. ამგვარად, თუ საწნახლების პირველი ჯგუფი (4 საწნახლები) უფლისიცის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპლექსის (სასახლე?) ორ დამჩნარე სათავსოშია განლაგებული, №5 საწნახლები ცალკე დგას და შიდა ქალაქის სულ სხვა უბნის მცხოვრებს (რიგათ მოქალაქეს?) მიეკუთვნება.<sup>19</sup>

<sup>16</sup> დ. ხახური შვილი, უფლისციებები 1959 წ. წარმოებული არქოლოგიური თხრის შედეგები, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1959 წლის სკოლა-არქეოლოგიური კვლევა-მიზის შედეგებისადმი, მოხსენებათა ანორიცები, თბილის, 1960, გვ. 56.

დ. ხახური შვილი, ახალი მსაცემი კლინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეტრიკის ისტორიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახოვათოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მთავე, 11, 1963, გვ. 115.

<sup>17</sup> დ. ხახური შვილი, უფლისციებები 1960 წ. წარმოებული არქოლოგიური თხრის შედეგები. 1960 წლის საკვლეულ-აქტოლოგიური კვლევა-მიზის შედეგებისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებათა მოულებელისა დამილის, 1961, გვ. 36.

<sup>18</sup> დ. ხახური შვილი, ახალი მსაცემი კლინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეტრიკის ისტორიისათვის, გვ. 115.

<sup>19</sup> დ. ხახური შვილი, დასახ. ნაშტ., გვ. 115.

ჩადგანაც უფლისციხეში აღმოჩენილი საწნახლები აღნართმის  
ერთმანეთს მიეორებდნ, ამიტომ მოცემული იქნება პირველი თარი  
უკეთ დაცული საწნახლის აღწერილობა.

პირველი საწნახლი (ტაბ. I, 9) შედგება კლდეში ნაკვეთი თარი  
ვანყოფილებისგან, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სა-  
ღინარით. საკუთრივ საწნახელი გეგმაში სწორკუთხედს იძლევა, მისი კედლის სიგრძე  $OW = 2,25$  მ;  $NS = 2,8$  მ; ხოლო შემორჩენი-  
ლი კედლის სიმაღლე  $0,5$  მ უდრის. საწნახლის ფართობი  $6,3$  მ $^2$  შეად-  
გენს, ხოლო მოცულობა  $3,15$  მ $^3$ . საწნახლის აღმოსავლეთ კედლებში (კლდეში) ამოკვეთილია სწორკუთხედის მოყვანილობის ფოსო  
(ზომები:  $0,75 \times 0,40 \times 0,25$  მ), რომელიც დ. ხანუტაიშვილს ჰაჭის  
უასაწენებად (საქათვი) მიაჩნია. მეორე განყოფილება, რომელიც  
გეგმიში კვადრატს წარმოადგენს, ყურძნის წვენის, ტებილის, დასავ,  
როვებელი აუზია (ზომები:  $1,00 \times 1,00 \times 0,90 - 1,00$  მ). მისი მო-  
ცულობა დაახლოებით  $1$  მ $^3$  უდრის. ასეთი ზომის აუზში  $100$  დეკა-  
ლიტრამდე ტებილი მოთავსდებოდა.<sup>20</sup> საწნახელი აუზთან დაკავში-  
რებულია საღინარით, რომლის სიგრძე  $0,95$  მ, ხოლო სიგანე  $0,15 -$   
 $0,35$  მ-ია. საღინარი თანდათან ფართოდება აუზისკენ. საწნახლის  
ფსკერი უფრო მაღლა მდებარეობს ვიზრე აუზის პირი, ამიტომ  
ყურძნის წურვის პროცესში, ტებილი თევთლინებით ჩაღიოდა და  
გროვდებოდა აუზში. თუ ვივარუდებთ, რომ საწნახელში  $1,5$  ტონი  
ან ცოტა მეტი ყურძნი მავსდებოდა, მაშინ მისი დაწურვის დროს  
აუზის ავსება მხოლოდ ერთხელ იქნებოდა შესაძლებელი.

მეორე საწნახელიც პირველის მსგავსად კლდეში ამოკვეთილი  
ორი განყოფილებისგან შედგება (ტაბ. I, 8). ისინი ერთმანეთს  
იმეორებენ, განსხვავდება მხოლოდ ზომებშია და განყოფილებათა  
განლიგებაში, რაც კლდოვანი მასიების თავისებურებით არის გამო-  
წვალი. საწნახელმა ჩეკნამდე დაზიანებული სახით მოაღწია, გვემ-  
უცვლელი დარჩია. მოგვიანო ხანაში საწნახლის ფსკერი დაბლა დაუ-  
წევიათ და ეხლა აუზის ფსკერის დონეზეა. მისი კედლების სიგრძე

<sup>20</sup> უფლისციხეში აღმოჩენილი საწნახლების ჩანახებისა გვემუცილები-  
ვაღმოცემისა და ზოგიერთ საინტერესო ცნობის მოწოდებისათვის, სასიამოქმედ  
მიმართ მაღლობა მოვასენო დ. ხახუტაიშვილს. აქევე უძა აღვინიშვილ, რომ საწ-  
ნახლების აღწერილობა და ზომები კუთხის დ. ხახუტაიშვილს, ხოლო საწნახ-  
ლების მოცულობა კუჭ/მ, მათში ჩატეტასთვის ყურძნის რაოდენობა და გამოსა-  
ვალი დაკალიტრებში წინამდებარე ნაშრომის აკტოს.

$NS = 2,6$  მ;  $OW = 3,20$  მ. უდრის, ფართობი კი  $8,32$  მ<sup>2</sup> შეადგენს, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ამოკეცილია ფოსო (ზომები  $1,30 \times 0,45 \times 0,20$  მ), რომელიც ჭიათურა დასაწერი უნდა იყოს სამარტინო აუზის ფართობი  $1,4$  მ<sup>2</sup>, მოცულობა  $0,7$  მ<sup>3</sup>, რაც  $70$  დეკალოტო ტკბილს დაიტევდა.

როგორც დ. ხახუტაიშვილი ვარაუდობს, ამავე ტიპისა და ამავე ხანის უნდა იყოს ქობულეთის რაონის სოფ. ზენითში არსებული საწინახელი. ხ. ახლოებიანი მას „მამუკა თავდგირიძის საწინახელს“ უწოდებს და იძლევა პირველ, მაგრამ არა ზუსტ აღწერილობას.<sup>21</sup>

ერთ-ერთ თავის ნაშრომში დ. ხახუტაიშვილმა ზენითის საწინახელი ანტიკური ხანისად მიიჩნია,<sup>22</sup> იგივე საწინახელი ინახულა და წინასწარული შესწავლა აწარმოვა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ქობულეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1956 წელს, ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით.<sup>23</sup> 1960 წ. საწინახელთან დაკავშირებით სადაზვერვო არქეოლოგიური ვათხრები აწარმოვა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ა. რამიშვილმა, მაგრამ დამითარილებელი რაიმე მასალა აღმოჩნდილი არ ყოფილა.<sup>24</sup>

ზენითის საწინახელი ამოკეცილია კონუსის ფორმის მონოლითში (ტაბ. II, 3), რომლის სიგრძე  $10$  მ შეადგენს, სიგანე  $3,4$  მეტრს, ხოლო სიმაღლე  $2,1$  მეტრს. მონოლითში ამოკეცილია ორგანუოფილებიანი საწინახელი, ისინი ერთმანეთს სადინარი ხერხელით უკრავდებიან. საწინახელის სიგრძე  $3,1$  მ; სიგანე  $2,1$  მ, გადასტენილი კედლების სიმაღლე  $0,35$  მ უდრის, ხოლო საწინახლის ფართობი: კი  $6,72$  მ<sup>2</sup> თუ კედლების სიმაღლეს მიახლოებით  $1$  მეტრს მაინც კინგარიშებთ (გააღმოცემის მიხედვით, კედლების სიმაღლე  $1,70 — 1,80$  მ ყოფილა, რაც დაუჭერებელი თუ არა, საეჭვო მაინც არის), მაშინ მისი მოცულობა  $6,72$  მ<sup>3</sup> იქნება. აუზის სიგრძე  $1,4$  მ; სიგანე  $1,2$  მ; ხოლო კედლების შემორჩენილი ნაწილის, სიმაღლე  $0,22$  მ უდრის. აუზის ფართობი შესაბამისად  $1,68$  მ<sup>2</sup> შეადგენს, რომლის

<sup>21</sup> ხ. ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი. ნარკევა აჭარის ისტორიიდან (შე-16—19 საუკუნეები), ბათუმი, 1944, გვ. 148.

<sup>22</sup> დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი. შეისლევასპირეთის ქართველი ტაშები პერს-ლათინი მწერლების ცნობებით, ხელნაწერი, თბილისი, 1954, გვ. 96.

<sup>23</sup> ხ. ხ ო შ ტ ა რ ი ა. ციხისძირი, თბ., 1952, გვ. 32 — 33, ტაბ. XV.

<sup>24</sup> დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი. აზალი მასალები ელინისტური ხანის., გვ. 7, შეინიშნება.

ტევალობა 160 დეკალიტრზე ნაკლები არ იქნებოდა. საღინარო ხვრცის სიკრძე 0,44 მ-ია, ხოლო დამეტრი 0,09 მ უდრის.

როგორც აღწერილობიდან იჩვევა, ზენითის საწნახელი შესრულებული სია უფლისციხში აღმოჩენილი საწნახლებისა და დ. ხახუტის შესრულებული მათ სამართლიანად მიიჩნევს ერთი დროის ძეგლებად.

ზემოთ აღწერილი საწნახლების დასათარიღებლად პირდაპირი მასალები გათხრების დროს აღმოჩენილი არ ყოფილა, არც სხვა მსგავსი შესწავლის საწნახელი მოიპოვება ჯერ-ჯერობით საქართველოს ტერიტორიაზე. ამდენად ანალოგიები მახლობელ ქვეყნებშია მოსახვეი და შესაფარდებელი.

შედევრობაში უნდა იქნას მიღებული, რომ უფლისცის ორსკეტიანი დარბაზის კომპლექსი ანტიკურ ხანაში ჩანაბის გამოკვეთილი და მავე კომპლექსში შედის ის სათავსოები, რომლებშიც საწნახელებია მოთავსებული. ეზოს ვაწმენდის დროს აღმოჩენილი იქნა ანტიკური ხანის გაპიტელი<sup>25</sup>.

ორსკეტიანი დარბაზი თავისი სათავსოებით (ერთ გვერდითი სათავსოში ამოკეთილია ორმო, მეორეში მარანი 11 ქვევრით, მის გვერდით სათავსოში აღმოჩენილია ოთხი საწნახელი) და ბაზილიკა შედის სასახლის კომპლექსში. ბაზილიკის თვეზე ჩამოუდის არხი, რომლის ვაწმენდის დროსაც აღმოჩენილი იქნა აღრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკა. თვეთ კომპლექსი კი, რომელშიაც საწნახლებია ამოკეთილი, ხანგრძლივად ყოფილა გამოყენებული ანტიკური ხანიდან შუალედალურ ხანამდე. ამ მიზანის გამო, თვეთ კომპლექსის გათხრების დროს აღრეული ხანის შესატყვისი მასალები აღმოჩენილი არ ყოფილა. იგი მოგვიანო ხანის ცხოვრებათა აქ წამლილი. კომპლექსში შემავალი სათავსოების ვაწმენდას დროს გამოვლინდა შუალედალური (XIII ს.) ხანის მასალები, წინა პერიოდისა კი უფლისცის ცალკეულ უბნებზე იქნა დადამტურებული. შუალედალური ხანისათვის აქ, საწნახლების აუზებში, თონეები გამოართავთ, რაც იმაზე მოუთოვებს, რომ ამ პერიოდში საწნახლები დანიშნულებისამებრ არ ყოფილა გამოყენებული.<sup>26</sup>

<sup>25</sup> თ ქირზ მიძევ, უფლისცის, 1960 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ანგარიში (არქიტექტურა), საქართველოში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისაფში მიღენჯილი სესიის მოსენებათა შეკლე შინაარსი, თბილისი, 1961, გვ. 38.

<sup>26</sup> დ. ხახუტი ვ. შვილი, დასახ., ნაშრომი, გვ. 117.

შუალეთდალური ხანის საქართველოში კლდეში ნაკვეთი სამინი-  
ლები ფართოდ იყო გავრცელებული (ვარძია, ფია, ახჩერი, ჭავჭავა-  
ლი) თუმცა ისინი სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის შესწავლით მუზეუმების  
ვად ამისა, მათი შედარება უფლისციხისა და ზენითის საწნახლებთან  
უდიდეს განსხვავების იძლევა. მოგვიანო ხანაში კლდეში ნაკვეთი  
საწნახლები აღარ იმეორებენ უფლისციხისა და ზენითის საწნახლე-  
ბის გეგმას. ისინი უკვე წესიერ ოთხეუთხეც წარმოადგენს, საგრძ-  
ნობლად არიან დაგრძელებული, მათ უკვე აღარ გააჩინათ აუზი,  
რომლის დანიშნულებასაც ეხლა სპეციალური კურტელი, თაღარი,  
ასრულებს. ამავე ხანის საწნახლებს უახლოედება თავისი აგებულე-  
ბით პალესტინაში, ახ. წ. VI საუკუნის ქართულ მონასტერში დადას-  
ტურებული საწნახელი<sup>27</sup>. იგი ნაწილობრივ განსხვავდება შუალეთდა-  
ლური ხანის ქართული, კლდეში ნაკვეთი საწნახლებისაგან, ასევე  
დიდ სხვაობას იძლევა უფლისციხისა და ზენითის საწნახლებთან შე-  
დარებისას. ამდენად შეხაძლებელია ვარაუდი, რომ პალესტინის მო-  
ნასტერში აღმოჩენილი საწნახელი განვითარების შუალებური დ-  
ვიგულისბმოთ უფლისციხესა და მტკვრის ხეობაში აჩსებულ  
კლდეში ნაკვეთ საწნახლებს შორის. აღნიშნული ფაქტი იმაზე მიუ-  
თითებს, რომ უფლისციხესა და ზენითში აღმოჩენილი საწნახლები  
გაცილებით აღრულ ხანს მიეკუთვნებიან, ვიდრე მტკვრის ხეობისა  
და პალესტინის ქართულ მონასტერში დადასტურებული საწნახ-  
ლებია.

ცნობილია, რომ ათეული წლების განმივლობაში მიმდინარეობდა  
შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს არქეოლოგიური შესწავლა.  
ყირიმისა და ტამანის ნახევარენძულებზე გამოვლენილი იქნა მე-  
ლვინერბბათან დაკავშირებული ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლები —  
ინკრიტარი, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს საწნახლების  
სიმრავლე. მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებული მასალები შეს-  
წავლილი აქვთ პროფ. კ. გაიდეკვიმის, ხოლო ჩიგი საკითხებისა  
განხილული აქვთ სხვა მკლევარებსაც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უფლისციხეში აღმოჩენილი  
საწნახლების ანალოგისათვის, ტიტიტიკებში, მირმეკიაში, პარტიკა-

<sup>27</sup> Virgilio Corbo, Gli scavi di Khirbet Siyar el-Ghanam, Gerusalemme, 1955, გვ. 118, სურ. 31, გვ. 128, სურ. 38. (შითითებულია დ. ჩახტარაშეი-  
ლის მიხედვით); გ. წერე კოლ ი, უკველვისი ქართული წარწერები პალესტინი-  
თან, თბილისი, 1960, გვ. 8. ტაბ. II; დ. ხახუ ტაბ შეი ი, დასახ. ნაშრომი,  
გვ. 120.

პეისათან (Карантинная свадьба) და გამა პარტიზანთან უძველესი საწნახლებს ქვეთ, რომელიც ძვ. წ. III—II სს თარიღდება.<sup>28</sup> აღნიშნული ხანის საწნახლები წნების გარეშე, ხოლო მუსიკული საუკუნიდან იგი ჩნდება პრიმიტიული სახით, როგორც ტექსტების სიახლე, მისათანავე ცვლილებებს იწვევს საწნახლის კონსტრუქციაში<sup>29</sup>. როგორც დ. ხახუტაიშვილი აღნიშნავს, უფლისციხის საწნახლებს ქვეთ სპეციალური საქაფავი, რომელიც საწნახლის პირველი განყოფილების კიდესთან არის ამოკეთილი და საფინარით მას უკავშირდება. მსგავსი ნიშანი (тарапан-каменное ложе со сливами) ყორიმის დიდ საწნახლებში ძვ. წ. III საუკუნეში შეინიშნება, მაგრამ ჩერა გამოდის ხმარებიდან და თავს მხოლოდ საოჯახო წარმოებაში ინახება.<sup>30</sup>

უფლისციხის საწნახლებს სპეციალური საწნეხო დანაღვარი არ ჰქონიათ, რაც მათ სიძეველეზე მიუთითებს. მით ისინი ადრეელინისტური ხანის ყირიმის საწნახლებს უკავშირდებიან. უნდა ვითქმიქროთ, რომ მომდევნო ხანაში, როცა ხრახნილ-პერკეტიანი წნეხები განიდა (ძვ. წ. I ს.), აქ მათი გამართვა შეუძლებელი ვანდა სათანადო პირბების უქონლობის გამო.<sup>31</sup>

უფლისციხის საწნახლების შესწავლისთან დაკავშირდებით, მეორე მხრივ, ყურადღებას იქცევს პალესტინის კლდეში ნაკეთი უძველესი საწნახლები,<sup>32</sup> რომელიც თავისი აღნაგობით იმეორებენ უფლისციხის, ზენითისა და ყირიმის ადრეელინისტური ხანის საწნახლებს.

პროფ. ვ. გაიდუკევიჩი მიუთითებს რა ყირიმისა და პალესტინის საწნახლების დიდ მსგავსებაზე, აღნიშნავს, მისაღები ჩანს, რომ პალესტინის ძველ მარტივ საწნახლებს დიდი მსგავსება ახასიათებს ელინისტური ხანის ბოსფორულ საწნახლებთან, რომ ბოსფორის საწნახლები ტექნიკური ტრადიციის საფუძველზე ახლო გენეტიკურ კავშირშია პალესტინის ამავე ხანის საწნახლებთან და გამსხვავდება საკუთრივ ბერძნულისაგან.<sup>33</sup>

<sup>28</sup> В. Ф. Гайдукевич, Виноделие на Боспоре, МИА СССР, 85, II Москва-Ленинград, 1958, გვ. 355—363.

<sup>29</sup> ი. ქ. გ., გვ. 373.

<sup>30</sup> В. Ф. Гайдукевич, დასახ. ნაშრომი, გვ. 437.

<sup>31</sup> ვ. ხახუტაიშვილი, დასახ., ნაშრ., გვ. 118.

<sup>32</sup> G. Dalman, Arbeit und Sitte im Palästina, B. IV, Brot, Öl und Wein. Schriften des Deutschen Palästina-Institutes, B. VII, Gütersloh, 1935, გვ. 360, სერ. 102.

<sup>33</sup> В. Ф. Гайдукевич, დასახ. ნაშრ., გვ. 384.

აღნიშნული ფაქტების საფუძველზე დ. ხახუტაიშვილი მოთხ-  
ბულად მოიქცა, როდესაც აღნიშნა, რომ უფლისცისი (იმური)  
და ზენითის (კოლხეთი) საწნახლები ადასტურებენ პროფესიული  
კეფისის ვარაუდის სისწორეს და აბამენ ჯაჭვს ჩრდილოეთი მთების  
ზღვისპირეთსა და წინა აზიის (მცირე აზია; სირია-პალესტინა) ქვეყ-  
ნებს შორის.<sup>34</sup>

— უფლისცის საწნახლების დათარილებისათვის — აღნიშნავს  
დ. ხახუტაიშვილი, ჯერ-ჯერობით შეიძლება მიეუთითოთ სამ მო-  
მენტზე:

1. ეს საწნახლები შუასაუკუნეებში გამოყენებული არ ყოფილა.  
ამ ხანის საწნახლები (ვარძია, ფირ, ახჩია, ჭავჭავაძი) აღნავობითაც  
განსხვავდება უფლისცისისა და ზენითის საწნახლებისგან;

2. კომპლექსი, რომლის შემადგენლობაშიაც შედას საწნახლია-  
ნი სათაესოები, ძვ. წ. პირველი ათასწლეულის შუა ხანებში ჩანს  
გამოყენეთილი;

3. ამ ტიპის საწნახლები, როგორც აღნიშნული იყო, ყირიმში  
ძვ. წ. III საუკუნიდანაა დაასტურებული, ხოლო თუ გვითვალის-  
წინებთ იმ გარემოების, რომ ყირიმის საწნახლები გენერიკურად პა-  
ლესტინის უძველეს, კლდეში ნაკვეთ, საწნახლებს უკავშირდება და  
არა ბერძნულს, ბერნებრივი იქნება საქართველო ერთ-ერთ გადამცემ  
როგორც (იქნება კერად?) ვიგულისნმოთ და უფლისცისისა და ზენი-  
თის საწნახლები ძვ. წ. IV—III საუკუნეებით დავათარიღოთ. ესაა  
უფლისციებში ქალაქური ცხოვრების მცველობის აღმავლობის პერიო-  
დი და ასეთი რამ ამ ხანისათვის მოულოდნელად არ უნდა მოვცენ-  
ვონს".<sup>35</sup>

საწნახლების აღმოჩენამ უფლისცის კლდეში ნაკვეთი ქალაქის  
ტერიტორიაზე და ქობულეთის რაიონის სოფ. ზენითში, ძვ. წ. პირ-  
ველი ათასწლეულის შუა ხანებისათვის განვითარებული სოფლის  
მეურნეობის — მევენახეობა-მელეინეობის დარგის სურათი მოვცეა.  
სავარაუდო გაზადა უფლისცის სანახებში ვენახის პლანტაციების  
არსებობა. ძნელია საწნახლების მიხედვით გამოანგარიშებული იქნას  
ღვინის მოსავლის რაოდენობა, რომელსაც ქალაქის ეკონომიკურ  
ცხოვრებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უნდა სჭირდა. საწნახ-  
ლების არსებობამ ამ ხანაში, მევენახეობა-მელეინეობის ისტორიაში

<sup>34</sup> დ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 119.

ანალი უფრო გადაშებულა შიდა ქართლისა და შავიძელვის მიერთებისათვის.

მომდევნო პერიოდში, ვიდრე შეაფერდალურ ხანამდე, მარწმუნავი ლების არსებობა გათხრების მიხედვით დაღისტურებული ჰქონის მიერთების მაგრამ ეს ფაქტი არ მიუთითობს, რომ აღნიშნულ მონაცემთში მე-კენახება-მელვინება არ არსებობდა. პირიქით, საქმე გვაქვს უფრო განვითარებულ და დაწინაურებულ მევენახება-მელვინებასთან. ამის საბუთად იმ მარნების არსებობაც იქნებოდა საკმარისი, რომ-ლებიც საქართველოს ტერიტორიაზეა გამოყენილი. ამ მარნებში თევულობით დიდი ზომის ქვევრია აღმოჩენილი, რაც ვენახების უდიდესი პლანტაციების არსებობის გარეშე წარმოუდგენელი იქნე-ბოდა. თუ ქვაში ნაკვეთი ამ ხანის საწინახლები აღმოჩენილი არ არის, ეს, ერთი მხრივ, მათი სუსტად შესწავლით უნდა აიხსნას, ხოლო, მეორე მხრივ, ხის საწინახლების არსებობა ხომ ეჭვმიურანელია, რომ-ლის გამოყენებას მელვინებაში, ყურძნის დაწურვის დროს, გარ-კვიული უპირატესობაც ჰქონდა.

შეაფერდალური ხანის კლდეში ნაკვეთი საწინახლები აღრიცხუ-ლია მდ. მტკვრის ხეობაში, მესხეთ-გავახეთის ტერიტორიაზე. სამწუ-ხაროდ, ამ საწინახლების ზომები და ზუსტი აღწერილობა არ იქნება მოცუმული, რადგან მათი შესწავლა სამეურნეო დანიშნულების მიზნით ქრ არაის უცდია. ისინი აეტორების მიერ კომპლექსების განხილვის დროს არის მოხსენებული, როგორც სამეურნეო დაინშ-ნულების, მაგრანის ან სათავსოს ნაწილი. საწინახელი გეგმიში სწორ-კუთხედს წარმოადგენს, მისი სამი გვერდი მასიური კლდეა, მეოთხე კი სათავსოს მხარესაა და მისგანაა გამოყოფილი. სიგრძე, ზოგ შემ-თვევაში, 3—4 მეტრს აღწევს, სიგანე და კედლის სიმაღლე 0.80—1,00 მეტრს უდრის.

თვით გარძიის გამოქვაბულთა კომპლექსში დაცული საწინახელი სამრეკლოს ქეეშ მდებარე დიდ საცხოვრებელ დარბაზშია გამართუ-ლი. გამოქვაბულის დასავლეთ კედელში უხევშადაა ამოკვეთილი საწ-ინახლის ყუთი, რომელსაც ფსკერზე სადენი დარი და ტებილის გად-მოსადენი მილი აქვს. ამ მილის წინ ორმოა ამოქრილი სითხის დასავ-როვებლად. აქევე ჭაჭიდან ზედმეტი წვენის გამოსაწური მოწყობი-ლობაც, ე. წ. საქაფავი ანუ წერი. მოელი ეს სისტემა კირის სსნარითაა შელესილი, ასე წარმოგვიღება არქიტექტორ გ-მელითაურის მიერ აღწერილი ერთ-ერთი საწინახელი ვარძიის ქვა-

ბული ქალაქიდან.<sup>36</sup> ვარძიის საწნახლები და საქაფავები აზევე ლექსის ნიშნავია ის გარემოება, რომ კ. მელითაური ვარძიის ჭრის მიზანში კომპლექსებში არსებულ საწნახლებს ანსხვავებს იმ შემცველებების მან, რომლებიც ვარძიის ფერდაშე მოთავსებულ ცალკეულ ლოდებშია გამოჭრილი და განსაკუთრებით კი განსხვავდებიან სოფ. ქაურის საწნახლებისაგან. ეს უკანასკნელი კლდეში გამოჭრილ გამოქვაბულშია გამოკვეთილი, რომელშიც დარჩაზის გადახურვაა იმიტირებული.<sup>37</sup>

ვარძიის მახლობლად მდებარე ჭავჭარის ბალებში ათოოლე კლდეში ნაკვეთი საწნახლია ცნობილი, ისინი, როგორც ვარაუდობენ, XI—XII საუკუნეებში უნდა იყოს გამოკვეთალი; დაკვშირებული არიან საცხოვრებელ კომპლექსებთან, ზოგ შემთხვევაში კი განცალკევით ამოკვეთილ საწნახლებსაც ვხვდებით.

ჭავჭარის კლდეში ნაკვეთი დარჩაზი ცენტრალურ-გვირგვინული სახეობის თითქმის სწორკუთხა სათავსოა. მისი გვემდებარებული ირგანიზაცია გამართლებულია. — უკანა კედელთან, კლდის სიღრმეში გამოკვეთილია საწნახლი და საქაფავის ნაშთი<sup>38</sup>.

ნასოფლარ ფიაში, საცხოვრებელი კომპლექსის წინ, კლდეში ნაკვეთი საწნახლის ორი ფრაგმენტია. ეს საწნახლები, მსვავსად გაღმია ჭავჭარის საწნახლებისა, ნაკვეთია რელიეფის შესაბამისად, საფეხურებად.<sup>39</sup>

კლდეში ნაკვეთი საწნახლები ვეზვდება თვით ვარძიის მონასტერში (XII—XIII სს.). აგრეთვე მის უკიდურეს დასავლეთით, სადაც უფრო ადრინდელი XII—XIII სს ნასოფლარია საერთოდო. აჩხაზი (XI—XII სს), სოფ. მარგასტანში, გაღმა ჭავჭარში.<sup>41</sup>

<sup>36</sup> კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ჩანთაძე, გ. ჯამბურაძე, ვარძიის მონასტერში, გარძია, გვ. მეცნიერებები, თბილისი, 1955, გვ. 75—76. სერ. 25, 26.

<sup>37</sup> ც. გაბაშვილი, ვარძა, მუსიკა, 1949.

<sup>38</sup> გაფრინდაშვილი, კლდის სახლები ნასოფლარ ფიაში, თბილისი, 1959. გ. გარინდაშვილი, მუსიკა, 1960.

<sup>39</sup> კ. მელითაური, ვარძიის სამშენებლო ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები, თბილისი, 1961.

<sup>40</sup> კ. მელითაური, დასახ. ნაშრ., გვ. 65. სერ. 97.

<sup>41</sup> გ. გაფრინდაშვილი, ვარძია და მისი მიღმოების ქვეშები, თბილისი, 1957, გვ. 32.

<sup>42</sup> გ. გაფრინდაშვილი, კლდის სახლები ნასოფლარ ფიაში, გვ. 20.

<sup>43</sup> გ. გაფრინდაშვილი, კლდის სახლები ნასოფლარ ფიაში, გვ. 20.

როგორც ვხედავთ, ამ მხარეში კლდეში ნაკვეთი საწინახლები მრავალგანაა დადასტურებული. საწინახლებთან ერთად კომისარებულები ში საქაფავებიცაა გამართული. საეჭვო არაა, რომ ამ მხარეში შემცირებულ ნახეობა-მეღვინეობა სოფლის მეურნეობის ძირდებით დარჩია, ხოლო აღნიშნული ხანისათვის განვითარების მაღალ საფეხურზეა ასული. კლდეში ნაკვეთი საწინახლების ასეთი სიმრავლით უძველეს ხანაში შექმნილი ტრადიციების გავრცელება და მისი კიდევ უფრო გავითარება ჩანს, რასაც ხელს უწყობდა აღგილობრივი ბუნებრივი პირობები, ქვის მასივების არსებობა.

საქართველოს სხვა მხარეებისათვის კლდეში ნაკვეთი საწინახლები ქერ-ქერობით ცნობილი არ არის (მხედველობაში არაა მისაღები იმერეთის ზოგიერთ რაიონში არსებული, მონოლითიდან გამოკვეთილი, ქვის საწინახლები, რომლებიც თანამედროვე ხანას ეცუთვნის).

როგორც აღნიშნული იყო, შუალეოდალურ ხანაში წარმოიშვა ახალი ტიპის, ქვითკირის, ქვითა და კირხსნარით ნაშენი საწინახელი. აღნიშნული საწინახლის ტიპი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩანს გავრცელებული და ფართოდაა ხმარებაში თანამედროვე ყოფაშიც.<sup>42</sup> ამ ტიპის საწინახლების სიმრავლე განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში შეინიშნება.

ქვითკირის საწინახელი (ტაბ. II, 4) ფორმითა და სიდიდით დიდად არ განსხვავდება შუალეოდალური ხანის კლდეში ნაკვეთი და თანამედროვე ყოფაში არსებული ხის საწინახლებისაგან. მასაც სწორკუთხედის მოყვანილობა აქვს, თვისეკენ (საიდანაც ტკბილი გამოდის, ზოგჯერ ტკბილის სადინარი საწინახელს შუაწელში აქვს გაეცემული და ამ შემთხვევაში მისი ორივე ბოლონდან იწყება დაქანება, რათა ტკბილი თვითონიშების გზით გამოვიდეს საწინახლიდან) დაქანებულია. ძირის გასწვრივ გაეცემული აქვს ტკბილის სადინარი ხერელი ან შიგ დატანებულია მილი. ხერელის დიამეტრი 10 სმ არ აღემატება. საშენ მასალად გამოყენებულია ფილაქების ბრტყელი ნატეხები, შემაქავშირებელ საშუალებას დუღაბი წარმოადგენს. ამ ტიპის საწინახლები აღმოსავლეთ საქართველოში დახურული ტიპის ძარნებშია მოთავსებული. მისი ერთი გვერდი, ზოგ შემთხვევაში ორი (სიგრძივი და ბოლო), მარნის ან სათავსოს კედლებზეა მიშე-

<sup>42</sup> ა. ნინო ბაშვილი, ვაზის ძევით კულტურა ქიზიუში, გვ. 115; 6. თოლუ რია, ქართული მარნი, გვ. 141.

ნებული. ზოგჯერ აღნიშნული სათავსოს კედლებიცაა გამოყენებული საწნახლის კედლებად. საწნახლები შიგნიდან ყოველწლიურად ლესილია კირჩხარით.

ასეთი ტიპის საწნახლს გამოკეთება, გაუღენთა სჭირდებოდა. ფერ მას წყლით გამორცხავდნენ, შემდეგ ტკბილს ან ლეინოს გამოავლებდნენ. სოფონიათ მოხარშული კოშმით და სანთლით გამოკეთებაც. ასე გაუღენთილი საწნახელი პირველი ხმარების დროს ტკბილით კიდევ იულინობოდა და ამის შემდეგ სრულიად ვარგისი და მიზანშეწონილი სახმარებელი ხდებოდა.

საწნახლის სიღიდუ დამოკიდებული იყო მეპატრიონის სურვილზე, მისი ვენახის პლანტაციის სიღიდეზე, მიმოტო ასეთი საწნახელი, როგორც კლდეში ნაკვეთი და ხისა, სხვადასხვა სიღიდის იყო და არის დღესაც.

კირჩხარით ნაშენი საწნახლები გათხრილია გულარებში,<sup>43</sup> საქმაოდ დიდი საწნახლის ნანგრევებია შენიშნული წიწვამურის გათხრების დროსაც.<sup>44</sup> 1962 წლის მცხეთის ოქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შუაფეოდალური ხანის კოდმანის ნასოფლარში მიყვლეული იქნა საცხოვრებელი კომპლექსები, რომელშიაც საწნახლებიცაა აღმოჩენილი. ალ. კალანდაძეს კირჩხარით ნაშენი საწნახლები უნახავს კარსანში მუხათგვერდის თავზე არსებულ ნასოფლარში, სალოცავ „საყამნოს“ გვერდით. ბოლნისის ოქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ასეთი საწნახლები მიყვლეულ იქნა მდ. ლოქის ხეობაში და დღევანდელ სოფ. ფოლადაურის (ჩათახი) ტერიტორიაზე. კირჩხარით ნაგები საწნახლების არსებობა სავარაულოა შუაფეოდალური ხანის ბოლნისის მარნებშიც. დასავლეთ საქართველოდან ამავე ხანისად შეიძლება მივიჩნიოთ ზესტაფონის რაიონის სოფ. ალავერდში, წალკოტის ნამოსახლარში არსებული საწნახლები.

ზემოთ მოტანილი და მოხილული მასალებიდან ჩანს, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, აღრიცხული კლდეში ნაკვეთი და კირჩხარით ნაშენი საწნახლები უმნიშვნელო რაოდენობას წარმოადგენს ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, რომელიც მევენახეობა-მეღვინეობის ერთერთი უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყანაა. ხომ არ არის ეს ტაქტი მანიშნებელი იმისა, რომ

<sup>43</sup> ღ. მუსე ლიშვილი, შ. ხიდაშელი, ვ. ჭავჭავაძე, გვ. 60.

<sup>44</sup> ა. აფაშიძე, მცხეთა ქართლის სამეცნის მეცნი დედაქალაქი, გვ. 60.

საქართველოში მეურნეობის აღნიშნული დარგი სუსტად იყო განკუთხულებული? რა თქმა უნდა, არა. როგორც აღნიშნული და  
საწნახლების განვითარების მთელ სიგრძეზე ფართოდ იყო გამოიყენებული  
ლებული ხისგან გაკეთებული საწნახელი და საწნახელის მატირიალი  
ძირითადი იყო (ტბ. 11, 2).

მართალია, საქართველო მთავრიან ქვეყანას წარმოადგენს,  
მაგრამ იმ ადგილებში, სადაც ვაში იყო და ეხლაც არის გაერცელა-  
ბული, კლდის მასივები არაა, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა  
საწნახლის მოკვეთა. ხოლო იქ, სადაც მისითვის ხელსაყრელი ბუ-  
ნებრივი პირობები აჩსებობდა (უფლისციხე, მდ. მტკვრის ხეობა  
ხერთვისს ზემოთ) ადამიანმა იგი გამოიყენა და საწნახლებიც გა-  
მოკვეთა.

რაც შეეხება სხვა ადგილებს, აქ ნის საწნახელი უნდა ყოფი-  
ლიყო გაერცელებული, სხვა მხრივ უხსნელი დარჩებოდა ისეთი  
დიდი მარნების აჩსებობა, როგორიც ურბნისა და მცხეთაშია აღ-  
მოჩენილი, ხოლო საწნახელი კი არ ჩანს. ნის საწნახელს გარკვეულ-  
უპირატესობა უნდა ქმნოდა და აქვს ეხლაც. საქართველოს ტყეებში  
მრავალ მოიპოვება ისეთი ხეები, რომელთაგან საწნახლის გა-  
მოთლაა შესაძლებელი. მეორე მხრივ, ხე შედარებით ადვილი და-  
სამუშავებელი მასალაა და მისი გადატანა ერთი ადგილიდან მეო-  
რეზე სამნელო არ არის, მაშინ როდესაც კლდეში საწნახლის ამო-  
კეთა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ხოლო გა-  
დატანაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. მდგრად, ნის საწნახელი იყო  
ის ძირითადი და თითქმის შეუცვლელი ინეგნტარი, რომელშია კი  
წარმოებდა დაკრეფილი ყურძნის დაწურვა. ხოლო ზოგ შემთხვე-  
ვაში, ტყბილის დატუღება და ღვინის დაყენება, რაც საქართველოს  
ზოგ რაიონში დღესაც არის შემორჩენილი.

#### ა პ ტ ა ჯ ა ვ ი

დაკრეფილ ყურძენს საწნახელში ყრიდნენ, უკანასკნელ ხანამდე  
მისი დაწურვა ფეხის საშუალებით ხდება, თუ მხედველობაში არ  
ჰიქილებთ ზოგიერთ პრიმიტიულ ხერხებს, რომლის დროსაც ყურძ-  
ნის ფეხით წურვა შეუძლებელი ან ყოველ შემთხვევაში მოუხერხე-  
ბელი იყო. უკანასკნელ ხანაში, ტექნიკის განვითარებასთან დაკავ-  
შირებით, გამოყენებული იქნა ყურძნის საწურავი მანქანები და

წნებები, რომელსაც დადგით მხარეებთან ერთად რიცხუ უძვირდება.

საწნახელში მოთავსებული ყურძნის ფეხით დაწურული კუჭის ტექსი ჩანს. თუ ვიმსჯელებთ აკლდამების კედლებზე შემორჩენილი მხატვრობის მიხედვით, ეგვიპტური ყურძნების ფეხით წურავდნენ, სანამ არ გამოწურავდნენ მისგან ტყბილის ძირითად ნაწილს. ეს მეთოდი ყურძნის წურვისა დღემდე გაფრცელებულია საურანგეთსა და ესპანეთში. ჭაჭაპი შემდგომი დამზადებისათვის ათავსებდნენ ტომარაშა ან გაახვევდნენ ქსოვილის ნაკერში, რომელსაც შემდეგ გადაგრეხდნენ, გადაახვევდნენ, რომ იქიდან გამოეწურათ წევნის (ტყბილის) ნარჩენი.<sup>1</sup> ჭაჭის დაწერება, მისგან ამ საშუალებით ტყბილის მიღების ცდა იმდენად ძველია, რომ საქაფვის აღმნიშვნელი იეროგლიფით ნახმარია ეგვიპტის I ფინასტიის ხანაში (ძვ. წ. 3400—2980 წწ.).<sup>2</sup>

ყურძნის დაწურვის ასეთვე წესი ქვინიათ ძეელ ბერძნებსაც, სადაც ყურძნის დაწურვა ჩვეულებრივ ხდებოდა ფეხით ლერწმისა თუ ლელისგან მოწნულ კალათებსა და ხის ყუთებში; ჭაჭიდან ნარჩენი წევნის (ტყბილის) გამოდენა ხდებოდა საქაფვის საშუალებით, რომელიც წარმოადგენდა გრძელ ტომარას. მისი ერთი ბოლო მომაგრებული იყო რამდენ საყრდენზე, ხოლო მეორე ბოლოში ჭობი იყო გაყრილი და მისი საშუალებით ხდებოდა ტომრის გადახვევა, გადაგრეხა და ამ გზით ჭაჭიდან ნარჩენი ტყბილის გამოყოფა.<sup>3</sup>

გერ კიდევ შორეულ წარსულში გათვითონობიერებულ მეენახე-მელვინეს ყურძნის დაწურვა საწნახელში არასაქმარისად მიუჩნევია და სხვა საშუალების ძებნა დაუწყიო ჭაჭიში დარჩენილი ტყბილის გამოწურვის მიზნით. ფეხით დაწურულ-დაცხლებულ ჭა-ჭიში გარევეული რაოდენობით რჩება ყურძნის წევნი, რომლის შემჩნევა არც თუ ძნელი საქმეა, ხოლო მისი გამოწურვა უფრო რთული იყო. საჭირო განდა ისეთი ხელსაწყოს მოწყობა, რომლის საშუალებითაც გამოწურული და მიღებული იქნებოდა ყურძნის წევნის ის რაოდენობა, რომელიც საწნახელში ყურძნის ფეხით და-

<sup>1</sup> А. Лукас, Материальные и ремесленные производства Египта. Москва, 1958, гл. 56.

<sup>2</sup> ოქ 3 3. 33. 55.

<sup>3</sup> М. С. Альтман, К технике виноделия в древней Греции. Из истории материального производства античного мира. Изв. ГАИМК, вып. 108. М.-Л., 1935, гл. 129.

წურვის შემდეგ რჩებოდა ჰერთაში. ამ მიზნის განსახორციელებელი შესაძლებელი იყო სხვადასხვა საშუალებათა გამოყენება. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენს საქართველოში ფარმაციული კრესებული ხალხური საწერი იარაღი „საქავავი“.

საწერი „მანქანები“ — საქავავები უცველესი დროიდან არის ცნობილი, ისინი გამოყენებული იყო ყურძნის წურვის პროცესში ეგვიპტეში, პალესტინაში, საბერძნეთში, რომში, შევი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, კავკასიაშა და კერძოდ კი საქართველოში.<sup>4</sup> თუ როგორ ქვეყანას ეკუთვნის პრიორუტეტი ამ საქმეში, ძნელი გასარევევია. საგარაფო, რომ ბერკეტიანი საქავავი მოწყობილობა სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთის დამოუკიდებლად გაჩნდა, რადგან მათი გამართვა ძალიან დიდ სირთულეებითან არ არის დაკავშირებული, ხოლო ხრახნიანი საქავავები გაცილებით მოგვიანი ხანაში არის წარმოქმნილი. დასხლოებით ძვ. წ. II საუკუნის მახლობლაუ, რადგან ტრადიცია ხრახნის გამოკონებას ცნობილ ბერძენ სწავლულს, ფიზიკოს არქიმედს მიაწერს, ყოველ შემთხვევაში ხრახნიანი საქავავები ძეველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე უკვე არსებობს და ყურძნის დაწურვის პროცესში გამოიყენება.

საქართველოში ჰიპათი დარჩენილი ყურძნის მიღების პრიმიტიული საშუალება, ვ. წ. „დაჭარგვა“ უნდა ყოფილიყო, რომელიც წინ უსწრებდა როგორ საწერი საშუალების — საქავავის შექმნას. მათ პრინციპი სერთოც აქვთ, ორივე შემთხვევაში გამოყენებულია სიმძიმის მოქმედება ჰაქაში არსებულ წვენის გამოსაწურავით, პირველ შემთხვევაში ძალიან მარტივიად, მეორე შემთხვევაში, ტექნიკურად როგორ საწერ მოწყობილობაში.

დაგორგვა თანამდებროვე უაფაშიც არის შემორჩენილი. პირველი წერების ეს წესი გურიაში დამოწმებული აქვს მ. გეგმიძეს; სადაც საწნახელში დარჩენილ ჰიპათა ყავარს დაადებლნენ. დაგორგვადნენ, დატყეპნიდნენ.<sup>5</sup>

დაგორგვის ასეთივე წესი შემორჩენილი იყო უკანასკნელ ხანამდე ზემო იმერეთშიაც. აქ ყურძენს ფეხით წურავდნენ საწნა-

<sup>4</sup> ა. ლ. გრიგორი შვილი, ქართველი ბალტრი საწნენი ბაქანები, ქურნალი „შეცნიდებება და ტექნიკა“, თბილის, 1956, №3, ა. 6. ლ გრიგორი შვილი, ქართველი ლექანის წნევები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიის საფეხური, XII—XIII, თბილის, 1963, ლ. მოლინი ა. ქართველი ხალხის შეცემის სატერიალური კრეტების სტორინდან (ხალხური ზეოსახდელი იარაღები), თბ., 1963.

Б. Ф. Гайдукевич, Виноделие на Боспоре, МИА, 85, II, М.-Л. 1958.

<sup>5</sup> მ. გ. გ. გ. შ. ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

ხელში, ჭავას საწნახლის უკანა ბოლოში შეაყალთავებდონენ, შემდევ ფეხით კარგად დატკეპნილნენ, ასაც - „დაწრდელეას“ უწოდებინენ. ჩოდესაც ფეხით ჭავილიან წვენის გამოღევხა ძნელი გამოღევებულის თავს დაანებებდონენ. შემდევ მას ზევიდან ფიცრებს ას უძრუბა ღააფარებდონენ და დიდი რაოდენობით ქვებს დააწყობდონენ, ე. ა. დაჭირვავდონენ. საწნახელში ჭავას ასეთ მდგომარეობაში ტოვებდონენ ერთი ღამის განმავლობაში და იქიდან გარკვეული რაოდენობის ტებილს იღებდონენ. ტებილს რაოდენობა დამოკიდებული იყო ჭავის რაოდენობასა და ზევიდან დაწყობილი ქვების სიმძიმეზე.

წესი თავისი არსით ძალიან პრიმიტიული ჩანს და იგი უძველესი დროიდან უნდა იყოს შემონახული, ასეთი ხერხით ჭავიდან ტებილის გამოწურვისა წინ უნდა უსწრებდეს საქაფავების შექმნას და მის გამოყენებას მეღვინეობაში. მარიგად საქაფავები აღმიანთა სამეურნეო-ტექნიკური აზროვნების შემდგომი განვითარებისა და წინსელის პროდუქტად მიღვაჩნია მეურნეობის დარგის აღნიშნულ სფეროში.

უძველესი საქაფავების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე უფლისციის საწნახელებითან არის ნავარაუდევი, საღაც საწნახელების გვერდით საგანგებო ფოსოებია ამოვეთილი ჭავის შემდგომი დამუშავებისათვის.<sup>6</sup> ე. ა. ევ. წ. მე-4—მე-3 სს საქართველოში არა მარტო საწნახელები გვაქვს, არამედ საქაფავებიც. როდესაც ყურძნის წურვის პროცესში უკვე ტექნიკად გამოყენებული. აღნიშნული საწნახელი და საქაფავი ჯერ-ჯერობით უძველესად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოსათვის. თუმცა სავარაუდოა, რომ როგორც საწნახელი, ისე საქაფავი, აქ პირველად არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, მათ არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე და გამოყენებას მეღვინეობაში ხანგრძლივი ისტორია და უძველესი ტრადიცია უნდა ჰქონოდა.

დ. ხახუტაგშეოლს წნებების შემოსელა ჩმარებაში, შევი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს მაგალითის მიხედვით, ტექნიკურ სიახლედ მიაჩნია და მას დაახლოებით დე. წ. II საუკუნიდან ვარაუდობს, ამის საბუთად მას ზენითის საწნახელთან ღმოჩენილი საქაფავის „ვირები“ მიაჩნია<sup>7</sup>. ამ ფაქტოთ დაკავშირებით ერთხელ კიდევ უნდა აღი-

<sup>6</sup> დ. ხახუტაგშეოლს წნებების შემოსელა ჩმარებაში, შევი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს მაგალითის მიხედვით, ტექნიკურ სიახლედ მიაჩნია და მას დაახლოებით დე. წ. II საუკუნიდან ვარაუდობს, ამის საბუთად მას ზენითის საწნახელთან ღმოჩენილი საქაფავის „ვირები“ მიაჩნია.

<sup>7</sup> დ. ხახუტაგშეოლს წნებების შემოსელა ჩმარებაში, შევი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს მაგალითის მიხედვით, ტექნიკურ სიახლედ მიაჩნია და მას დაახლოებით დე. წ. II საუკუნიდან ვარაუდობს, ამის საბუთად მას ზენითის საწნახელთან ღმოჩენილი საქაფავის „ვირები“ მიაჩნია.

ნიშნოს, რომ ოქინარიანი საქაფავები, როგორც ჩანს, უძველეს  
დროიდან ასებობენ, ხოლო ხრატილ-ბერკეტიანები კი გვიახი-  
ნის მოვლენაა. რომელი ტიპის საქაფავისათვის არის განკუთვნილი  
ზენითის საწნახელთან აღმოჩენილი გირები, ამის შესახებ შეტყუჩის  
არაფერო აქვს ნათქვამი.

ვინაიდან აქეთლოვიური გათხრების შედეგად საქართველოს  
ტერიტორიაზე საქაფავები გარდა უფლისცისა აღმოჩენილი არ  
არის, ამდენად განვიხილავთ იმ საქაფავებს, რომლებიც კლდეში  
ნაკვეთ საწნახელებთან და თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაშია  
შემორჩენილი.

ამ მხრივ საყურადღებოა ვარძიის კლდეში ნაკვეთი ქალაქი და  
მის გამოქვაბულ სათავსოებში შემორჩენილი საქაფავები. ვარძიის  
კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში სადღესოდ სურ 9 საქაფავია  
შემონახული. აღსანიშნევია, რომ ეს პრესები (როგორც კ. მელა-  
თაური უწოდებს) მარტო დარბაზებშია გამოკვეთილი. გამონაკლისს  
ერთი პრესი წარმოადგენს, რომელიც საუნჯეშია (85-ე გამოქვაბუ-  
ლი) მოთავსებულია დანარჩენი ჭნეხები მოთავსებულია მე-9, მე-15,  
მე-17, მე-19, 32-ე, 86-ე, 169-ე და 195-ე გამოქვაბულებში. პრე-  
სების ყუთის ზომა საქმიანო სტაბილურია. სიგრძე 40—50 სმ ფარ-  
გლებშია მოქცეული, სიგანე 30-დან 35 სმ მერყეობს, ხოლო  
სიღრმე 15—20 სმ აღწევს. აღნიშნეული 9 პრესიდან სამი ისეთ  
გამოქვაბულშია გამოართული. საღაც მარნები იმყოფება, ოთხი კი  
მარნების მახლობლად.<sup>8</sup>

ქვაბული ქალაქის კომპლექსში, სამრეკელოს ქვეშ მდებარე  
დარბაზში გამართულ საწნახელთან მოწყობილია საქაფავი.<sup>9</sup> ასეთი  
მოწყობილობა წარმოადგენს იატაკიდან რამდენადმე შემაღლებით,  
კედლის პირად ამოკვეთილ მომცრო ყუთს, რომელსაც ძირშე გა-  
რეთენ ნახერეტი აქვს გაჭრილი. ეს ნახერეტიც იატაკიდან შემაღ-  
ლებულია და მის წინ, იატაკში მცირე ორმოა ამოკრილი. თვალ  
ყუთის ზევით კი კედელში მრგვალი, მცირე ბულეა ამოკვეთილი.<sup>10</sup>

<sup>8</sup> კ. მელათაც ჩ. ვარძიის სამშენებლო-ხუროთმოსილური შესწოლას  
საქონები, გვ. 57.

<sup>9</sup> კ. მელათაც უ. რ. შ. შოშია შვილი, შ. ხანთაძე გ. ჯამბუ-  
რია, ვარძია, გვ. 75, 76, სურ. 25, 26; Г. Гаприондашвили, Пещерный  
Ансамбль Вардзина, გვ. 86, სურ. 22, ფოტო. 32, 33.

<sup>10</sup> კ. მელათაც უ. რ. ვარძიის სამშენებლო-ხუროთმოსილური შესწო-  
ლის საქონები, გვ. 56, სურ. 108, 109.

დაწენებვის განსახორციელებლად ცუთში ჭავის ჩაყრა და ფიცირის ხუფით დასურვა იყო საჭირო, შემდეგ კი ამ ხელზე დაწენების დალის ზემოქმედება. ყუთის ზემოთ მოთავსებულ, რასულტევები ბეღდეში თუ ერთი ბოლოთი ჩამოვრებულ კიტს წარმიმდობაზე არმელიც ყუთის ხუფზე დამდგარ ძელავშე იქნება დაყრდნობილი და მეორე ბოლოზე სიმძიმე ექნება ჩამოვიდებული, ნათელი იქნება აქ გამოყენებული დაწენებვის მარტივი სისტემა. ჭავიდან გამოწურული ტკბილი ყუთის ძირის გავეთებულა ნახვრეტის მეოხებით აქ დაღვმულ ჭრაშელში გროვდებოდა.<sup>11</sup> მაშასადამე, როგორც კ. მელითაურის აღწერილობიდან ჩანს, ვარძის ქვაბულ ქალაქში გამოყენებული ყოფილა ოშინარიანი სისტემის საქაფავი.

ვარძის მახლობლად მდებარე ჭავიარის კლდეში ნავეოთი დარბაზის უკანა კედელში გამოკეთილია საწნახელი და ნიში საქაფავისათვის.<sup>12</sup> ჭავიარშიც მოიპოვება განვრეტილი ქვები, რომელიც ბერკეტიანი საქაფავისათვის არიან განკუთვნილი. საქაფავის არსებობა სავარაუდო ახჩიაშიც, საქაფავისათვის განკუთვნილი განვრეტილი ქვები. გარები ჩენ თვითონ გვინახავს ასპინძის და ხეროვნებს შორის შედებარე სოფლებში და ისინი ხშირ შემთხვევაში ყორეებშია ჩაშენებული.

აღნიშნული დაგილების გარდა საქართველოს სხვა რაიონებშიც გვხვდება ქვისგან გამოთლილი საქაფავის ძირები ან კ. წ. „გობი“ ქვის ბრტყელ ზედაპირზე ოთხუთხედი მოყვანილობის ღარია ამოკეთილი, რომელშიც ყუთის თავები მაგრდებოდა, ხოლო ერთ შხარეს, რომელიც წაგრძელებულია, საღინარი ღარი ჰქონდა ამოკეთილი, რომლითაც ტკბილი გადმოდიოდა და იქვე მიღვმულ თალარში გროვდებოდა. ზოგიერთ ასეთ ვობს თან ახლავს განვრეტილი ქვები, კ. წ. „გირები“. ასეთი საქაფავის ქვის „გობი“ და „გორები“ ჩენ თვითონ გვინახავს თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ჩხიფვთაში, მარტი გობი—სოფ. არდისუბანში. ასეთივე ქვისაგან გავეთებული გობი, ალ. კალანდაძის მიერ კარსანიდან (მცხეთის რ-ნი) ჩამოტანილია თბილისში და სახოლმწიფო მუზეუმის ქვის ფონდებში ინახება. მსგავსი გობი სოფ. დგვრისში (ქართველის რაიონი) ჰქონიათ ელოზშიშეიღების ოფაბში.<sup>13</sup> ასეთი ქვების გობებისა და გირების თარიღის დაღვენა ძალიან რთული და ზოგჯერ

<sup>11</sup> კ. მელითაური, ღას. ნაშრ., გვ. 56 — 57.

<sup>12</sup> Г. Гаури и др. винтаж, დასახ. ნაშრომი, გვ. 86; გ. გაფ. რინდაზილი, ფარმაციის და მინი მიცამების ქვაბები, გვ. 32.

<sup>13</sup> აღნიშნული საქაფავის ძირის, გობის შესახებ ცნობისა და უოტოსერაონის მოწოდებისათვის მაღლობას მოვახსენებ რ. ფუთურიძეს.

შეუძლებელიც არის. რადგან ისინი განცალკევებით არიან მოტორული. თუ მათი საშუალებელი ადგილების მიხედვით ვამსკელებთ, ისინი შეაფერდალური ხანისა შეიძლება იყოს.

ოწინარიანი და ხრახნიანი საქაფევები თანამედროვე ეთნოგრაფულ ყოფაშიც არის გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე. ისინი დამოწმებულია რაჭაში, იმერეთში, ქართლშა და კახეთში. მაგრამ თანდათანობით გამოღიან ხმარებიდან და ადგილს უთმობენ თანამედროვე ტექნიკით გამართულ საწნეს მაქანიებს.

ზემოთ აღნიშნულიდან იქმნება შთაბეჭილება, რომ კლეში ნაკვეთ საწნახლებს საქაფევი მოწყობილობა გვერდშივე უყოლებოდა, სადაც მათ გასამართავად სპეციალური, საქაფევისათვის განკუთნილი, ყუთის მავარი ფოსოებია მოკვეთილი. აღნიშნული საქაფევები ოწინარიანი ტაბის უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთი ასეთი საქაფევის ჩეკონსტრუქცია მოცემული აქვს კ. მელითაურს ვარძიის ქვაბული ქალაქის სამეურნეო დაწაშნულების სათავსოებებს უაინჯენერის განხილვის დროს.<sup>14</sup>

ბერკეტიან-ხრახნიანი და ბერკეტიან-ოწინარიანი საქაფევები ხის საწნახლოთან ჩანან დაკავშირებული, მათი გადატანა და მოწყობა ერთი ადგილიდან მეორეზე ადვილი შესაძლებელია. ამიტომ ზოგიერთი საქაფევის ძირი (გობი), რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გვხედება, შესაძლებელია გაცილებით აღრეული ხანისა იყოს, რადგან მათი ხმარება ხანგრძლივი ხანითაა ნივარიულევი. ძირითადად გავრცელებული უნდა ყოფილიყო საქაფევების ხის ძირის (გობის) კეთებაც. ასეთმა ძირებმა (გობებმა), რა თქმა უნდა, ჩვენამდე ვერ მოაღწიეს უახლოეს წარსულიდანაც კი.

ჭაჭის დასაწნები ხალხური მანქანები საქართველოს თითქმის უკელა კუთხეში გვხედება, სადაც მევენახეობა-მელვინეობას მისაღევენ. ასეთი საწნები მანქანები შემდეგი სახელწოდებითაა ცნობილი: საქაფევი (ქართლ-კახეთი), საქაჩავი-საქაჩეველი (იმერეთი-გურია), წმერი, ჭახლავი, საწმერავი (რაჭა-ლეჩერმი), ხარხინი (სამეგრელო) და სხვა.<sup>15</sup>

ჩამოთვლილი საწნები მანქანები თავისი კონსტრუქციის მიხედ-

14. კ. მ ი ლ ი თ ა უ რ ი. დასახ. ნაერობი. სერ. 109.

15. ა. ლ ე კ ი ა შ კ ი ლ ი. ჭახლური ხალხური საწნები მანქანები. გვ. 31. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქაფევების აღწერილობა, ცნობები მათ შესხებ უამთო წმენების სიმძლავრის გამოვარიშება, ამოღებულია ა. ლ ე კ ი შ კ ი ლ ის ნაშრომიდან.

ეით ორ ძირითად ჩვეულად იყოფა: ბერკეტიან-ხრახნიაზი და კონკრეტული კეტიან-ოწინარიანი.



ბერკეტიან-ხრახნიანი საქაფევები უფრო დასავლებული მატერიალურების ლოში ყოფილი გავრცელებული, ხოლო ბერკეტიან-ოწინარიანი აღმოსავლეთში, ქართლსა და კახეთში. ასე გამოიყერება მათი გავრცელების სფერო არსებული მასალების მიხედვით.

ბერკეტიან-ხრახნიანი წნები, „წბერი“ შემდევი ავებულებისაა: ხის ან ქვის მოზრდილი „გობი“ გაყოფილია ორ ნაწილად. ერთ მათგანში ამოჭრილია სწორულითა მოყვანილობის ღარი, მასში თახი საწურავი ფიცარია ჩაფიცული, რომლებიც ხის ვიწრო სარტყლებით, „ხმალაებითა“ შეკრული და ყუთს, „კოდს“ ქმნიან. მეორე ნახევარი კი ღრმადაა გულამოლებული და ვიწრო ღარით პირველ ნაწილს უკავშირდება. გობის უკან მიწაში ჩასმულია ხის მაღალი ბოძი, „კაცა“ (მის მაგივრობას ზოგჯერ ცოცხალი ხეც წევს), რომლის თავში გაყრილია გრძელი ბისავე „დირე“. იმ უკანისკნელის მეორე ბოლო ორკაპაა, რომელშედაც გარდიგარდმოდ სქელი ფიცრის ქანჩი — „ქუდია“ დამაგრებული; ქუდში გაყრილია გობის წინ აღმართული ხის დიდი ხრახნი, „ისარი“. მის ქვედა (დაუხრახნავ) ნაწილშე ქვის დიდი „კვირისტავია“ წამოცმული, რომლის ზევითაც „ისარში“ დასატრიალებელი ერთი გაყრილი. ისარი დაბჯენილია ბრტყელ ქვაზე, „ქალაბანზე“. იმისათვის, რომ წნევებს დროს დირემ ქეთ იქით არ იქანონს, იგი მოქცეულია ორ (მომმართველ) ბოძს შორის. რომლებიც ზევით შეკრულია (ტაბ. II, 6).

კაჭის დაწნებების პროცესი შემდევნირად მიმდინარეობს: საწნახელში ფეხით დაწურულ კაჭის კოდში ყრიან, მის პირამდე აფსებენ, ზემოდან სარქველს აფარებენ, რომელშედაც შემდევ ხის ნაჭრებს აწყობენ, ვიღრე დირეს არ მიებჭინება. ამის შემდევ ისარს მასში გაყრილი კეტით ატრიალებენ მანამდე, სანამ ისრის ბოლო კალაბას არ ასტრილდება ზევით. ეს კი დირის დაწოლის იწვევს მის ქვეშ შედგმულ ხის ნაჭრებზე, რომლებიც თავისთვავად სარქველთან ერთად კაჭის აწვება ზემოდან კოდში და წნებება იწყება. ასე ვანშეორდება ორ-სამჯერ, რის შემდევ წბერს კეტავენ და ჩამდენიშე ხნით, ზოგ შემთხვევაში მოელი ღამის განმავლობაში, ტოვებენ. დაწნებების დროს ტებილი გამოდის მისთვის საგანგებოდ დატოვებული ხერელებიდან და გობის წინ ამოჭრილ ღრმა ნაწილში ან თაღარში გროვდება, საიდანაც მას იღებენ და ქვეცრში გადააქვთ. დაწნებების შემდევ კაჭა „მშრალი“ ხდება და მისი ხელით დაშლა

ან ნიჩბით დანგრევა ძნელია. დაწერხვის პოლუსს დიდი დოკუმენტი ქირდება და ზოგჯერ მთელი დღე-დამის განმავლობაში ერთიანებული ნახლის ჭავის დაწერხვაც შეუძლებელია.

ა. ლეიკაშვილის მიერ გამოაწარიშებულია წბერის სიმძლავრე, ე. ი. ის სიმძიმე კვსმ<sup>2</sup>, რაც ჭავის მოქმედობს წნევის დროს. თუ გავითვალისწინებთ, რომ წბერის ბერკეტის მოქმედება უდრის 1 : 10 (დირის მოკლე მხრის სიგრძე — 40 სმ, მეორე მხრისა კი 395 სმ), მივიღებთ, რომ ჭავის კვირისტავი (მისი სიმძიმე დაახლოებით 300 კგ) ჭავის აწება 3000 კგ ძალით: „ასარი“ — ხრანი კი (სიმძიმე 40 კგ) — 400 კგ ძალით, საკუთრივ დირე (სიმძიმე 140 კგ) ჭავას აწება 670 კგ ძალით. მაშასადამე, დაწოლა ჭავის უდრის დაახლოებით 4070 კგ. ვინაიდან კრის ფართობი 40 სმ<sup>2</sup>, ამიტომ წნევის სიმძლავრე ტოლია 2,54 კვ/სმ<sup>2</sup>, რაც საკმაოდ დიდ სიმძლავრეს წარმოადგენს.

ბერკეტიან-ოწინარიანი წნევის თავის მხრივ ორი სახისა არის გავრცელებული. საქაფავის ძირი, გობი, ქაც იგივე ფორმისაა, ბერკეტიც იმავე დანიშნულებითაა გამოყენებული, ხოლო ხრანიანი ისარია შეცვლილი და ძალიან თავისებურადაც. პირკელი სახის საქაფავის დირის თავზე წნელებათ პორიშონტულად ჩამოყიდებული ხის მრგვალი ძელი (დოლი), „დათვი“ ქვეს, რომელზედაც თავის მხრივ გრძელი თოკით (ინ ჯაჭვით) მძიმე „ასავიდი ქვა“ კიდა. „დათვს“ (დოლს) მასში გაყრილი კეტით დატრიალებენ, რასაც დათვზე თოკის დაცვევა მოჰყვება და ქვაც თანდათანობით მაღლა აიწევს. იმისათვის, რომ დათვი უკან არ დატრიალდეს, კეტს დირეს ამოსდებენ და წნევის დაკატავენ. დირე მასზე ჩამოყიდებული მძიმე ტვირთის („ასავიდი ქვის“) გამო ნელ-ნელა დაბლა დაიწევს და ჭავის წნევაც დაიწევება. ქაც წნევის პროცედურა რამდენქვრმე მეორდება. ბოლოს საქაფავის დაკატავენ და ტოვებენ. ტყბილი ან საქაფავის გობის წინ მოკრილ ღრმა ნიწილში ან თაღმში გროვდება, საიდანაც იღებენ და სურუილისამებრ გადაქვთ სხვა ალგილზე, ქვევრებში (ტაბ. II, 5).

ბერკეტიან-ოწინარიანი საქაფავის მუშაობის ხასიათი ზუსტად ივივეა, როგორც წბერისა, უღონდ მისგან განსხვავებით, აქ ძალის მოღების მექანიზმად გამოყენებულია ოწინარი.

მეორე სახის საქაფავი პირველისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი ოწინარის დოლისაგან ჩამოშვებული თოკის (ჯაჭვის) მეორე ბოლო მობმულია წნევის „ძირზე“ (სამშისოდ ძირს, „გობს“ საგანვებო ტარი აქვს). ასეთი კონსტრუქციული თავისებურების გამო

დოლის გარევეული მიმართულებით დატრიალება იწვევს. კარგი დოლი დორის დაბლა დაწევას, ე. ი. ჰაჭის დაწნებებს. იქნება წერილი პროცესში საქაფეს დროდადრო კეტავენ (ტაბ. II, 7). მიმართული საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სახიაფეის სახეები (პრომიტიული და მექანიკური მოწყობილობანი), რომელთა გამოყენება შორეული წარსულიდანაა საფარაულო, ერთხელ კიდევ მიუთითებს მეურნეობის, მევენახეობა-მელვინეობის დარგის აღრევა დაწინაურებასა და მის მაღალ განვითარებას ჩვენში, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანი უძველესი დროიდან ქმნიდა და ხევწდა მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირდეს სხვა-დასხვა სახის იარაღებს, კურჭლებსა და ინვენტარს.

### თ ა ღ ა რ ი

თაღარი მელვინეობასთან დაკავშირებული ჰურტელია, უწინ იგი უურძნის დაწურვისა და ლვინის გაღალების საჭიროებისათვის უბმარით.<sup>1</sup> ხოლო საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღესაც მმ დანიშნულებით ხმარობენ. ასეთი დანიშნულების ჰურტელი სხვადასხვა სახელითა დამოწმებული თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში: თაღარი, მენა, ისარნა, აუზი, ქვევრი. ჩამოთვლილი ჰურტელების სამეურნეო დანიშნულება ერთი და იგივეა, ხოლო ისინი ფორმებით და გაყეოების ტექნიკით საქმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათი, როგორც სამეურნეო ჰურტელის დანიშნულებას წარმოადგენდა და ესლაც წარმოადგენს საწნახელში დაწურული ყურძნიდან გამოსული ტყბილის დაგროვება. პსეთი ჰურტელი ჩადგმული იყო საწნახლის წინ ან მის კვერდით, მმ ადგილზე, საღაც საწნახელი, საფინარი არხი ჰქონდა დატოვებული. საწნახლის საღინარი არხი თაღართან შეერთებული იყო მილით ან ღარით და ამ გზით საწნახლიდან ტყბილი ოვითდინებით ჩაღილდა და გრივდებოდა მასში.

აუზი (ქართლში მას მენასაც უწოდებენ) შეიძლება კლდეში ნაკვეთი, კირსნარით მოშენებული და თბის ჰურტელიც იყოს. მენა, როგორც ირკვევა, საქართველოში ძეველად გავრცელებული ჰურტელი ყოფილა. საბას განმარტებით — მენა სამყოფი, სადგომია;

<sup>1</sup> ლ. პოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I თბილისი, 1949, გვ. 112. შენიშვნა: ი. ნანობაშვილი, ვაზის ძველი კულტურა ქაზიში, თბილისი, 1960, გვ. 162.

მენას კახი ტაგარსა უწოდებენ და ოგცა ტყბილის სადვოზია.<sup>2</sup> ტაგარი (ანუ თაღარი) ასევე ტყბილის სადვოში მურქელია,<sup>3</sup> უკიდურესი ტყბილი-ძველი ყურძნის წევნის ტყბილს ესრე ტყბილს უწინდესი იყო.<sup>4</sup>

თაღარი, რომელსაც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (მაგ. იმერეთი და მწვა) ისარნა შეესატყვისება, თიხის ჭურჭელს წარმოადგენს, ხოლო ქვევრი, რომელიც საწნახლის საღინართან არის ჩაღმმული, ზოგჯერ თაღარად იწოდება და საერთოდ ცნობილი თიხის საღვინე ჭურჭელია.<sup>5</sup>

მელვინეობასთან დაკავშირებული აღნიშნული ჭურჭელ-ინვენტარი შეიძლება სამ ტიპად დაყოს: პირეული — თიხის ჭერჭელი; მეორე — ქვაში ნაკვეთი აუზი და მესამე — მიწაში, გათხრილ ორმოში, კირხსნარით ამოშენებული აუზი. აქედან პირეული ტიპის ჭურჭელი უძველესი წარმოშობისა უნდა იყოს, ისანი წარმოქმნილია იმ დროს, როდესაც ადამიანმა საწნახელს საღინართა არხი გაუკეთა და ტყბილის დაღულება საწნახელში კი არა, ცალკე ჭურჭელში ან ქვევრებში ხდებოდა. ამ დროს საწნახლისათვის უნდა მოედგათ დიდი ზომის, ფართო პირიანი ჭურჭელი, რომელშიაც, ერთი მხრივ, საწნახელში დაწურული ყურძნის წვენი გროვდებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, აქედან მის იღებდნენ და ცალკე ჭურჭელში გადაეჭირნდათ. ასეთი დანიშნულების ჭურჭელი და მისი უძველესი სახელწოდება დღეისათვის ცნობილი არ არის, მაგრამ უნდა ვიკარაულოთ, რომ იგი ეთნოგრაფულ ყოფაში დამოწმებული თაღარის წინაპარი იყო, რადგან მათი სამეურნეო დანიშნულება ძირითადად ერთნაირი ჩანს.

<sup>2</sup> ს ე ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა თ ა ბ ი ც ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, თბ:ლისი, 1949, გვ. 203.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე- გვ. 332.

<sup>4</sup> ი ქ ვ ე- გვ. 340.

<sup>5</sup> მენა, ტაგარი (ანუ თაღარი) ძველთაგანვე ტყბილის სადვომ, სამყოფელ ჭურჭელადამინერული, მოლონ ხანტეში „მენა“ „აუზის“ სახელით თანაბათობით გამოიის ხმარებიდან და დაერწებას ეძლევა, ხოლო თაღარი, რომელიც თიხის ჭერჭელი იყო, მელეინეობიში ლითონის ჭერჭელმ შეცემა და მინ სხვა დანიშნულება მიიღო, როგორიც ლ. ბოჭორიშვილის აღწერილობიდან ჩანს, კახეთის თაღარის დღეს მემკვრეობების ჭერჭელები წყლის მარაგის შესანახად, შლამის მოსათავსებლად და სხვა დანიშნულების შესაძრულებლად იყენებენ, შექაშანურენი მისში ჭერჭელის შესაღებ წამალს ასხამენ, ხოლო კი ვენახის წამლის დასაყენებლად სპერტენ (ლ. ბოჭორიშვილი, კართული კურიმი, გვ. 112, შენიშვნა). თაღარი უკანასკნელ ხანგში იმერეთშიაც ეცნას წამლის დასამზარებლადა კამიყენებული.

ქვაში ნაკვეთი აუზი საწინახელის გამოვათარების შედეგად პერიოდს ემთხვევა და მასთან ერთად არის წარმოშობილი. ამრი და მამოწმებელ საბუთად უფლისციხეში აღმოჩენილი, კლუტმი შეკვეთი და ზენითში აჩვებული მონოლითში ამოკვეთილი უჭირასტურები გამოვევადგება. უფლისციხის შიდა ქალაქში პირველი საწინახელი კლდეში ნაკვეთი ორი განყოფილებისაგან შედგება და ერთმანეთთან დაკავშირებულია კლდეში ნაკვეთი არჩით. პირველი განყოფილება, რომელიც გეგმიში სწორკუთხედს იძლევა, წარმოადგენს საკუთრივ საწინახელს, სადაც ყურძნის დაწურვა სწარმოებდა, ხოლო მეორე განყოფილება, რომელიც გეგმაში კვადრატს იძლევა, წარმოდგენს აუზს, სადაც უურძნის წვენი გროვდებოდა. მისი ფართობი შეადგენს  $1,2 \text{ m}^2$  კედლების სიგრძე  $1,00 \times 1,20 \text{ m}$ , ხოლო სიმაღლე  $0,90 - 1,00 \text{ m}$ , მოცულობა კი  $1,2 \text{ m}^3$  კუბმეტრს, ან 1,200 ლიტრს.<sup>6</sup> მსგავსი აუზი აღმოჩნდა უფლისციხეში გათხრილ სხვა საწინახლებსაც. ასეთივე აუზი ჰქონდა ზენითის მონოლითში ამოკვეთილ საწინახელსაც. ფეოდალური ხანის კლდეში ნაკვეთ საწინახლებს ასეთი აუზები უკვე აღიარ აქვთ, მათ მაგივრობას თიხის ჭურჭელითაღარი ასრულებდა. მაშესადამე, ქვაში ნაკვეთი აუზები ძვ. წ. IV—III საუკუნეებში ყოფილა საქართველოში გვრცელებული და იგი კლდეში ნაკვეთი საწინახლების განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც მოვინარო ხანში მსგავს საწინახლებსაც კი ჩამოსკალდა და ადგილი თიხის ჭურჭელს დაუთმო.

მიწის ორმოში კირჩხარით ამოწერებული აუზი ასევე საწინახლების მესამე ტიპს უკავშირდება და წარმოშობილია შეაცეცდალურ ხანაში, როდესაც საწინახლების კირხსნარის დუღაბით აშენება შემოვიდა პრაქტიკაში.

კლდეში ნაკვეთი და კირხსნარით ნაშენი აუზები, საწინეხელის გვერდით, ძველი დროიდანევ ჩანან მეღვინე აბასთან კავშირში. ტებილის მოსაგროვებელი ჭურჭელი-ინვენტარი თუ რა სახელით იყო სახელდებული ძველად, ცნობილი არა, ამდენად სახელწოდება აუზი ამ ჭურჭელი-ინვენტარის შესატყვისი პირობითი ცნებაა და არც ისე შორეულ წარსულში უნდა იყოს შექმნილი.

დასახელებული ჭურჭელი-ინვენტარი საწინახლის განუყრელი თანამეზავრია ყურძნის წურეის პროცესში, რაუგან საწინახლიდან გამოსული, ტებილი თაღარში ან აუზში გროვდება, აქედან გადააქვთ

<sup>6</sup> დ. ხახ უტავშვილი, ახალი მისალები კლინისტური ხანის ქართლის კალაქების შემოწმების ისტორიის თემაზე, გვ. 116.

შემდეგ ქვევრებში, ზოგჯერ მასშიც ხდება დაღულება და—ღვინის  
დაყენებაც. აյ მხედველობაში უნდა მიეიღოთ თაღარად გამოყენე-  
ბული 20 — 25 კონანი ქვევრი.

თაღარი აუცილებელი ჭურჭელია საქაფიცით ჭავიდან ტებალის  
გამოწურების დროსაც, რადგან საქაფიცის „გობს“ ერთ მხარეს სა-  
დინარი არხი აქვს გაყეობული, რომლის მეშვეობითაც ტებალი  
მასზე მიღმულ ჭურჭელში გროვდება.

გათხრებით მოპოვებულ მასალებში თიხისიგან გაყეობული თა-  
ღარი ჭერჭერობით აღმოჩენილი არ არის, ამდენად ამ სახის ჭურჭ-  
ლების უფელესი ფორმების და მოცულობის ჭანაძელვაზე შეუძლე-  
ბელია. ზოლო რაც შეეხება აუზებს, ისინი როგორც აღნიშნული  
იყო, უფლისციხესა და ზენითის საწნახლებთან არის დადასტურე-  
ბული. მათ ოთხეუთხედი მოყვანილობა აქვთ, საშუალოდ მათი  
მოცულობა 100 დეკალიტრს უდრის. ზოგ შემოსევევაში კი, შეტაც.  
მათი სამეურნეო ფუნქცია საწნახლები დაწურული ყურძნის წვე-  
ნის დაგროვება იყო, შესაძლებელია ზოგ შემთხვევაში მასში  
ტებილის დაღულება და ლინის დაყენებაც ხდებოდა. რაზედაც შა-  
თი მოცულობა უნდა გვანიშნებდეს.

უფლისციხის საწნახლების აუზი ქვაში ცალკე არის ამოვეტი-  
ლი და თვით საწნახელს სპეციალური ლია სადინარი არხითა და  
ხვრელით უერთდება. საწნახლის ფსევრი უფრო მაღლა მდებარე-  
ბს, ვიდრე აუზის პირში, ამიტომ ყურძნის წურვის დროს ტებალი  
ოვითდინებით ჩაღითდა მასში. აუზი იმდენად დიდია, რომ საწნახ-  
ლის წურვის დროს ტებილის გადატანა ქვევრებში აუცილებელი არ  
აქნებოდა.

უფრო გრანდიოზულია ზენითის საწნახლის აუზი. მისი სიგრძე  
1,40 მ, სიგანე 1,20 მ, ხოლო შემორჩენილი კედლების სიმაღლე  
0,28 მ აღწევს და საღინარი ხერხლით უკავშირდება თვით საწნა-  
ხელს. ასე გამოიყურება ჩვენამდე მოლწეული უძველესი აუზები,  
რომელიც, ჩვენი შეხედულების მიხელვით, საწნახლების მეორე ტიპს  
უკავშირდება.

შუაფეოდალური ხანის კლდეში ნაკვეთ საწნახლიანაც ვხვდი-  
ბით აუზს, რომელიც ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს.  
ვარძიის ქვაბულ ქალაქში ერთ შემთხვევაში საწნახელს ფსევრთან  
მილი აქვს გაქრილი, საიდანაც ტებილი გამოდიოდა და იქვე ამუ-  
კეთილ მცირე თრმოში ჩიდგმულ ჭურჭელში გროვდებოდა. შემდეგ  
ტებილი მარნებში გადაჭრინდათ, საღაც ქვევრებში ასხამდნენ დასა-

დულებლად. მეორე შემთხვევაში, საწნახელს ფსკერზე სადეზი და და ტებილის გამოსასვლელი მიღია აქვს, მიღის წინ ირმოარ (ფრუშის), იმოჭრილი სითხის დასაგროვებლად<sup>7</sup>. უნდა ვითაროვავთ არ უშენა  
პირველ შემთხვევაში საგანგებო ჭურჭელი, თაღარი გამოიყენებოდა  
ტებილის დასაგროვებლად, როდესაც მეორე საწნახელს თავისი  
კლდეში ამოკვეთილი აუზი გააჩნდა. ამჩინად ერთდაიმავე ხანაში,  
ერთ აფგანშე თარგარი ჭურჭელის-ინვენტარის გამოყენების შემ-  
თხვევა გვაქვს.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (ბოლნისის რაიონი), მდ. ლოქის  
ხეობაში ნასოფლარის გათხრების დროს აღმოჩენილ მარაზში და  
დასტურებული იქნა ქეითი და კირსნარით ამოშენებული აუზი.  
რომელიც გამოვლენილი მასალების საფუძველზე მე-18 საუკუნის  
პირველი ნახევრითა დათარიღებული<sup>8</sup>. კირსნარით ამოშენებული  
აუზი და ქვეერის თაღარიდ გამოყენება აღმოსავლეთ საქართველო-  
ში აზლო წარსულში გავრცელებული მოვლენა ყოფილი და ზოგ-  
შემთხვევაში დღესაც გვხდება ხმარებაში.

მიწის ორმოში ამოშენებული ქვითების აუზი საწნახ-  
ლის მესამე ტიპთან უნდა იყოს დაკავშირებული. როდესაც  
საწნახლის კირსნარით შენება დაუწყიათ. ტებილის მოსაგროვებე-  
ლი აუზის (მენა) შენებაც ამავე მასალით გადაუწყერიათ. შესაძ-  
ლებელია, რომ უძრავ საწნახლებს, რომლებიც ქვაში იყო ნაკვეთი,  
ხოლო შემდეგ ხანაში კი კირსნარით ნაშენები, უკეთებდნენ აუზი,  
თის საწნახლებისათვის კი, რომელთა გადატანა ერთი ადგილიდან  
მეორეზე სიძნელეს არ წარმოადგენდა, თიხის ჭურჭელს, თაღარსა  
და ქვეერს ხმარობდნენ. თუმცა მდ. ლოქის ხეობაში გათხრილ მეორე  
მარაზში ქვიტკირის საწნახელს ქვეერი პქონდა თაღარად მიდგრელი.  
ასე, რომ თაღარის ან ქვეერის გამოყენება ტებილის დასაგროვებელ  
ჭურჭელად ქვითების საწნახლისათვის გამორიცხული არ ჩანს.

მენა კირსნარით ნაგებ აუზს ეწოდება. ეს კარგად დასტურდე-  
ბა თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში ქართლის ტერიტორიაზე.  
„მიწაში დაფლულ საღეინე ჭურჭელთა შორის აღსანიშნავია ე წ.

<sup>7</sup> ქ. მელითაუ რ. რ. ნ. მოშიაშვილი, შ. ხანთაძე, პ. ჯამბერია, კართვის განვითარევა, თბილის, 1955, გვ. 75.

<sup>8</sup> ა. ბოხორ ჩ. გ. შელიონე-ხელისძის საცხოვრებელ კომპლექსი-  
აღმოჩენილი მარაზი, ხელიშვილი, 1961.

„მენა“ მენას სახელით ცნობილი საღვინე კურპელი ქვითა და უძრული არის ნაშენი მიწაში<sup>1</sup>. სოფლები: აში, ბოდორნა, ყვავილი, მეზერიანი კარი და სხვა, ვენახებს მდ. არაგვის პირზე აშენებდნენ: აქედან მენაზე კურპელი ში, ლა ცის ქვეშ, საწნახლების ძირში მოთხრილი ორმოში მუჯაჭადებენ კირით თაღარის მსგავსად, ქვევრის ოდნა კურპელს აშენებდნენ. მასში დაწურულ ტკბილს აყენებდნენ რამდენიმე ღლის განმავლობაში (3—4—5 ღლეს). ამის შემდეგ ნაწურ ტკბილს და ჭავას ცალკალკე წაიღებდნენ დანიშნულების ადგილას. მიწაში ქვითა და კირით ამგვარად ნაგებ კურპელს, რომელიც ერთგვარად ქვევრის როლს ასრულებდა, იქაურები „მენას“ უწოდებდნენ.<sup>2</sup>

კახეთში წინათ ამავე დანიშნულებით თაღარი უხმარიათ, შემდეგ მას თავისი მნიშვნელობა დაუკარგავს და ანლა მას ვენახში წიმლის დასაყენებლად ხმარობდნ. <sup>3</sup> ეხლა ტკბილის დასაგროვებლად ორჩოებს თხრიან, ცემენტით ლესავენ. თხის თაღარის ნაცვლად ზოგჯერ ლითონისას ხმარობდნ, რომელსაც ასევე თაღარი ეწოდება.<sup>4</sup>

ქართლში თაღარი ეწოდება საწნახლის წინ, მილის აქეთ-იქით ჩადგმულ ქვევრს, სერითოდ დიდ ქვევრსაც.<sup>5</sup>

კადევ უფრო სუსტადა შესწავლილი მსგავსი საღვინე კურპელები დასაყელეთ საქართველოში. აქ გათხრილი და გამოვლინებული არ არის მარნები და მასთან დაკავშირებული სხვა სახის ინერციარი და კურპელეული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვაშნარში აღმოჩენილ მარანს. უკანასკნელ ხანებში, ტკბილის დასაგროვებელი კურპელებიდან იძერეთში გაერცელებული იყო თხის თაღარი, ისარნა. იყი საწნახელს მიღებული ქეონდა წინ. იქ, საღაც ტკბილის გამოსასვლელად გაკეთებული აქვს ხერელი და რომელსაც „ინფურს“ უწოდებენ. ზოგ შემთხვევაში ტკბილის გამოსასვლელი თაღარითან დაკავშირებული იყო ხის ღარით. თაღარი აქ მცირე მოცულობისაა: მასში 10 დეკალიტრამდე ტკბილი თავსდება. ყურძნით საფსე საწნახლის წურვის პროცესში, თაღარიდან ტკბილი განუწიველდება გადააჭვო კურპელში. გადასატანად გამოიყენებოდა ჩატი, ხოლო თაღარიდან ტკბილის მოსალებად ხაპი, რომელიც ე. წ. მწარე კვანძისაგან არის გაკეთებული და სათანადო გამოხარშელი.

\* ა. ნანობაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150 — 151.

<sup>10</sup> ც. ბოჭორიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112. მენაშენ 2.

ა. ნანობაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 162.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 162.

8. ა. ბოჭორიშვილი

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთში, ორი ტიპის მა-  
ლირი ყოფილა გვერცელებული: ქუსლიანი და ბრტყელჭირა, გრა-  
ლიანი თაღარი შუაზე გაქრილ ქვეერს წააგავს: ქვევრისჭირი ერთული  
ძირისკენ გიწროა და ქუსლიანი, პირისკენ კი შესამჩრეჭირ-ქაჭაბერ  
თოვებული და ირგვლივ შემოვლებული თავით დაგვირგვინებული.  
ძირის სივიწროვე და პირის განსაკუთრებული სიფართოვე ორივე-  
გვარი თაღარის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ბრტყელძი-  
რი თაღარი ყურიანია, ორი ყური ერთ მხარეს აქვს მობმული, ორი  
კი, მეორე მხარეს. ქუსლიან თაღარს, უქუსლოსაგან განსხვავებით,  
უური არ უძეოდება, ქუსლიან თაღარს მიწაში ჩასვამდნენ ხოლმე,  
ბრტყელძირა კი სწორედ მიწას ზემოთ იდგმება<sup>13</sup>.

თბილისში, ერეკლეს მოედანზე წარმოებული გათხრების დროს,  
შუაფეოდალური ხანის მასალებში ყურადღებას იქცევს დიდი ზო-  
მის, ფართე პირიანი და ყურებიანი ჰურქელი, რომელიც დამახა-  
სიათებელი ნიშნების მიხედვით თაღარს უნდა წარმოადგენდეს.  
ამდღნად იგი ჯერჯერობით ერთადერთი უძველესი (XI—XIII სს.)  
თაღარია არქეოლოგიური გათხრების შედეგად რომა აღმოჩე-  
ნილი.<sup>14</sup>

იმერეთში გავრცელებული იყო ქუსლიანი თაღარი (ტაბ. I, 14),  
რომელიც ამძღნადმე განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოში  
გავრცელებული მსგავსი ჰურქელისაგან (ტაბ. I, 15). იმერულ თა-  
ღარს ფართე პირი, გაბრტყელებული ქობა, მომრგვალებული კალ-  
თები (არა ქვეერივით დაქანებული) და ქუსლი აქვს. იმერული მექ-  
ვევრის დიმიტრი ლაბაძის (შროშა) გადმოცემით, ქვეერის მკეთებე-  
ლი თაღარსაც აკეთებდა წინათ. ეხლა მას ძალიან იშვიათად აკეთე-  
ბენ, რაღვან მას ეხლა თითქმის აღარავინ ხმარობს. უკანასკნელ  
ხანებში თიხის თაღარი ნელ-ნელა გამოვიდა ხმარებიდან და იგი  
სპილენძისაგან დამზადებულმა ჰურქელმა (ქვაბმა) შეცვალა.

### III 3 4 0

საქართველოში, მევენახეობის კლასიკურ ქვეყანაში, კერამიკუ-  
ლი წარმოების ერთი დარგი — მექევერეობა მთლიანად მეღვინეო-

<sup>13</sup> ლ. ბოჭორიშვილი, ტასახ. ნაშრომი, გვ. 122.

<sup>14</sup> აღნიშნული ჰურქელი აღდგენილი და ექსპონირებულია თბილისის სა-  
ხელმწიფო ეთნოგრაფიულ-ისტორიულ მუზეუმში.

ბის ინტერესებს ემსახურება.<sup>1</sup> ქვევრი ის ჭურჭელია, რომელშიც  
მიმღინარეობს ყურძნიდან მიღებული ტებილის ჩასხმა, დაღულე  
ბასთან დაკავშირებული პროცესი, დაღვინება და ბოლოს წარმუშავე  
ლეინის შენახვა. მდგრად მისი დანაშაულუბა მეღვინეობის მაქტიზმით  
უდიდესი ჩანს და ქვევრის, როგორც სამეურნეო ხსნითის მქონე  
ჭურჭლის, არსებობა შორეულ წარსულშია სავარაუდო, თუმცა  
ასებული ოქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ჩენი თვალსა-  
წიფრი არც ისე ღრმა წარსულში მიდის.

საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის დარგის უდიდესი ტრა-  
დიცების მქონე ქვეყანაა. ექვეურნეობის ამ დარგს ადამიანი  
უხსოვარი დროიდან მისდევდა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული,  
ვაზის ზრდისა და განვითარებისათვის საქართველოს ბაზ აღგი-  
ლებში იმდენად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობდა,  
როგორც გარეული (კრიკინი), ვაზის (*vitis silvestris*). ისე  
კულტურული ვაზის (*vitis vinifera* -ს) ფორმებისათვის, რომ  
რიგი მკვდევარებისა ვაზის სამშობლო საქართველოს მიიჩნევს.<sup>2</sup>  
ზემო აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ საქართველოში კულტურული  
მევენახეობა ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის უნდა არსე-  
ბულიყო, ხოლო მეღვინეობას გაცილებით აღრე მიეცა დასაბამი.  
ამასთანავე, თუ ვაკითვალისწინებთ მეღვინეობასთან დაკავშირებულ  
ჭურჭლებსა და ინვენტარს, რომლებიც საქართველოს ტერიტორია-  
ზე აღმოჩენილი, ნათელი გახდება, თუ რა დიდი ხნის ისტორია  
ექვს ვაზის კულტურას და რა ძირდელი ტრადიციების მქონეა  
მეღვინეობასთან დაკავშირებული ჭურჭლებისა და ინვენტარის  
კუთხით ჩვენში.

რა თქმა უნდა, ვაზის მოშინაურებასა და მეღვინეობის დაწყე-  
ბასთან ერთად არ წარმოქმნილა ყველა ის ინვენტარი და ლვინის  
ჭურჭელი, რომლებიც განვითარებული და სრულყოფილი ხახოთ  
უფრო გვიან გვევლინებაან, თუმცა ზოგიერთი საღვინი ჭურჭლის  
გაჩენა კი მეღვინეობის წარმოშობასთან უნდა იყოს დაკავშირებუ-  
ლი. საქართველოში ერთადერთ ჭურჭელს, რომელიც მტკიცედ  
უკავშირდება მეღვინეობას და რომელშიაც ხდება ტებილის დაღუ-

<sup>1</sup> ლ. ბოჭორიშვილი, ქართველი კერამიკა, I, ქახერი, თბილისი,  
1949, გვ. 112.

<sup>2</sup> სოლ. ჩოლოვაშვილი, მხატვები საქართველოს XII—XIII საუ-  
კუთხის ვაზის ჭიშების საკითხისათვეს, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური  
კულტურა, თბილისი, 1938, გვ. 61.

ლება და ლეინის შენახვა ქვევრი წარმოადგენს, ამიტომ და ლესი დროიდან უნდა შემოსულიყო ხმარებაში.

არქეოლოგური მონაცემების მიხედვით ირკვევა, მარშალი და ლეინის შესანახავ ჰურპლად საქართველოში ძვ. წ. მ. ჩატუქუნების ფართოდ ყოფილა გავრცელებული და გამოყენებული. ამ ხნიდან აღნიშნული ჰურპლის გამოყენება მეღვინეობაში არავითარ ეჭვს აღარ აწევეს, ამავე დროს საინტერესოა საკოთხი, რა ჰურპლში ხდებოდა ტკბილის დადუღება და ლეინის შენახვა დღრეულ ხანებში, იმ დროს, როდესაც საქართველოში განვითარებული კულტურული მეცნახეობაა საგულევებელი?

ენეოლითში საფუძველი ეყრება დიდი ზომის თიხის ჰურპლების დაშნადების ტრადიციას. ასეთ ჰურპლებში უმთავრესად მარცვლეულისა და საერთოდ საკები პროდუქტების შენახვას ვარაუდობენ. იბადება კითხვა, ხომ არ შეიძლებოდა ასეთი, დიდი ზომის ჰურპლები სითხის მოსაკავებლად და ზოგ შემთხვევებში მათ შესანახვად გამოყენებია ადამიანს? მით უმეტეს, რომ ენეოლითის დროინდელი სამოსახლო აღილების გათხრების დროს აღმოჩენილია თრ-მოები, რომლებიც სამეურნეო დანიშნულებისად არიან. მინერალი და, უპირველეს ყოვლისა, მარცვლეულის შესანახავ აღილებად არის ნავარაუდევი. რა თქმა უნდა, ორმოების გეერდით თიხის დიდი ზომის ჰურპლები უნდა გამოყენებიათ მარცვლეულის შესანახვად, როგორც ეს მოგვიანო ხანაშიც არის დადასტურებული, როდესაც ქვევრი ძირითადად საღვინე ჰურპელს წარმოადგენს. ხოლო ზოგიერთ მათგანში მარცვლეულსაც ინახავენ, ხომ არ არის ეს ტრადიცია ძველი და სწორედ ენეოლითის დროიდან მომდინარე, როდესაც დიდი ზომის თიხის ჰურპლების კეთებას იწყებენ?.. სავარაუდოა, რომ განვითარების ამ საფეხურზე ადამიანმა იკოდა მაგარი, მათრიბელა სასმელის დაშნადება, რისთვისაც ჰურპელი აუცილებელი იყო. მეორე მხრივ, მეღვინეობა კულტურულ მეცნახეობაზე იღრე წარმონაქმნად მივაჩნია და ამ შემთხვევაში ენეოლითისათვის ლეინის დაყენება, დადუღების გზით, უკვე ცნობილი ფაქტი უნდა ყოფილიყო, რასაც უნდა წარმოქმნა მოთხოვნილება დიდი ტევადობის ჰურპელზე.

ყოველ შემთხვევაში, ცხადი ის არის, რომ გამოთვალი მოსაზრების მიუხედავად, ენეოლითის ხანაში ადამიანი იწყებს დიდა

ზომის კურტლის კეთების, რომელშიც შესაძლებელი ჩინს ჟერმა  
დელ ხინაში გავრცელებული საღვინე პურტლის-ქვერის წინააღმდე  
მისი პროტოტიპი დაინიანოთ. აღნიშნული პურპელის განვითარების და  
მისი ფორმების თანდათანობით დაცვეშამ, რომელიც სამყალებელი იყენება  
პროცესს წარმოადგენდა, თანამედროვე ქვერი მოვცა.

ენეოლითის ხანიდან ვიდრე აღრეანტიკურ ხანამდე, როდესაც  
ქვერი ძირითადად ჩამოყალიბებული სახით წარმოგვიდგება, მან  
განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა და სათანადო ცვლი-  
ლებაც განიცადა. თუ ამ განვითარების პროცესს თვალს გავადევ-  
ნებთ, დავრწმუნდებით, რომ ქვერის წინაპარი ენეოლითის ხენაში  
წარმოიშვეა. ივი საქართველოს ტერიტორიაზე აღვილობრივ არის  
წარმოქმნილი, აქაური მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაქმაყო-  
ფილებისათვის. ამიტომაც ექვემდებარები და მათი პირ-  
ელსახები მაინც გამსხვავდებათ სხვა ქვეყნებში აღმოჩენილ  
მსგავსი პურპელებისაგან, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მათი ფორ-  
მები ერთმანეთს უახლოვდება, ხოლო დანიშნულება კი თან ემთხ-  
ვდა.

თუ აღმოჩენილ მასალებს გავადევნებთ თვალს, დავინახავთ,  
რომ ქველ საბერძნეთში დვინის შესანახავ პურპელებს „პიონერებს“  
დიდი ცვლილება არ განუციათ უძველეს ხანასთან შედარებით.  
ტროას მეცნიერება ფენაში აღმოჩნდა მარცვლეულის შესანახავი სარ-  
დაფი, რომელშიც ცხრა პიონერი იყო ეს კერძოს მაგვარი, ავართი  
ყველიანი და კოსტუმი ძირიანი უყურო პურპელები სრულებით  
მსგავსია ანტიკური ხანის პიონერებისა. ასე რომ ბერძნული პიონერი  
თავის ძირითადი ნიშნებით დიდი ხნის გამავლობაში დარჩენ  
უცვლელია. მას კვერცხის მაგვარი მოყვანილობა, ფართე პირი.  
ბრტყელი ქობა და ცილინდრულ ქუსლიანი ძირი აქვს<sup>3</sup>.

საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ  
საქართველოში, ენეოლითიური ხანის ქეგლები მრავლადა გამოვლი-  
ნებული და შესწავლილი. გათხრების დროს აღმოჩენილია დოდა-  
ძალი კერამიკული მასალა, რომელშიც მთელი პურპელებიც  
საქმია რაოდენობით მოიპოვება. ამ მასალების მიხედვით შესა-  
ძებელი ხდება წარმოდგენა ვიქტორიოთ, როგორც პურპლის ფორმებ-

<sup>3</sup> Б. Н. Граков. Тара и хранение сельскохозяйственных продуктов в классической Греции VI—IV веков до нашей эры. Из истории материального производства античного мира. Изв. ГАИМК. вып. 108. М.-Л., 1935, 83. 165—166.

ზე, ისე მათ მოცულობა-ტევადობაშე. უფრო ძნელია ჭურქულების დანიშნულების დადგენა, გამსაკუთრებით დიდი ზომის ჭურქულებისა. მათი დანიშნულების შესახებ გამოთქმულია საეპიფრატის მიერად რებანი, დანამდვილებით კი იმის თქმა, თუ მეურნეობის რომელ დარგში გამოიყენებოდა ასეთი მოცულობის ჭურქულები, ძნელი და-სადგენია. შესაძლებლად მიგვაჩნია კიდევ ერთი საეპიფრატო მოსახ-რების გამოთქმა აღნიშნული ხანის დიდი ზომის ჭურქულების მა-მართ, რომელიც სინამდვილიდან შესაძლოა არც ისე შორს იყოს.

ენეოლითური ხანის მოზრდილი ჭურქულის ერთ-ერთ ტიპიურ სახეს წარმოადგენს 1947 წ. თრიალეთში, სოფ. გუნიაში (ოზნი) აღმოჩენილი დიდი ზომის ჭურქული, რომელიც კაკეთის ჭურქულე-ბის მსგავსად სათვალის მაგვარი სპირალითაა შემკული.<sup>4</sup> აღნიშნუ-ლი ჭურქულის ფერი წითლადა გამოწვევარი. მას ფართზე პირი, ოლნავ გამსხვილებული ქობა, მაღალი, ცილინდრული ყელი, განიერი მხრები, წესიერად დაქანებული კალთები და ფართო, ბრტყელი ძირი აქვს, ჭურქულს მხარი შემკული აქვს სათვალის მაგვარი სპირალით (ტაბ. III, 1). სიმაღლე დაიხლოებით 1 მ. უდრის, ტევადობა კი 200 ლიტრამდე აღწევს. ასეთ ჭურქულში მარცვლეულისა და საქ-ვები პროდუქტების გარდა, შესაძლებელი იქნებოდა სიოთხის შენახ-ვაც. გამოლგებოდა იგი მაგვარი სასმელების, პირველ რიგში კი ღვინის დასაღულებელ ჭურქულადაც.

ენეოლითის განვითარებული ხანისათვის, რომელსაც ეს ჭურ-ქული ყაუთენის, საეპიფრატო მაღლარი ფორმის მეცნიერების არსებობა, რომელსაც თავის მხრივ მოთხოვნილება უნდა წარმოეშვა დიდი ზომის ჭურქულზე, რომელშიც მოხდებოდა, როგორც ტება-ლის დალულება, ისე ღვინის შენახვა. თუ იმასაც მიეიღებთ მხედვა-ლობაში, რომ ამ ხნის ძეგლები ძირითადად აღმოჩენილია დაბლობ ვაკე აღგილებსა და მდინარეების გასწვრივ, რომელიც განვითარე-ბული მიწათმოქმედების არქს წარმოადგენდა, მაშინ ეგების გა-მართლებულად მიეიჩნიოთ მოსაზრება, რომ მსგავს ჭურქულს ადამიანი იყენებდა არა მარტო მარცვლეულისა და საკვები პრი-

<sup>4</sup> Б. А. Куфти и. Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тбилиси, 1948, გვ. 30.

თ. ჯ. ა ფ. ა რ. ი ძ. კ. ლითონის წარმოების აღრეული საფეხურის საქართვე-ლში, თბილისი, 1955, გვ. 16. ტაბ. 1, 4.

დუქტების, არამედ მაგარი სასმელების და კერძოდ ლვინის და ბისა და შენახვის დანიშნულებითაც.

ჭურჭლის მოყვანილობა, მისი ზედაპირის შემჯობა, ბრტყელი ბრტყელი ძირი და სხვ. უსათუოდ მოწმობს, რომ იგი მიწის ზევით დასაღმელი. ჭურჭელი იყო და მიწაში არ მარხავდნენ, როგორც ქვევრს.

ალსანიშნავია კიდევ ერთი გარემოებაც, რომ დიდი ზომის ჭურჭელი აღმოჩენილია ნამოსახლარი აღვილების გათხრების დროს. რაც მის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების უტყუარ მოწმედ უნდა იქნეს მიწნეული.

დიდი ზომის ჭურჭლები საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითის დასასრულსაც უკეთებიათ, ოღონდ ამ ხანისათვის ფორმები საგრძნობლად შეცვლილია, ჭურჭელს ცილინდრული ყელი აღარ აქვს, მუცელი გამობერილია, კალთები მომრგვალებული. ძირი კაკონუსური ხდება (ქვაცხელები). გამობერილი მუცელი შემკულია სახეებით და, ზოგ შემთხვევაში, მარტინი ნახევარსფერული ყურია მიძერწილი. ასეთი ჭურჭლები სპეციალურად გაეკეთებულ საღამზე ან მიწაში ამოთხრილ ორმობრივი იდგმებოდა ძირა ნაწილით, ისე, რომ გვერდები და ყურები მიწის ზემოთ კარგად უნდა ყოფილიყო გამოჩენილი. სხვა შემთხვევაში ჭურჭლისათვას თრიამენტი საჭირო არ იქნებოდა, რადგან, მთლიანად მისი მიწაში ჩადგმის შემთხვევაში იგი დაიფარებოდა, ხოლო ყურები, რომელიც ჭურჭლის გადაადგილებისათვის იყო საჭირო, თავის დანიშნულებას დაპყარგავდა.

განვითარების მომდევნო საფეხურს წარმოადგენს აღზებრიშობის ხანის ჭურჭლები. ამ ხანის კერამიკა ჭერ კიდევ ახლო დგას ენეოლითურ კერამიკასთან<sup>5</sup> და განსხვავდება შუა ბრინჯაოს ხანის თიბის ჭურჭლებისაგან;<sup>6</sup> თუმცა, როგორც ჩანს, ენეოლითის შეგავსად, ჭერ კიდევ ინარჩუნებს გვერცელების საქმაოდ დიდ არეალს და მიუხედავად ამ პერიოდში მომხდარი მთელი რიგი ძვრებისა, მაგნც შესძლო შემონახა ძირითადად ძელი ტრადიციები.<sup>7</sup>

აღნიშნული ხანის ჭურჭლებიდან ალსანიშნავია საჩხერეში<sup>8</sup> და თეთრიშვარის მახლიბლად მეორე ყორლანში აღმოჩენილი ჭურჭ-

<sup>5</sup> Б. А. Куптии, Материалы к археологии Колхиды, т. II, гл. 115—116.

<sup>6</sup> Б. А. Куптии, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, гл. 75.

<sup>7</sup> თ. გ. ფ. ა. რიძე, დასახ. ნამრობი, გл. 92.

<sup>8</sup> ი. ქ. გ. გ. გ. 92, ტაბ. XVIII, XIX.

ლება. საჩერული კურპელი შევი ფერისა. ვარდისფერი სამარტინო, მას ოდნავ გარეთ გაღმოშლილი პირი, დაბალი ყველი, გამოძრილი მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი აქვს. გვერდის მარტინი ლია საირალური ხვეულებით, მცირელზე ტალღისებურად შემოადგეს რელიეფური ზოლი და მიძერწილი აქვს ხახვარსფერული სამაყური. ღლიიშნული კურპელის დადგმაც შეიძლებოდა, მაგრამ მისი ძირის სივიწროვე გვაფიქრებინებს, რომ კურპელი სპეციალურ სადგამზე ან მიწაში ამოთხრილ თამოში იღებოდა ძირი ნაწილით (ტაბ. III, 2).

კალევ უფრო განსხვავებული და დახვეწილი ფორმების შეონეა თეთრიწყაროს მახლობლად მეორე ყორდანში აღმოჩენილი დიდი ზომის კურპელი. ექვემდებარებული გარედან შავლეგა ფარისაა, მოვარდისფრო სატჩულით. მას ფართე პირი, დაბალი ყველი, წესიერად გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. კურპელს მხრების არეში მიძერწილი აქვს ბრტყელი, ქედიანი ყურები, რომლის ქვედა მხარეს შემოვლებულია რელი. მხრები შემკული აქვს კოპებით და მიმაღლი დუღმის მოყვანილობის რელიეფური ზოლებით. კურპელში 70 ლიტრამდე სითხე მოთავსდებოდა. შეიძლებოდა მისი დადგმა მიწაზე. აღნიშნული კურპელი მის წინამორბედთა შემდგომ განვითარებას უნდა წარმოადგენდეს და მისი დანიშნულებაც იგივე უნდა კოფილიყო, რაც მისი წინაპირი კურპლებისა.

განვითარების შემდეგი საფეხური შუაბრინჯაოს ხანაზე მოდია. სამწუხაოთ, ამ პერიოდის ნამოსახლარი ადგილები საქართველოს ტერიტორიაზე ნაკლებიდ არის გამოვლენილი და შესწავლილი. არსებული მასალები სამარტებიდან მომდინარეობს, მათ შორის აღსანიშვავია ორიალეთის დიდ ყორდანებში გამოვლენილი კურპლები.

წალენის რაიონის სოფ. კუშჩის მახლობლად გათხრილ ერთ-ერთ ყორდანში, რომელსაც იდგილობრივი მცხოვრებნი „თოფ-ქარს“ უწოდებდნენ, აღმოჩნდა უზარმაზარი დასაკრძალვი დაზიაზი, მისი დასავლეთის განივი კულლის სიგრძე 12,5, ხოლო გრძელი კედლებისა 16,5 მეტრს აღწევდა. ქვა მშრალად, უღულაბოდ იყო ნაწყობი, კედლების სიმაღლე 2,5 მეტრს უდრიდა. მთელი დაზიაზი ისე იყო ყორდანის ქვებით ამოკორილი, რომ გარედან სრულად არ ჩანდა. ამ ყრილის ამოკრებისა და დასაკრძალვი მოედნის გაწმენდის შემდეგ გამოირვა, რომ მთელი ამ მოედნის ირგვლივ თავის დროზე მშევნიერაო თანამენტირებული თიხის კურპელები ყოფილა შემორიგებული.

შესაძლებელი გახდა ნატეხების ერთიმეორებული მორგვება და მშროგავი ერთი წარმა დიდრონი კურქლები უკვე აღდგნილიცაა. მაგრა უძული ხელვით შევეძლია კიმსჯელოთ, თუ რა მაღალი დონისათვის მარტივება  
წევა იმ დროს ჩახსის სამუალებრივ თიხის კურქელის წარმოებას. კურქელთა მოცულობის გამოთვლა კი ორცემს, რომ მათში 3000-  
მდე ლიტრი სასმელი ჩაეტეოდა, ე. ი. იმდენი, რამდენიც დად გვა-  
როვნულ კოლექტივს დასკირდებოდა ქალებზე?

პროფ. პ. კუფტინი ყორდანული სამარხების დიდი ზომის კურ-  
ქლებში ორ სახეს აჩვენს, პირველი, რომლებიც თავიანთი ფორმით  
„პიონერებს“ გვანან და ყურები იზა აქვთ, ინ ორი პატარა ყური აქვთ  
შხარზე,<sup>10</sup> და მეორე უყურო „პიონერები“, რომელთაც არც თუ მა-  
ღალი ყელი და ლამაზად გამოყვანილი ქობა აქვთ<sup>11</sup>. ეს აღმოჩენი-  
ლი კურქლების ნაწილი შევლეგა, ხოლო ნაწილი წითელი ფერისაა.  
შევლეგად გამომწვარი კურქლები გარედან შემკულია ნაირი სახის  
ორნამენტებითა და კოპებით, ხოლო წითელი ფერისა კი მოხატუ-  
ლია სხვადასხვა სახეებით და მათ შორის გველის გამოხატულები-  
თაც. აღნიშნული კურქლები ფორმით ერთი ტიპისა ჩანან, ხოლო  
მათი ძირითად განმასხვავებელ ნიმნებად ფერი, მოხატულობა,  
ყელის სიმაღლე და პირის მოყვანილობა უნდა მივიჩნიოთ.

VII ყორდანულ საშარხში აღმოჩენილი კურქელი შეიძლება ტი-  
პიურად ჩავთვალოთ. იგი შემდეგი სახით წარმოვადგება: მას ქობა  
ოდნავ გამსხვილებული და გარეთ გადმოწეული, ყელი საშუალო  
სიმაღლის, ცილინდრული, მხრები გამობერილი, კალთები დაქანე-  
ბული, და ფართე ბრტყელი ძირი აქვს (ტბ. III, 3). სიმაღლე 80 სმ  
მეტია, ხოლო მუცლის დიამეტრი 60 სმ აღწევს. კურქლები მიწის  
ზემოთ იღგმებოდა, რასაც, ერთი მხრივ მათი ზედაპირის შემკულო-  
ბა მოწმობს, ასე მიწაში დასაფლავ კურქლებს არ ახსიათებს,  
ხოლო მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ზოგიერთი კურქელი ისე  
ძლიერ დაულენტია დასაკრძალავი „ოთხის“ ჭერის ჩამოქცევის. რომ  
მათი ნამტკრევები ხეთითად მეტრის მანძილზე გადაცენილა იმ  
აღვილიდან, საღაც კურქლის ძირითადი ნაწილია ღარჩენილი.<sup>12</sup> ეს

<sup>9</sup> პ. კუფტინი. ჭარული კოლერის უძველესი კერა თბილეთში. თბილისი, 1949, გვ. 22—23, სერ. 7, 8.

<sup>10</sup> პ. კუფტინ. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, 1941, გვ. 84, 184, ტაბ. LXXVII, LXXX და LXXXIII<sub>1-2</sub>.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 84, 184, ტაბ. LXXXII, LXXXVI, LXXXIII<sub>1-2</sub>.

<sup>12</sup> პ. კუფტინი. ჭარული კოლერის უძველესი ჭერა თბილეთში, გვ. 26.

თავისთვის მიუთითებს ჰურკლების მიწის ზედაპირზე ქარსებობას /  
და არა მთ მიწაში დაფულას.

თრიალეთის შეაბრინჯაოს ხანის სამარხ ყორლანებშე უფლებით გადა-  
ლი დიდი ზომის ჰურკლებს რომ სამეურნეო დანიშნულებით იყე-  
ნებდა ადამიანი, ეს საცეკვო არ არის, მაგრამ მეურნეობის რომელ  
დარგში გამოიყენებოდა ისინი, ამისათვის პირდაპირი მანიშნებელი  
საბუთები არ არსებობს.

პროფ. ბ. კუტტინის ისინი, უპირველეს ყოვლისა, სასმელი სიოთ-  
ხის შესანახავ ჰურკლებად მიაჩინა, რომ მათში 3000-შედე ლიტრი  
სასმელი ჩაეტეოდა, ე. ა. იძღვნი, რამდენიც დიდ გვაროვნულ კო-  
ლექტივს დასკირდებოდა ქელებზე.<sup>13</sup> ამრიგად, იღნიშნულ ჰურკ-  
ლებში ნავარაუდეებია მაგარი, აღკოშოლიან სასმელის შენახვა,  
მაგრამ რომელის, ამაზე კი ავტორს არაფრი აქვს ნათქვამი. საერ-  
თოდ, აღნიშნული ხანისათვის პროფ. ბ. კუტტინი ვარაუდობს,  
რომ ადგილობრივი ბინადარი მოსახლეობის ყოფაცხოვრება და  
მეურნეობა დამყარებული იყო მიწათმოქმედებაზე და მწყებსურ  
მესაქონლეობაზე.<sup>14</sup> თუ ავტორისეულ მოსახრებას გაიზიარებთ,  
რომ ყორლანში აღმოჩენილ ჰურკლებში, მიცვალებულის სულის  
საქმესთან გასამართავ ქელებზე გვარის წევრებისათვის სასმელი  
ინახებოდა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ წყალთან ერთად ჰურ-  
კლებები მაგარი სასმელებიც უნდა ყოფილიყო — ლუდი ან ლვინო.  
ლუდის მომზადება აქ ადგილზევე იყო შესაძლებელი, ხოლო ლვი-  
ნო, თუ იგი ქელებზე ნამდვილად იყო წარმოდგენილი, როგორც  
სასმელი, სხვა ადგილებიდან უნდა შეეტანათ, ისე როგორც ამას  
დღეს აკეთებენ იმ ადგილებში (მთაულეთი, ხევსურეთი და სხვა),  
სადაც ვენახი ბუნებრივი პირობების გამო არ ხარობს. ეს იმით უნდა  
იყოს გამართლებული, რომ თრიალეთის პლატო მეცნიანეობისათ-  
ვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების უქონლობის გამო დღესაც  
გამოსადევი არ არის და წარსულშიც ასეთივე უნდა ყოფილიყო; ხო-  
ლო ჩაც შეეხება საქართველოს დაბლობ ადგილებს, აქ ვაზის კულტ-  
ურა საქმაოდ, განვითარებული ჩანს, და აქედან ლვინის შეტანა თრია-  
ლეთში საძნელო საქმე არ იქნებოდა. ამდენად, ნაწილი იმ ჰურკლე-  
ბისა, რომლებიც თრიალეთშია აღმოჩენილი, შეიძლება სალვინე  
ჰურკლებად მიიჩინოთ. ასეთი მოსახრების გასამტკიცებლად ეგა-

<sup>13</sup> ბ. კუტტინი, დახ., ნაშრ., გვ. 23.

<sup>14</sup> Б. А. Куттини. Археологические раскопки в Триалети. გვ. 100, 148.

ბის ამავე ყორდანებში აღმოჩენილი ქვირთასი ლითონებისაგან გაკეთებული სასმისებიც გამოდგეს, რომლებიც მკვლევართა მუზეუმი ერთხმადა მიჩნეული მაგარი სასმელების მისაღებად. გვალიარიანეა

თრიალეთში აღმოჩენილი დიდი ზომის ჭურჭელები მკვლევარების ერთ ნაწილს ქვევრებად მიაჩინა<sup>16</sup> და აღბად მათი სამეცნიერო დანიშნულებითაც ასევე გაგებული, ხოლო ზოგიერთი მათ სამკურნალო ჭამლების მასალებისა და თვით წამლების შესახახავ ჭურჭელებად მიიჩნევს, რადგან VII ყორდანში აღმოჩენილი ერთი ჭურჭელი გველის გამოსახულებით არის მოხატული, რომელიც დღისათვის მედიცინაში სამკურნალო საშუალებათა ემბლემად არის მიჩნეული. ამ გარემოებამ ერთ-ერთ ავტორს საშუალება მისცა ეს დიდი ზომის ჭურჭელიც სამკურნალო დანიშნულებისად მიეჩინა<sup>17</sup>. რაც მთლად უმართებულო თე არა, საეჭვო მაინც არის ამ ჭურჭელის დიდი ტევადობისა გამო. მეორე მხრივ, ბ. ერთობინი აღნიშნავდა, რომ ეს ჭურჭელი სამიწამოქმედო კულტონ კოფილა დაყავშირებული, ისევე, როგორც იმავე ყორდანში ნაპოვნი სხვა ჭურჭელი, რომელზედაც ვხედავთ ჭურჭელის ტანზე გარშემორტყმულ ნაკადს მდინარე წყლისას, კლანილი გვილის სახით.<sup>18</sup>

დიდი ზომის თიხის ჭურჭელები, რომლებიც ანალოგიურია თრიალეთის „შეაბრინჯაოს“ ხანის ყორდანის ჭურჭელებისა, აღმოჩენილი იქნა დამანისის რაიონში სოფ. ყარაბეღლალსა და ახას „შორის“, „ორთაშეუს ველზე“ გათხრილ ყორდანშიც,<sup>19</sup> რომლებიც აღბათ იმავე დანიშნულებით იყო გამოყენებული, როგორც ზემოთ აღნიშნული ყორდანების ჭურჭელები.

<sup>16</sup> ბ. გ ი ბ ე ჭ ი ვ ი ლ ი, გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 65.

უ. თ ა ვ ა ძ ე, მ. მ ე ს ხ ი ა ვ. ბ ა რ ქ ი ი ი, ლითონების დამუშავება ქველ საქართველოში, თბილისი, 1954, გვ. 6.

<sup>18</sup> ა. ფ ი რ ფ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, თრიალეთისა და სამოქარის არქეოლოგიური ინსტანციას აღმოჩენილი გველის გამოსხეულების ჭურჭელების დანიშნულების შესახებ, საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის მოამზე. ტ. №3, თბილისი, 1957, გვ. 377—383.

<sup>17</sup> ბ. კ უ ჭ რ ი ნ ი, ქართული კულტურის უძველესი ფრა თრიალეთში, გვ. 28.

<sup>19</sup> მ. ჭ ი ფ ა რ ი ძ ე, თრიალეთის არქეოლოგიური ექსპერიციის 1960—1961 წწ., წინასწარი ანგარიში, საქართველოში 1961 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიგის შედეგებისადმი მოძღვნილი სესიის მოხსენებით მოკავინდასი, თბილისი, 1962, გვ. 19—21.

განვითარების მომლევნი საფეხური გვიან პრინცაოს წარმატების დღის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის ნამოსახლარი, უფრო კუთხით უფრო საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის სრულყოფული მიზანი სწავლილი და ის მდიდარი მასალები, რომლებიც ამ ხანის მაღალ განვითარებას ასახავენ, სამართვებებიდან მომდინარეობს. აღმოჩენილი ჭურჭლების ნაირსახეობა, დახვეწილი ფორმები, გემოენებით შესრულებული ორნამენტი, დამზადების ტექნიკის უაღრესად მაღალი დონე, ამ ხნის კერამიკული წარმოების დაწინაურების მაჩვენებელია. სამწუხაროდ, სამართებში აღმოჩენილი მასალები ძირითადად სასუფრე, სასმის ჭურჭლებს წარმოადგენენ და სასმელის შესანახვად განკუთვნილი დიდი ზომის ჭურჭლები სრულებით არ ჩანან. ეს კანონზომიერი მოვლენაა. რადგან ქვევრების ჩატანება მიცვალებულთაოვის სამართები, როგორც თანმხლები ინვენტარისა, საქართველოს ტერიტორიაზე ერთ რაიონშია დამოწმებული და ხაკმაოდ გვიანი მოვლენა ჩანს, ხოლო ნამოსახლარი აღვილები, სადაც აღმიანი ცხოვრიბდა და მოწყობილი ქონდა თავისი მეურნეობა, რომელშიც სასმელის შესანახვად განკუთვნილი დიდი ზომის ჭურჭლებიც იყულის სხმება, გათხრილი და გამოვლენილი არ არის. ამ-დენად, დიდი ზომის ჭურჭლების დამზადებაში შუა ბრინჯაოს ხანიდან ვიღრე ანტიურ ხანაშედე, თითქოს ჩაღაც წყვეტილია, რაც ამ შეაღ-დი პერიოდის ნამოსახლარი აღვილების შეუსწავლელობის მიზეზით უნდა ათხსნებოდეს და არა იმით, რომ ამ დროს მოსახლეობა თითქოს აღარ ავთვებს დადი ზომის ჭურჭლებს. მეორე მხრივ, ზო-გიერთი ნართაული ცნობა მოიპოვებ იმის შესახებ, რომ გვიან პრინ-ცაოს ხანაში დიდი ზომის ჭურჭლების, „ქვევრების“, კეთებაც უნდა სცოდნოდათ.

ბაჟურციხის კულტურულ ფენებში დიდი რაოდენობით იყო მო-პოვებული თიხის ჭურჭლის ნატეხები. მრავლადაა ქვევრის ნატეხებიც, რომლებიც უთუოდ ლვინის დასაყენებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ჭურჭლები — კი სარწყავად და ყურძნის წევნის ასაღილებლად. იგივე ჭურჭლები გამოიყენებოდა ლვინის შესანახ-ვადაც<sup>19</sup>.

ყურადღების ღირსია ეშერში აღმოჩენილი ურნა, დიდი, ოვა-ლერი ფორმის, „პიღრიის“ ტიპის ჭურჭელი. ჭურჭელს შედა-რებით კიწრო ყელი, გამსხვილებული და გარეთ გადმოშლილი ჭო-

<sup>19</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ბაჟურციხის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 69 — 70.

ბა, ვაშობერიალი მუცული და ბრტყელი, ფართი ძირი აქვს. თანა შეკრულებისაა, მხრების არეში ჭურჭელი შემკულია ვრეხილი სარტყელით. ჭურჭელის ზომებია: სიმაღლე 76, 5 სმ; მუცულის დასტურული 67,2 სმ, უცლის დამეტრი 22 სმ, ძირის დამეტრი 24 სმ.<sup>20</sup> შესაძლებელი იყო დაკინის შესანახავადაც გამოყენებიათ.

გვიანბრინჯაო — აღრე ჩერიბის ხანას მიეკუთვნება თრიალეთში და სამთავროს სამართვაზე აღმოჩენილი მინიატურული ქვევრები. საქართველოს არქეოლოგიის სახელმძღვანელოში სამთავროში აღმოჩენილი ქვევრის მოდელების შესახებ აღნიშნულია, რომ ისინი შეკუთვნებიან საბავშო-სათამაშო ჭურჭელებს. ექ შედას ქოცუკები, მინიატურული ქვევრის მსგავსი ჭურჭელი — 3 ცალი, შევაღ გაპრიალებული და ძირის აღმოჩენილი და ძირის აღმოჩენილი.<sup>21</sup>

აღნიშნული ჭურჭელები ქვევრის მოდელებს, დიდი ზომის მსგავსი ჭურჭელების იმიტაციას წარმოადგენერ და სასმისებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ასეთი მიმსგავსებული სასმისების კეთება დღესაც დასტურდება თანამედროვე ეთნოგრაფიულ კოუში და გასაყირი არ უნდა იყოს, რომ ეს ტრადიცია უძველესი დროიდან მომდინარეობს ჩვენში. აღნიშნული მოვლენა დაწვრილებით სასმისებთან დაკავშირებით იქნება განხილული. ხოლო რაც შეეხება დიდი ზომის ჭურჭელების, „ქვევრების“ ასეთობას გვიან ბრინჯაოსა და აღრერკინის ხანაში, ჩვენ იგი ეჭვმიურანელად მიგვაჩნია, თუმცა ასეთი ჭურჭელები დღეისათვის აღმოჩენილი არ არის.

საინტერესო მასალები გამოვლინდა რესთოვში წარმოებული თხრის შედეგად. ექ II თხრილში, ლრმად მდებარე დუნა აღრე ჩერიბის ხანისაა. აღმოჩენდა ცალკეული ჭურჭელები, კერის ნაშთი, სახახულო ხელსაფევავის ქვები და თითქოს უნიკალური, არქაული ლეგა ქოცო, თუ მომცრო ქვევრი. ქვის სარქველიანი, მხრებს ირგვლივ სამი წიბოთი და ორი კლავნილი ამონაღარით შემკული. ეს „ქვევრი“ შეიძლება ჩაითვალოს უძველესად საქართველოში (აღმოსავლეთში მანი) და მით უმეტეს საინტერესოა მისი დანიშნულება (საღვანება?)<sup>22</sup>.

20 Б. А. Куптиш. Материалы к археологии Колхиды, т. I, 83–180, Гл. IX.

21 საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის განასაზღვრული შედეგები, 1959.

22 გ. ლ. მ. მ. ა. თ. ი. ძ. ე. რესთოვში არქოლოგიური ექსპედიციის განასაზღვრული შედეგები (შესაბამის კანცალი ნაც-სკორები), საქართველოში 1961 წელს ჩატარებული არქოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიღებილი სესის მოხსენებათა მოყლე შენარჩუ, თბილის, 1962, გვ. 52.

სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა „ლვინის სახლი“, სათავ-სო, რომელშიაც ლვინის დაყენება და შენახვა იყარაუდება, ძე. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მიერკავესის ტერიტორიაზე უკვე დადგენილი ფაქტია, ხოლო რაც შეეხება თვით საქართველოს ტერიტორიას, იგი აქ აბ. წ. II—III საუკუნეებიდან დასტურდება. მიუხედავად მისა, მარანის ვენეზისის საყითხი საგრძნობლად რთულია. თუ როდის ჭარბობშე იგი და იქცა ლვინის შესანახავ სა-თავსოდ, მის დადგენა ჯერ-ჯერობით შეუძლებელი ჩანს შესალების სიმცირის გამო.

წერილობითი წყაროებიდან მომდინარე ცნობების საცუდჭვლშე მიახლოებით შეიძლება იმის განსაზღვრა, თუ როდის შეცვალა „ლვინის სახლი“ ახალშა სახელწოდებამ „მარანშა“ და რა იგულისხმება თვით სახელწოდება „მარანს“ კვეშ.

ერთ-ერთ სვანურ ხელნაშერში, რომელიც თ. კორდანის ცნობით VIII—IX საუკუნეს ეკუთვნის მარანია დამოწმებული. „და-წინცა საყუარელო მარანია მას მაცხოვრისასა მი“<sup>4</sup>..., ხოლო XI საუკუნის ღოკუმენტში, ნიკორწმინდის სიგელში, მარანი აჩაერთვი-საა მოხსენებული: „შევქმენ საწირეა... მარანი მუისა :ა: და დავ-ფალ შიგან ჭური :ი: და დავლევი ზდა ბელელი ხერხული :ბ:, ზნა-კუა... დავფალ მარანია ზდა ჭური :გ:, ნიკოლაოს წმიდას (Sie) შევქმენ... მარანი ქვიტებირი :ა: და დავფალ შიგან ჭური ნავარძუ-ლი :იგ: (16)<sup>5</sup>.

თუ ზემოაღნიშნულ ცნობებს მცენდებთ მსედველობაში, მაშინ უნდა ეივარაუდოთ, რომ სახელწოდება „მარანი“ X საუკუნეშე აღრეა ჭარბოქმნილი, ოლინდ უფრო გვიანდელი მოვლენაა, ეიღორე დაბალების თარგმნის შესრულების დრო. აქედან გამომდინარე, სახელწოდება „მარანი“ ჭარბოქმნილი უნდა იყოს დაახლოებით IV—VIII საუკუნეებში, მაშინ, როდესაც ქვეერების თავმოყრა ერთ

<sup>4</sup> ციტირებულია ნ. თავურის ნაშრომის „ქართული მარანის“ მიხედვით.

<sup>5</sup> თ. კორდანი, ქრისტენი, ტ. II, გვ. 46, 48.

აღილზე, მელუინეობასთან დაქავშირებული ინვენტარისა და ჭურჭელების შენახვა ერთ გარკვეულ ნაგებობაში თუ სათავსოში მოხდეს სახელწოდება მარ-ანიდან გამოიყოფა „მარ“ ფუძე, ჰირვისჩული რაობაა გასარკვევი. საბას მარი განმარტებული აქვს ჰირვისა და მოხდეს ხოლო ხოსის მარია და 10 ქსესტს უდრის“.<sup>6</sup> ქსესტი „ორი ძველი ლიტრი და ნახევარი“<sup>7</sup> ყოფილა. გამოდის, რომ მარი არის ჰირველი, რომელიც 25 ძველ ლიტრს იტევს. ძველი ლიტრი კი, როგორც აყად. ი.ვ. ჯავახიშვილს აქვს გამოკვლეული, 64 მისალს, ანუ 327,45 გრ შეადგენდა. მაშისაღამე, მარი იტევდა 8 კგ. 186,25 გრამს. პატარია ჰირველია. ი.ვ. ჯავახიშვილის გამოკვლევით 30 ლიტრის სიღილე ცვალებადი იყო, მაგ. გორული ლიტრა 2,041,2 გრამს შეიცავდა, გახტანგ შეფის მიერ სხენებული ლიტრა — 2857,68 გრამს. საბას დროს გაერცელებული ლიტრა — 3373,083 გრამს და სხვა. ამის მიხედვით მარის სიღილეც შეიძლება შემდეგ ნაირად წარმოვიდგინოთ: 51,025 გრ., 71,425 გრ., 84,325 გრ და სხვა.

„თუ ვიფიქრებთ, რომ მარი ხის ჰირველი იყო, ვთქვათ გამოფურდები ხე, რადგან საწყაოს სხვა ჰირველები ხშირად ხისაა (თვითონ ლიტრი, კოდი და მისთ.), მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მარი, როგორც ფულურო ხე, გამოყენებული იყო კუბოდ. ამასაც რომ თავი გავანებოთ, ისედაც შეიძლება იფიქროს აღამიანია, რომ, თუ მარი მართლაც მოჭრილი ხის გამოფულურებული ჰირველის სახელი იყო, მას მარტო საწყაოებრივი მნიშვნელობა არ ექნებოდა ისევე, როგორც კოდს, კასრს, ლიტრს და სხვ. საწყაოებრივი მნიშვნელობაც აქვს და ზოგადად ჰირველის სახელიც არის, რომელშიც რამდენიმე კოდი ჩადის. საერთოდ ხის ჰირველი ჰირველად სახმარი სხვა სიღიღისაა და საწყაოდ სახმარი სხვა სიღიღისაა“.<sup>8</sup>

წამოყენებული მოსაზრება რომ სიმართლეს შეეფერება, რომ მარი მართლა ჰირველი იყო, ეს წერილობით წყაროებში დაცული ცნობებითაც დასტურდება. ქართული ოთხთავის ხელნაწერების, ქრუჭისა და პარხალის რედაქციაში აღნიშნულია: „და მოუწოდა კაცალ-კაცალსა, თანამდებსა უფლისა თვისა, და პრქუა პირველსა მას:

<sup>6</sup> ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა თ რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, გვ. 193; 468.

<sup>7</sup> ი ქ ვ ე, გვ. 375.

<sup>8</sup> ს ტ. მ ე ნ თ ვ შ ა მ ე ი ლ ი, მიცვალებულია დამზადებისა და სამარტების ტექნიკულოგიისთვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამზე, ტ. XII—B, თბილისი, 1944, გვ. 172 — 173.

რაოდენი თანა-გაც უფლისა ჩემისა? ხოლო მან თქვა, რა ციტაცია  
ლი ზეთისა? <sup>9</sup> იმავე ხელნაწერის აღიშტურ რედაქტირიში ხვიცე თღგრ-  
ლი შემდეგნაირად იყითხება: „და მოუწოდა თითოეული მარტინი ზეც უკი-  
თანა-ელვა უფლისა მისისა. პრევა პირველისა მას: რატერნ-ჩა არია-  
კაც უფლისა ჩემისა და მან რქეცა: ასი მარი ზეთი“.<sup>10</sup>

ამრიგად, ასი საწ ნახევ ლი ზეთის პარალელურად გვაქვს ასი  
მარი ზეთი. ორივე შემთხვევაში საუბარია სითხის საზომ ერთეუ-  
ლებშე,<sup>11</sup> ე. ი. ერთმანეთის შესატყვის ჭურჭელზე.<sup>12</sup> ამჯერად მა-  
რის, როგორც ჭურჭლის მოცულობა, ძალზე დიდია და მისი  
როგორც ჭურჭლის მნიშვნელობა შეიძლება გვუტოლოთ დასავ-  
ლეთ საქართველოში ხმარებული ხის საწნახლის მნიშვნელობას,  
რომელიც ყურძნის დასაწურად და ტაბილის იქვე შესანახ ჭურჭ-  
ლადაც იხმარება, რომ შიგვე მოხდეს ღვინის დადუღება. მაშინადა-  
მე, მარს თავდაპირველად ჭურჭლის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა  
და შემდეგ უნდა ქცეულიყო ის საწყაოდაც, ეს ეჭვს არ უნდა  
იწევედეს, ჩადგან ასეთი დასკვნა თვით საწყაოების წარმოშობა-  
განვითარებიდან გამომდინარეობს.<sup>13</sup> როგორც ნ. თოფურია აღნა-  
შნავს — აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, მარ უკავშირდება სა-  
მარხს, ადგილი ს ამა რ ის ადგილია, სადაც იმარხება მარები. მას  
ფარასტურებული აქვს, რომ მარ თიხის დიდ ჭურჭელს ეწოდება,  
რომელშიც ზოგჯერ კიდევაც იმარხებოდნენ. ამრიგად, მარანი  
ის ადგილია, სადაც მარ ე ბ ი, ქვევრებია დამართეული.<sup>14</sup> თუ იღნიშ-  
ნულ მოსაზრებას გვავებით, მნიშვნელოვან დასკვნამდე შეიძლება  
მივიღეთ. საინტერესოდ გამოიყურება დამარხებისა უა სამარხების  
ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული ზოგიერთი შეხედულება.  
აღნიშნული საკითხის გარევევას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა  
სტ. მენთეშაშვილმა. იგი ემყარება აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვ-

\* ქართული ოთხთავის ორი ძევლი ჩვდაქტირია სამი შატბერტული ხელნაწ-  
რის მიხედვით (897, 936 და 978 წწ.), გამოსცა ა. შანიძემ, ობილის, 1945,  
ლეკ. 16, 5—6 (DE).

<sup>12</sup> იქვე, ქართული ოთხთავი..., ლეკ., 16, 5—6 (DE).

<sup>13</sup> ა. იმ ნაიშვე ა ლ ა. ქართული ოთხთავის სიმურნია-ლექსიკონი, თბ-  
ლისი, 1948 — 1949 წ., გვ. 308.

<sup>14</sup> ა. იმ ნაიშვე ა ლ ა. შელეონეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქარ-  
თველიდან, გვ. 148.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 149.

<sup>16</sup> ნ. თოფურია ბერძენიშვილი, მარხები საქართველოს ეთნოგრა-  
ფიის თემის, VII. ობილის, 1955, გვ. 132.

լայգաս, հռմ թահեցա Տուրքանցւելո, ժոհուտածո ԹնօՄԵՆԿԵԼՐԸ  
Մշենակեցա,<sup>15</sup> հռմ թահեցա ու դրու առա Մշեմուսուլո զամու մոխոսա  
յու մոծարեցնու լուրենու զամուսահամագած, հռու աջամունու Շարժիքուպուլո  
նու Տայուրո ոստ զամու լաւրա-Մշենակեց յ. ո. մոխոսատցուս մոժաւուպուլո  
առա լուծալու գացուլու, առամցը մուսո զամեթուլուցնու մոխոսացն. յև  
յո եղածուրա Տայունցը լուրիքու զամուպունցնու, հռմելու յատ,  
տոնես ան ենու լունդա պուգուլուպո,<sup>16</sup> յ. ո. յև լունդա պուգուլուպո ուստո  
լուրիքու, հռմելու լունդանցւելո զացեցնու լունդո լուրուցն.<sup>17</sup>  
Կրտնոցհաց թ. Հայութուց լուրիքու պուգուլուպո յիշն, հռմ Խոլեմու լունդո  
լուրիքու լուրուցն. թ. Հայութուց, Թյալզոնցնու ենու ուրալ-լուրիքու-  
լու գաւացու Տայուրուցուրան, յց. 148. Մշենակեց 6).

Թահեցուսացն և ա գանիննուլուցնու մախարմուցնու երեցոյնիւս Տա-  
Մշեալուցնու նոխարմուցնու զամայքն մպուցագու մոմլունձն և ա-մահ ա-  
զ ո, հռու նունացն Մշեսանակեցա լուրիքու լուրուլո.<sup>18</sup> Մու անց յո-  
գուլուսեմբու, մամոն և ա-մահ-ց, մարու մուսատցուցնու աջգուլո  
զամունու, հռու յարցած լուրցն զուտարեցն, հա մենայելունձնու պ յիշն  
մաս նամքուլուգ.<sup>19</sup>

յև հռմ անց, ոյշեանաց հիմն, հռմ այրուրո անսեցացն Մոնահ-  
Սոբինցած լուրեցնու լուրու լուր և ս ա-մահ յ. յնոմհրոց անալո-  
նու Տայուրիքու, այրուրու անհրու, პորչուլո յ. ո. Տայլուց զամ-  
գուլունցու լուրու լուրու լուրու լուրու լուրու լուրու լուրու լուրու լուրու  
— սամարյ-լուրիքու մուսատցուցնու աջգուլուն. ոյշուրու սամարյն,  
ոյշուրու Տամարյն, հռուրու մպուցագու դրու մոմլունձնու Տուրցան,  
ուսցց հռուրու և ա-մահ-ց, և ա-պ լուր ա-մահ-ց, և ա-ց յ ն ա-ե-ց-ս, Շոլու  
և ա-մահ-ց լուր և լուր ալնունացն, հռմ զարհեցն մար մոհու, հռուրու մնօ-  
Մշենելունձն ան զայցամուն-ո.<sup>20</sup> Յա հ-մահ-ո յո, հռուրու նեմու ոստ  
զամուցուլու, մցուլու լուրիքու ալմնունելու լունդա պուգուլուպո  
դո, հռուրու զարասունձն, Տեցագանեցն նոմու ենու լուրիքու ալնու-  
նացդ.

Նեցու ալնունելուն լայցամունցնու Տանըրուրուսու յուլց յարտո  
Տայուրուս զահյացա և ա-մահ-ց մար ու մուսատցուցնու աջգու-

<sup>15</sup> յ. ո. ք ա յ ա ն մ թ ա լ ո լ ո, նախարարութու ույնումունքու ու մ թ ա լ ո լ ո 11, 33.  
494, 540, 541.

<sup>16</sup> Տ ր. ք ց ն թ ա լ ո լ ո լ ո, լասան. նամունու, յց. 170.

<sup>17</sup> թ. ք ց ն թ ա լ ո լ ո, լասան. նամունու, յց. 148.

<sup>18</sup> Տ ր. ք ց ն թ ա լ ո լ ո լ ո, լասան. նամունու, յց. 171.

<sup>19</sup> ո յ շ ա լ, յց. 172.

<sup>20</sup> ո յ շ ա լ, յց. 169 — 171.

ლია და ისეთ ადგილს აღნიშნავს, სადაც მხოლოდ ერთი მართ  
ცურქელი) მოთავსებული. ის ადგილს კი, სადაც სამარხებია, მა-  
მართი ან ეწოდება. ეს სიტყვა სამარხისაგან არის წარმოშეფერ-  
ბი — თვა ან სულიქსით, რომელიც ქრებალობის გამომხატველია და  
წარმოადგენს სამარხებით მოცულ ადგილს (ზოგ კუთხეში დღესაც  
სასაფლაოს სამარხოვანი ეწოდება, მაგ. საინგილოში).<sup>21</sup>

მოუხედავად იმისა, რომ ზევით განხილული მართ-ცურქელი,  
მარხება, სამარხ და სამარხოვანი მართ ძირისაგან არის ნაწარმოები და  
სხვაგასხვა დანიშნულებისა და შინაარსის ცნებებს წარმოადგენს,  
მათ მაინც ნაკლები საერთო აქვთ ჩვენ მიერ განხილული სამეცნ-  
ნეო დანიშნულების ნაგებობის (ზოგვერ სათავსოს) აღმნიშვნელ  
ტერმინის შინაარსთან — მარანთან, თუმცა ასეთი გამოძიების გა-  
რეშე მარანის რაობა შედარებით მაინც გაურკვეველი დარჩებოდა.  
ეს წამოწყებული ძიების მხოლოდ ერთი მხარეა. დარჩა მეორე მხა-  
რე და თუ ჩვენი მიღვომა მა ძიებისადმი მართებული იქნება, მაშინ,  
ჩვენი აზრით, მარანის რაობაც სწორედ იქნება გაეცემოდი.

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ქართული ხელნაწერების,  
ჯრუჭისა და პარხალის, რელაქციაში ერთ ადგილს აღნიშნულია  
„ასი საწნახელი ზეთი“, ხოლო იმავე ხელნაწერის აღმუშრ რელაქ-  
ციაში იმავე ადგილზე სწერია „ასი მარი ზეთი“. ორივე შემთხვევაში  
ლაპარაკია სითხის სახომ ერთეულზე. იმავე ოთხთავის ჯრუჭისა და  
პარხალის ხელნაწერებში საწნახელი თავისი პირულებირი მნიშვნე-  
ლობითაც პარის მოხსენებულია: „სხუამ იგავი ისმინეთ“: იყო ვინმე  
კაცი სახლისა უფალი, რომელმან დაასხა ვენაქი და ზღუდშ გარე  
მოსლევა მას და ქმნა მას შინა საწნახელი და აღაშენა გოდოლი და  
მისცა იგი მოქმედთა საქმედ და წარეიდა.<sup>22</sup> აღმუშრ ხელნაწერში  
იგივე ადგილი შემდეგნაირად არის გამართული: „სხუამ იგავი  
ისმინეთ: კაცი ვინმე იყო მომასახლისი, რომელმან დაასხა ვენაქი და  
შეზღუდა იგი და ამოთხარა მას შინა ტაგარი და ქმნა გოდოლი და  
მისცა იგი მოქმედთა და წარეიდა“.<sup>23</sup>

აღნიშნული ქართული ოთხთავის აღმუშრ რელაქციაში მოხსე-  
ნებულია მარი და, ჯრუჭისა და პარხალის რელაქციის „საწნახელ-

<sup>21</sup> ს. მენთე შაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 172.

<sup>22</sup> ქართული ოთხთავის ოჩი ძეველი რელაქცია, სამი შატბერდული ხელნა-  
წერის მიხედვით (897, 936 და 978 წწ.). გამოსცა ეკავი შენიშვნები. თბილისი, 1915,  
მათე, 21, 33 (DE).

<sup>23</sup> იქვე მათე, 21, 33 (c).

თან" ერთად, სითხის საწომ ერთეულად არის წარმოდგენილი, მაგრამ იმავე ჭრუტისა და პარხალის ვერსიაში საწნახელი თავისი დანიშნულების მიხედვითაცაა ნახსენები, მაშინ, როდესაც კადარი და ვერსიის იმავე აღვილზე „ტაგარი“ გვაქვს მარისა და საწნახულებრივადაც გვირად. საფიქრებელია, რომ თუ მარი და საწნახელი ერთი და იგივე ჭურუტის აღმნიშვნელი სახელი იყო, როგორც ამას მ. გეგეშიძე ფიქრობს,<sup>24</sup> მაშინ ცნება „ტაგარიც“ საწნახელის ცნებას უნდა გავუტოლოთ, რადგან ისინი პარალელურ ტექსტში ერთსა და იმავე აღვილზე არის მოხსენებული. მაგრამ ჩვენ ვიციო, რომ „ტაგარი“ — „თალარი“ მელვინეობასთან დაკავშირებული, კარგად ცნობილი და საკმაოდ გაერცელებული თიხის ჭურუტელი იყო უახლოეს წარსულშიც კი. საბას განმარტებით „ტაგარი“ — ტაბილის სატყობის ჭურუტელია. თუმცა მისი მასალის რაობა აღნიშნული არ აქვს. ეთოვერაფიულ მასალებზე დაყრდნობით, ეპის შეტანაც კი არ შეიძლება იმაში, რომ თაღარის, როგორც სატყბილე ჭურუტელს, თანხისავან ამზადებდნენ. ამდენად, ქართული ოთხთავის ხელნაწერებში, ერთმანეთის პარალელურად, ერთსა და იმავე აღვილზე გვაქვს „საწნახელი“ და „მარი“, ხოლო მეორე აღვილზე „საწნახელი“ და „ტაგარი“, თიხის ჭურუტელი.

როგორც მეორე შემთხვევაში, ისე პირველშიც ორ სხვადასხვა დანიშნულების ჭურუტელთან უნდა გვქონდეს საქმე, ჩვეულებრივ საწნახელთან და მარ-თან, რომელიც სითხის მოსაკავებელ, საწყობია. შესაძლებელია, შესანახავ ჭურუტელსაც წარმოადგენდა.

ბუნებრივად იმაღლება კითხვა, რა ტიპის მასალის ჭურუტელი უნდა ყოფილყო იყი, ხისა თუ თიხისა? მიუხედავად იმისა, რომ დაგვენილია, მარი იყო ჭურუტელი, საწყაო, კერ კიდევ ეპის იწვევს და დაზუსტებული არ არის მისი მასალის რაობა, ნაძღვილად ხისა თუ სხვა მასალისავან იყო ნაკვეთები. თუ დავუშვებთ, რომ მარი საერთოდ თიხის ჭურუტელს აღნიშნოდა (როგორც ეს ხის ჭურუტის მიმართაც დაშვებული), მაშინ ურთ ტრიად მნიშვნელოვან მოვლენისთან გვექნება საქმე. ხომ არ ეწოდებოდა ძეელად ქვევრს მარი? ხომ არ შემოინახა ამ ჭურუტის სახელი სამეურნეო დანიშნულების ტერმინ მარანში?

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული. რომ მარი ჭურუტელია, სამარე-მარის შესანახავი აღვილი, სამაროვანი კი სამარების აღვილი, მაგრამ ამ შემთხვევაში მარად ხის ჭურუტელი იყო მიჩნეული.

<sup>24</sup> 3. გ ე გ ე შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 147 — 150.

თუ ჩევენი მოსაზრების მიხედვით დაუკშევებთ, რომ მართვა-  
საგან გაეცემულ ჭურჭელს ერქვა, ამით არაფერი შეიცვლება/  
გარდა ჭურჭლის მასალის რაობისა. ამავე ღროს ფაქტურაზე ი  
სწორედ თიხის ჭურჭელი იყო გამოყენებული მიცვალების დასაცავ  
მარხვისას, კრემაციისა და ინსუმაციის დროს, პირველად ჩევენში, ვა-  
დრე ადამიანი ხის მასალისაგან გაეცემულ სამარხაზ ჭურჭელს—ეუ-  
ბოს გამოყენებდა. გვიჩისენ იორ კრემაციული სამარხები დასაცავეთ  
საქართველოში, სადაც თიხის ჭურჭელებში დაფლული ძელები და  
ინვენტარი უკვე გვიან ბრინჯაოს ხანაში გვხვდება, ხოლო რაც შეე-  
ხება ქვევრსამარხებს, ისინი თითქმის საქართველოს ყველა რაიონში  
გვხვდება, სადაც კენახის მომენტს და დიდი ზომის ჭურჭელების  
კეთებას მისდევდნენ. ამდენად პრიორიტეტი თიხის ჭურჭელს ეკუ-  
თვნის მიცვალებულის დამარხვისას, გვამის მიწიდან განმხოლოების  
მიზნით.

აქედან გამომდინარე, ენდა ვივარაულოთ, რომ სამარე და მისგან  
ნაწილმოები კრებითი სახელი სამაროვანი ისეთი ადგილის აღმნიშვ-  
ნელი იყო თავდაპირველად, სადაც მიცვალებულებს მარში ჩასვე-  
ნებულს მარხევდნენ. როდესაც მარი ხმარებიდან გამოვიდა, როგორც  
მიცვალებულის დასაკრძალვად განკუთვნილი ჭურჭელი სახელი  
სამარე და სამაროვანი მარნც შემორჩია ასეთი დანიშნულების  
ადგილის აღსანიშნავად და მან თავი ზოგიერთ კუთხეში დღემდე  
შემოინახა — (საინგილო). მარებით მიცვალებულის დამარხვის  
წესი, თუ მას თიხის ჭურჭელს დაფუკვირებთ (ქვევრსამარხები)  
ახ. წ. II — III საუკუნეებში უნდა შეწყვეტილიყო (რა სახელი  
ერქვა თიხის კუბოებს, რომლებიც ადრე ფეოდალურ ხანაში გვხვ-  
დება?).

აღნიშნული ხანის შემდეგ მარები, ე. ი. ქვევრები, ძირითადად  
გამოყენებული იქნა მხოლოდ მელვინეობაში. ამავე ხანებიდან სა-  
ქართველოში ჩნდება სალვინე ქვევრების ერთ ადგილზე თავმოყ-  
რა, კონცენტრაცია, რომელსაც ჩვენ დღეს მარანს უწიოდებთ და  
რომელიც, როგორც შევით იყო აღნიშნული, X საუკუნეშე გაცი-  
ლებით ადრეა წარმოქმნილი.

აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, მართი თიხის ჭურჭელია,  
ხოლო მართი აღნიშნული ჭურჭლის კრებითი სახელი და მრავ-  
ლობით რიცხვს გამოხატავს.

მაშესადამე, ერთად შეკრებილი დიდი ზომის თიხის ჭურჭელების  
ადგილის აღმნიშვნელ ტერმინად მარანი წარმოქმნა, განსხვავებით

ხამაროვანისა. რამდენადაც თიხის დიდ ჭურჭელში ეხლა მიცვალებულს აღარ მარხავენ და მას წმინდა სამეურნეო დანიშნულებულები საღვინე ჭურჭელებად, იყენებენ, საფიქრებელია, ამ გზაზე მარტინი გამოიწვია ტერმინ სამაროვანის შეცვლა სახელწოდება მარნით, ხოლო თიხის ჭურჭლის სახელწოდება მარი, მის სამარხავ სამუშავებად გამოყენების შეწყვიტასთან ერთად, დავიწყების მიეკა, თავისი სახელი სამეურნეო დანიშნულების აღდილს თუ ნავებობას უანდერძა და ჩვენ დრომდე თავი აღნიშნული ნავებობის სახელში შემოინახა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ისეთ სათავსოს ან ნავებობას, სადაც ქვევრები იყო თავმოყრილი და ლვინოს ინახავდნენ, პირველად „ღვინის სახლი“ ეწოდებოდა, ხოლო მოგვიანო ხანაში, ამავე დანიშნულების სამეურნეო ნავებობას მარანი დაურქვა. მარანში ამავე დროიდან თავმოყრილი უნდა ყოფილიყო მელვინეობასთან დაკავშირებული ყველა ჭურჭელი და ინკუნტარი. ასეთი ტიპის სამეურნეო დანიშნულების ნავებობის სახელი მარანი როგორც უკვე იყო აღნიშნული, X საუკუნეშე აღრე გაჩინდა და დაბადების ქართული თარგმანის შესრულების ხანაშე გვიან წარმოიშვა. უნდა ვივარიულოთ, რომ ეს სახელწოდება IV — VIII საუკუნეების წარმონაქმნია, ეს ხინა კი თავისითავად წარმოადგენს მევენახეობა-მელვინეობის დარგისა და სამარხო კულტურის აუცილების პერიოდს აღრევეოდალური ხანის საქართველოში.

ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ რომ უძველესი მარნები ამიერკავკასიაში ურარტუს ტერიტორიაშე აღმოჩენილი, თეოშებაინის (კარ-მირ-ბლური) კათხრების დროს. აქ რამდენიმე მარანია გამოკლენილი, თითოეულ მათგანში 80 და ზოგჯერ მეტი ქვევრი ყოფილა მოთავსებული.<sup>25</sup> მარნები ნავებობის პირველ სართულზე ყოფილა განლაგებული და ამჟღად ისინი დაუტურულ ტიპს მიეკუთვნება.

ელინისტურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაშე მევენახეობისა და მელვინეობის განვითარებაზე მქერმეტყველერად მიუთითებს ქვევრები, რომლებიც ასე მრავლად არის აღმოჩენილი. 6. ხოშტარის მიერ ვანში აღმოჩენილია მარნის ნაშთი. აქ ერთი ქვევრი თავის დროზე ლვინით საესე დარჩენია.<sup>26</sup> მარნის ნაშთი ა. ვ.

<sup>25</sup> Б. Б. Пиотровский, Ванское Царство, Москва, 1959 г., гл. 143—147, таб. XXVIII, XXIX; Б. Б. Пиотровский, Кармир-Блур, II, результаты раскопок 1949—1950 гг. Ереван, 1952, гл. 16—27.

<sup>26</sup> საქართველოს არქეოლოგიური განკუთხები, გл. 247.

IV—III სს თარიღზება.<sup>27</sup> ეს ყველაზე უძველესი მარაბია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი.

მარნების არსებობა უფრო გარკვევით ა. წ. II — უძველესი მარნებიან არის დაღვენილი არქეოლოგიური გათხრების მონაცემების მიხედვით. მცხოვაში, არმაზისსხევთან წარმოებული გათხრების დროს, აღმოჩენილი იქნა მარანი. აქ ოღრიცხული 55 ქვევრი არმაზისსხევის მარჯვენა ნაპირზე დაახლოებით  $45 \times 90$  კვად. მეტრ ფართობზეა განლაგებული. ქვევრების უმრავლესობა სალენიდ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი და, როგორც ვარაუდობენ, ერისთავთა სასახლის მეურნეობის ერთ-ერთი შემაღენელი ნაშილის. მარნის ნაშთად უნდა ჩაითვალის.<sup>28</sup>

გამოვლენილი ქვევრები სხვადასხვა ზომისა და 2 ტიპისაა: ა) გარედან გლუვი, უფრო მოგრძო წერტეტა და ბ) გარედან ჩშირი, ირგვლივ სარტყელებით შემკული. ძირი ბრტყელი ჰქონდათ. ტაპოლოვიურად ისინი, განსაკუთრებით გლუვ ზედაპირიანი ქვევრები, სამთავროში სამარხად გამოყენებულ ქვევრებს ემსგავსებიან, რომელიც წინარე პერიოდს ეკუთვნიან. ისინი განლაგების მიხედვით ძირა ფენას — ერისთავთა ნაგებობებს უკავშირდება. ერთ-ერთი ქვევრის თავზე ავგუსტეს დენარის შემცველი კრამიტსამარხი აღმოჩნდა, რამაც ეს ვარაუდი დაადასტურია. ამან მოვცა საცუჭველი, ერისთავთა სასახლის კომპლექსი „შეგვეცსო“ მარნით, რომელიც ან საერთოდ სულ „ცისქვეშა“ თუ „ცეცხლქვეშა“ იქნებოდა. ან არა და მსუბუქი ხის სახურავს ქვეშ მოქცეული. ქვევრები ნახენია და სწორედ სალენიდ ყოფილა გამოყენებული.<sup>29</sup> ყველა ქვევრი შეიცავდა მიწაში ჩარგული. თითო-ოროლას შერჩენია ქვის სარქველი — ქვიშაქვების ფილა, მრგვალად ან ოთხუთხედად, საქმაოდ უსწორმასწოროდ გამოჭრილი. უდიდესი ქვევრის (1945 წ. სავ. წიგნი. № 968) სიმაღლე 2,00 მეტრს უდირს. მუცლის

<sup>27</sup> გ. ც ე ი ტ ი შ ე ი ლ ი. შეენახულის ისტორიისთვის საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, გვ. 138.

<sup>28</sup> ა. ც ე ი ტ ი შ ე ი ლ ი. გ. გ ო ბ ე ჭ ი შ ვ ი ლ ი. ა. კ ა ლ ი ნ დ ა დ ე. გ. ლ ი მ-თ ა თ ი ძ ე, მცხოვა, არქეოლოგიური კვლევადების შედეგები, ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 167—168; ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ჩ ქ ე რ ლ თ ვ ა ზ, გვ. 302, 303; გ. ლ ი მ თ ა თ ი ძ ე, საქართველოს მისახლეობის სოციალური და კულტურული ძალასისთვისთვის, ივ. გავიხიშეილს სახულების ისტორიის ინსტიტუტის შემსტებები, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 375.

<sup>29</sup> ი ქ ვ ვ, 357. გ ც ე თ ა, I. გვ. 168; ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ჩ ქ ე რ ლ ი კ ა მ ი კ ა ზ, გვ. 316.

დიამეტრი — 0,85 მეტრს, პირის დიამეტრი — 0,4 მეტრს, ფსვერის  
დიამეტრი — 0,2 მეტრს, კელლის სისქე — 1,5 — 2,0 სმ.<sup>30</sup> როგორც  
აღწერილობიდან ჩანს, ეს ქვევრები ძირითადად საშუალო ფსვერების  
ზომისა ყოფილია.

გამოთვლილია არმაზისხევის მარნის ქვევრების საშუალო მოცუ-  
ლობა, თუ თითო ქვევრის საშუალო ტევადობას 34 — 40 დეკა-  
ლიტრს ვივარაუდებთ, მაშინ მთელი მარნის საშუალო მოცულობა  
1750 — 2000 დეკალიტრი იქნება. ასეთი მარნის მეპატრონეს აუცი-  
ლებლად ვენახის უდიდესი პლანტაციები უნდა პქონოდა.<sup>31</sup> თუ ზე-  
მოთ აღწერილი ქვევრის ზომებს და საერთოდ აღმოჩენილი ქვევ-  
რების სიღიდეს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ლორთქიდანის  
მიერ გამოთვლილი არმაზისხევის მარნის მოცულობა მინიმუმშედაც  
კი ნაკლებია. აღნიშნულ მარნში აღმოჩენილი თითოეული ქვევრის  
საშუალო მოცულობა 80 — 100 დეკალიტრი მაინც უნდა ყოფი-  
ლიყო, ხოლო მარნის საშუალო მოცულობა კი 4400 — 5500 დეკა-  
ლიტრი იქნებოდა. ასეთი მარნის მეპატრონე სამეცო კარზე საკ-  
მაოდ დაწინაურებული პირი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ვენახის  
უდიდეს პლანტაციასთან ერთად, შესანიშნავად მოწყობილი სამარ-  
ნო მეურნეობაც პქონია. შესაძლებელია ვარიუტი, რომ აღნიშნულ  
მარნის მეპატრონე ლეინის ნაწილს ბეგარის სახითაც იღებდა.<sup>32</sup>

მცხოვარი, ბაგინეთშე, ძელი არმაზუინის — ქართლის სამე-  
ფოს ძელი დედაქალაქის შიდაციხის — გათხრისას მრავალი ქვევრი  
აღმოჩენდა ერთ უბანზე თავმოყრილი, რის გამოც ამ უბანს გამ-  
თხრელები შიდაციხის „მარნების უბანს“ უწოდებენ.<sup>33</sup>

ეს აღმოჩენილი ერთ-ერთი ქვევრის ფსვერშე შემონაშული ნა-  
ლექის ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ქვევრში თავის დროზე  
საფერავის ტიპის ჭიშის ლვინო მდგარა.<sup>34</sup>

<sup>30</sup> მცხოვარი I, გვ. 167.

<sup>31</sup> О. Лордкипаниձե, Ремесленное производство и торговля в  
Мцхета в I—III вв. н. э. თუ შემოგბი, ტ. 65, თბილის, 1957, 156—157.

<sup>32</sup> ი ქ ვ. 153—154.

დ. ხახუტია შემოგბი, ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლი,  
ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის, გვ. 116.

<sup>33</sup> ა. ა ფ. ა ჭ. ი ძ. ე, საქართველოს უმცესეს კულტურა ახალ არქოლოგიურ  
აღმოჩენათა შექმნა, თბილის, 1956, გვ. 27. საქართველოს არქოლოგია; გვ. 261.

<sup>34</sup> ა. ა ფ. ა ჭ. ი ძ. ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27; პცხეთ I, გვ. 167; პ. ვ ე-  
რი ვ ა ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

მომდევნო ხანის მარნები, რომლებიც ა. წ. IV — VI-ს მარნებიდან, კელავ მცხეთაში იქნა აღმოჩენილი აჩქეოლოგიური მუზეუმის დროს. დღევანდველი დაბის ტერიტორიაზე, დაპრინციპულურად სადაც არაგვისა და ლენინის ჭურები უერთდებიან ერთმშემციცლებულ ლოებით 200 კვ. მეტრის ფართობზე გამოვლენილ იქნა 35 ქვეცრი. აյ ძირითადად საშუალო და დიდი ზომის ქვევრები იქნა დადგენილი, რომლებიც ყრთი ტიპის ჭურების წარმოადგენენ. ქვეცრის ქობა ოდნავ გამჭელებული და ვაბრტყელებული, უაპალი ყელი, წესიერად გამოხერილი მუცელი, ქვერცხის მაგვარი მოყვანილობის ტანი და ბრტყელი ძირი ჰქონდა. თიხა სილანარევი და ჩალისფერადაა გამოშევარი. გარედან გვერდებზე სადა, ზოგ შემთხვევაში, დატალული სარტყლები შემოსდევდათ. ყველა მათგანი საღვინედ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ეტყობოდათ ჩეცხვის კვალი. არც ერთ ქვევრში რამდე კვილი ლვინის ნარჩენისა ან წილებისა აღმოჩენილი არ ყოფილა. ქვევრები, როგორც არმაზისხევში, ისე აქაც დაკირევის გარეშე იყო. ამ ადგილზე, რომლის მხოლოდ ნაწილია გათხრილი და შესწავლილი, ლია ტიპის დიდი მარნია საგულვებელი, რომელიც IV — VI საუკუნეებით თარიღდება.<sup>25</sup>

გამოვლენილი 35 ქვეცრი მარნის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ის საქმარე ნათელ ცნობის იძლევა მისი მფლობელის მეურნეობის შესახებ. თუ ქვევრების საშუალო ტევადობას 80 დეკალიტრს ვივარაუდებთ, მაშინ მარნის გათხრილ ნაწილში 2800 დეკალიტრის ლვინის მოთავსება იქნებოდა შესაძლებელი. ასეთი მარნის მფლობელი სამეცნ სახლის წევრი თუ არა, სასახლის კარზე დაწინაურებული დიდგვარიანი მაინც უნდა ყოფილიყო, რომელიც ვენახის დიდ პლატაციებს ფლობდა და შესანიშნავად მოწყიდილი სამარნო მეურნეობაც გააჩნდა.

მცხეთაშივე, სვეტიცხოვლის ეკლესიის გალავნის ჩრდილოეთ კდლის გარეთ, 1960 წ. წარმოებული გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა მარნის ნაწილი, რომელშიაც ხეთი დიდი ზომის ქვევრიდა ორი ქოცო გაიწმინდა. ქვევრების უდიდესი სიმაღლე 2.00 მეტრს, ხოლო დიამეტრი 1, 10 მ უდრის. ისინი წესიერი მოყვანილობის არიან; პირი ფართო, ქობა ოდნავ ვაბრტყელებული, კელავ მალალი, მუცელი განიერი და ძირი ბრტყელი აქვთ. გვერდზე შე-

<sup>25</sup> ა. ლ. კალანდაძე, მცხეთის აჩქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წ. მუზეობის ძირითადი შეღებები, ხელნაწერი, 1959 წ.; ა. ლ. კალანდაძე, საუკუნეთა წილში, ქაშვით „კომუნისტი“ 24. 5. 1959.

მოუყვებათ სარტყლები, კეცი მორუხოდაა გამომწვარი. ქვევრის კარგად ეტყობათ ჩეცხვის კვალი, მათი სალვინეთ გამოყენება უკავშირდებათ მიუტანელია. ქვევრის საპურავად გამოყენებული იყო ქერძოული ფილები. ერთ-ერთ (№1) ქვევრში აღმოჩენილი იქნა თიხისტეს ფურცელის ფორმით, თიხის ფაქტურით, დამზადებისა და გამოწვის ტექნიკის მიხედვით IV — VI სს თარიღდება.<sup>26</sup> აღნიშნულ ქვევრებში 500 დეკალიტრ ღვინოში მცტი მოთავსდებოდა.

მცტეთის ტერიტორიაზე, ჩამოთვლილ მარნებს გარდა, კიდევ სამი მარნის არსებობაა დადასტურებული. ერთი მარნის ნაშთი აღმოჩენილი იქნა 1947 — 1948 წწ. წყალამეურნეობის აღმინისტრაციული სახლის მშენებლობის დროს. ნაშთი 10 ქვევრს შეიცავდა. ყველა ვერტიკალურად იყო ჩადგმული და ალ. კალაქლაძეს წყლის მოსავავებელ ჭურჭელებად აქვს მიჩნეული. რაღაც იყო მასლობლიდ თიხის ჭურჭელების დამზადებისა და მათ გამოწვის გარაულობს.<sup>27</sup> მცტეთაში აღმოჩენილი სხვა მარნების გათვალისწინების მიხედვით აღნიშნული ქვევრები საღვინე ჭურჭელებად და მარნის ნაწილად უნდა იქნას მიჩნეული, რომელიც IV — VI საუკუნეებით თარიღდება.

მეორე მარნის ნაწილი აღმოჩენილი იქნა ექ. ვარსიმაშვილის ერთში, მიწის სამუშაოების დროს, აქ ამოთხრილი იქნა ექვსი მოელი ქვევრი, რომელთაც კეცი წითელი ფერისა აქვთ და კარგად არის გამომწვარი. ქვევრს, რომელიც მცტეთის მხარეთმოღნეობის მუზეუმშია გამოფენილი, პირი გასქელებული და ოდნავ გაბრტყელებული, მაღალი ყელი, კვერცხის მაგვარი ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. გარედან შემოუყვება ოდნავ შესამჩნევი სარტყლები. იკი თვეისი ფორმით, დამზადების ტექნიკით, გამოწვით, სიდიდითა და კიცის ფერით ძალიან უახლოვდება ქვევრსამარნების ქვევრებს უა

<sup>26</sup> ა. ლ. ბოხორიშვილი, ა. ლ. კალაძე და კ. კ. ფაცელი და უ. რ. მცტეთის არქეოლოგიური ექსპლორის 1961 წლის მეშვიობის შედეგებისთვის, საქართველოს 1961 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კლევა-ძების შედეგებისამდე შეძლვინილი სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბილისი, 1962. გვ. 34.

<sup>27</sup> ა. ლ. ბოხორიშვილი, მცტეთის არქეოლოგიური ექსპლორის სვეტაცხოვის უბნის 1960 — 1961 წწ. წარმოებული გათხრების ანგარიში, ხელმისაწვდომი, თბილისი, 1962 წ. გვ. 7 — 8.

<sup>28</sup> ა. ლ. კალაძე და კ. კ. ფაცელი აღმოჩენილი სამაროვანი, მცტეთაში, მიმოშოღელი, ტ. 1, თბილისი, 1949, გვ. 261, სურ. 1:

შესაძლებელია დაბა მცხეთის ტერიტორიაზე ოღონჩენილ მარებელს წინ უსწრებდეს. ზუსტად მისი თარიღის დადგენა შეუძლებელია.

### ცარიცალი

მარნის ნაწილი ოღონჩენილი იქნა მცხეთის ოუკულოვანებულობაზე ექსპედიციის მიერ 1957 წელს სამთავროს მინდობრზე, რესტორნის სამხრეთით, საცდელ თხრილში, სადაც გამოვლენილი იყო დიდი ზომის ქვევრები. აქ ოღონჩენილ ქვევრის ფართი პირას საქმაოდ გასქელებული და გაბრტყელებული ქობა, დაბალი ყელი, ძალზე გამობერილი ზუკელი და ბრტყელი ძირი აქვს. თიხა სილამაზეებია, ჩალისფრად არის გამომწვევი. გარედან შემოუყვება სადა სარტყები. ასეთი ზომისა და მოყვანილობის ქვევრები შედარებით გვიან გავრცელდა. საერთოდ აქ ოღონჩენილი ქვევრების შემცელი ფენის მასალები აღრეფელიალურ ხანას მიეკუთვნება.<sup>38</sup> ოღონჩენილი მარნებისა და ქვევრების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება კვებაუდოთ, რომ ასეთი მოყვანილობის ქვევრები VI საუკუნის შემსეგ უკეთებიათ, უფრო კი მოგვიანო ხანაში. აქ ქვევრები დაუკირავი აღმოჩნდა. ფორმა-მოყვანილობის მიხედვით ეს ქვევრები შეიძლება ა. წ. VI — IX სს დავითარილოთ.<sup>39</sup>

მცხეთის ტერიტორიაზე ოღონჩენილ მარნებსა და მათში თავმოყრილი ქვევრების რაოდენობას თუ გაეთვალისწინებთ (ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ მარნების მხოლოდ ნაწილია გათხრილი და შესწავლილი), ადგილი წარმოსალებენი გახდება ის გარემოება, რომ მცხეთა დედაქალაქობის უკანასკნელ საუკუნეებში მევენაჲება-მელენების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. აქ მცხეთის მიდამოებში ღიღ ფართობებშე უნდა ყოფილიყო ვაზი გაშენებული და სათანადო მოვლილი. IV—VI საუკუნეების მცხეთის ტერიტორია თითქოს ერთ უზარმაზარ მარანს წარმოადგენს,<sup>40</sup> რის საფუძველზედაც, საფიქრებელია, რომ ახლად ფეხმოკიდებული ფეოდალური სახელმწიფოს ეკონომიკი სიძლი-

<sup>38</sup> ა. ლ. კალანგვაძე, მცხეთის არქოლოგიური ექსპედიციის 1957 წ. შემსრბის ძირითადი შედეგები, ხელნაწერი, თბილისი, 1958 წელი.

<sup>39</sup> სავარაუდო აღნიულოდალური ხანისა უნდა იყოს თერელობის ქვერის შემცველი მარნის ნაშენები, რომელიც ნ. ლაშვილის ესომი და კრლტალაშვილის უკან ნაკვეთზე წარმოებული მაწის სამწმავების დროს აღმოჩნდა. ეს უკანასკნელი შესაძლო 1947—1948 წწ. ოღონჩენილი მარნის გაგრძელებასაც წარმოადგენდა.

<sup>40</sup> ა. ლ. ბორის გ. ი. ლ. კალანგვაძე, კ. ფილიპელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

ერთს ერთ-ერთთ ძარითადი წყარო სწორედ განვითარებული მუშან  
ხეობა-მეღვინეობა იყო, რომ ფეოდალური საზოგადოებისა და სა-  
ხელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში სოფლის მეურნეობის მიზანი  
დარგმა აშეარად გადამწყვეტი როლიც შეასრულა. ბერძნების გა-  
თხრების დროს 1955 წელს.<sup>41</sup>

აჩქეოლოგ გ. ჭილაშვილის გადმოცემით, ლოჭინის ნასოფლა-  
რის გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა ბიჭვინტის ნაქალაქირის გა-  
თხრების დროს 1955 წელს.<sup>42</sup>

1949 წელს, ვაშნარში წარმოებული გათხრების დროს, გ გომე-  
ჯიშვილის ცნობით, მიკვლეული ყოფილა მიწაში ჩაფლული ქვევ-  
რები ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად, ქვითების ნაგებობათა, გარეთ  
მისივე ცნობით ვაშნარის კომსლექსი აღრეფერდალური ხანისაა  
და V — VII ს მიეკუთვნება.<sup>43</sup>

რუსთავის ნაქალაქირის გათხრების დროს, მრ. მტკვარის მარ-  
ჯვანი ნაირზე აღმოჩენილი იქნა მარანი. აქ აღრეული ხანის სისა-  
ფლაობები, მისი მიტოვების შემდეგ, მარან-ბეღლები გარმართავთ,  
ცხოვრების მცვარი მონაცელება არქეოლოგური პრაქტიკაში, ხში-  
რად გვხვდება; გავიხსენოთ თუნდაც აღმაზისშევი, მცხოვრის ტერი-  
ტორიიზე, არავერთ და ლენინის ქუჩების შესაუზრიან აღმოჩენილი  
მარანი, რომელიც ისევე აღრეული ხანის სამართლებრივად ვამართუ-  
ლი. რუსთავში აღნიშნულ ადგილზე, მარანში 13 ქვევრი და ქოცე,  
2 მოზრდილი დერგი და 5 სამეურნეო დანიშნულების ძველი ორმო  
ვამოვლინდა. აღნიშნული მარანი აღრეფერდალური ხანისაა და  
VII — IX ს თარიღდება.<sup>44</sup>

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ურბნისის არქეოლო-  
გიური ექსპედიციის მიერ, აღრეფერდალური ხანის მარნებისა გათ-  
ხრილი ურბნისის ტერიტორიაზე, საჭაც მიკვდეულია 12 მარანი,

<sup>41</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, დახმა, ნაშრომი, გვ. 27.

<sup>42</sup> ცნობის მოწოდებისათვის მაღლობას მოვალეობა ლ. ჭილაშვილს.

<sup>43</sup> ნ. თ თ ფ უ რ ი ა, ქართული მარანი, გვ. 146.

<sup>44</sup> გ. ლ მ თ ა თ ი ძ ე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგური გათხრის  
უმიშნელოვანების, შედეგები, მისაღები საქართველოს და კავკასიის არქეოლო-  
გიისათვის, ტ. I. თბილის, 1955 წ. გვ. 175. ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი წ. ტ. რუსთავი,  
თბილის, 1958, გვ. 55.

<sup>45</sup> ს ა ქ ა რ თ ვ ვ ლ ი ს ა რ ქ ე თ ლ ი გ ი ა, გვ. 317.

რომელიც 100-ზე მეტ ქვევრს შეიცავს, მათ შორის მარნება ათეულზე მეტი დიდი და პატარა ქვევრით.<sup>46</sup> როგორც მესახურობის წევრის ლ. ჭილაშვილის ანგარიშიდან ირკვევა, XVI — უსტარტული 2 და XVI — 3 უბნების ზედა ფენის მარნები წარმატებულიყო უკანა მიწის ზედაპირიდან 0,60 — 0,70 მ იყო დაცალებული, უფრო სწორედ ამ დონეზე მდებარეობს მარნების იატაკი, რომელიც აშკარადაა გამოყოფილი ქვედა ფენებიდან. ხსნებული იატაკის დონე საერთოა ნაქალაქარის კულა უბნისათვის. XVI — 3 კან ფენა მარნის იატაკს წარმოადგენს. XVI — 1 და XVI — 2 უბნების მიხედვით ჩანს, რომ მარნის ზევით კვლავ ნაგებობა კოფილია.<sup>47</sup>

XVI — 1 უბანზე, რომელიც 1954 წლიდან ითხრებოდა, 16 ქვევრი გამოკლინდა. მათი გავრცელების არე ნაგებობათა კედლების ნაშთებით იყო ჯანსაზღვრული. დიდი ზომის ქვევრების გვერდით ორი პატარა ქვევრიც იყო. სარქველად ხელსაფუვევის ქვებია ვამოყენებული. XVI — 3 უბანზე კი 1957 წ. 13 ქვევრის შემცველი მარანი იყო გათხრილი. ნაქალაქარის ტერიტორიაზე, თითქმის ყველგან, დიდი რაოდენობით ჩნდება ქვევრები. იქმნება შაბაბეჭლალება, რომ ადრეცენდალურ ხანაში უბნისი თითქოს ცეცხლით მარანი წარმოადგენდა, რომელიც ქალაქის ძირითად ეკონომიკურ არტერიას აქსებდა.<sup>48</sup>

მრავალრიცხოვანი ქვევრები იქნა მიკელეული ქალაქის ჩრდილოეთ ზღვუდესთანაც (უბანი X X), იქ 1955 წ. გათხრილი ნაგებობის სათავსოებში, რომელიც აბანოდაა მიჩნეული, ქვევრები იყო ჩ. ლ. გმული. ჟელი ნაგებობა შემდეგში მარნად გამოყენებით. ქვევრების ჩადგმის დროისათვის აბანოს დიდი ხნით აღრე დაუკარგავს შიშვნელობა.<sup>49</sup>

1957 წ. აბანოს დასაცლეთით სამეურნეო დანიშნულების სათავსო იქნა გათხრილი, იგი ქალაქის ზღვუდეს ებჯინება. გამოვლინებული იქნა 16 სხვადასხვა ზომის ქვევრი. მარანი გაშენებული კოფილა ადრინდელი ხანის ბელელზე, რომელიც ზღვუდეს ეკვროდა

<sup>46</sup> 3. ზაქარია, ნაქალაქარი უბნისი, უფრნხლი „საბჭოთა ხელოვნება“, თბილისი, 1960, გვ. 88.

<sup>47</sup> ლ. ჭილაშვილი, უბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების შოტლე ანგარიში, ხელნაწერი, თბილისი, 1959, გვ. 43.

<sup>48</sup> ი. ჭ. გვ. გვ. 44.

<sup>49</sup> საქართველოს არქეოლოგია, გვ. 255. ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშროვი, გვ. 44.

და მისი განადგურების შემდეგ დამწევარი საქმიოდ სქელი ფაზა  
შემორჩია.<sup>50</sup>

ქვევრების განლაგებაში კანონშომიერება აჩ შეიმჩნევთ გამორიცხუა  
ნაცლისი XVI — 3 უბანი, სადაც რამდენადმე დაცულია ქვევრების  
უაღვე რიგებად განლაგება. ფორმების მიხედვით ქვევრები ერთ  
სახეს ატარებენ: ეიჭრო გვირჩვინი. მაღალი ცელი, განიერი  
მხრები, მკვეთრად დაქანებული ბოლო და ოდნავ ბრტყელი ძირი.  
გვერდზე ჩელიეფური სარტყლები შემოუყვებათ. ქვევრების სა-  
ხურავად გამოყენებულია ხელსაფქვავის ქვები და ქვიშაქვის  
ბრტყელი, თხრილადი ფილები, ცველა მათგანი ცენტრშია გახვრე-  
ტილი.<sup>51</sup>

ასეთი ქვევრის სახურავების აღმოჩენა განათხაო მარნებში პირ-  
ცელად არის დადასტურებული და იგი ტყბილის თავდახურულ  
ქვევრებში დადულებას გვადარადებინებს, რადგან დუღილის პრო-  
ცესისათვის აუცილებელია საჩვევლის ნახვრეტი ქონდეს, რისი მე-  
შვეობითაც ხდება წევის პროცესში წარმოქმნილი აირების გამოყოფა.

ურბნისშივეა დადგენილი ერთი რიგი ქვევრებისა, რომელთა  
ზემო ნაწილი იატაკის ზემოთ მოდიოდა. ამ რიგის ქვევრებში მარ-  
ცელეული ყოფილა შენახული, ზოგიერთ მათგანში მარცელეული  
ნაჩენები გამოელინდა.<sup>52</sup>

როგორც აღნიშნული იყო, ქვევრების რაოდენობა ურბნისის ტე-  
რიტორიაზე 100 აღემატებოდა. აქ უმთავრესად ღიღრონი ქვევრებია  
წარმოდგენილი რომელთა გვერდით გვხედება პატარებიც და მათი  
სიჩილე 0, 60 მ აჩ აღემატება. ცველა ქვევრი დაუკირავია, ისინი  
ერთ ფენას მიეკუთვნებიან და სხვა მასალების მიხედვით V —  
VIII სს. თარიღდებიან.

ნელია აღმოჩენილი ქვევრების მოცულობის გამოანგარიშება.  
თუ მხელველობაში მათ სიმრავლეს მივიღებთ და აგრეთვე იმ გა-  
რემონტას, რომ ნაქალაქარის მხოლოდ ნაწილია გათარილი და შეს-  
წავლილი, მაშინ შეიძლება წარმოვალგანოთ მეცენატეობა-მელვინე-  
ობის განვითარების ფონზე იღნიშნული ნაწისათვის. აქ უკვე საქმე  
გვაქვს ისეთ აღვილობან, სადაც ლვინო თეული ათასი დეკალიტ-  
რობით მოპყავდათ. ასეთი მოსავლის მისაღებად კი საჭირო იქნებო-  
და კენახის უზარმაშარი პლანტაციები, მათი მოვლა და სათანადო

<sup>50</sup> ლ. ჭიათურა, დამწევარი საქმიო, გვ. 44 — 45.

<sup>51</sup> ივ ვაკ, გვ. 46 — 47.

<sup>52</sup> ივ ვაკ, გვ. 47.

დამუშავება, მცხოვრისა და ურბნისის მაგალითზე სავარაულო ჩატარდა. რომ მეცნიერებები ძირითადად კონკრეტური პროცესები და მსხვილი ქალაქების გარშემო.

ურბნისის ტერიტორიაზე გათხრილი მარნების მიხედვით საერთაშორისო, როგორც ლია, ისე დახურული მარნების არსებობა, ყოველ შემთხვევაში, რომელიმე აღნიშვნული ტაპის უარყოფა დამაჯერებელი არ იქნებოდა.

1959 წლის ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მდ. ფრანგიურის ხეობაში, ბოლნისის სიონის ჩრდილო-დასავლეთით, ღამის გორეზე, გათხრილი და შესწავლილი იქნა მარნი, რომელიც სამონასტრო კომპლექსთან უნდა იყოს დაკავშირებული. იგი დაწინაურებული აღმოჩნდა, შემონახული მხოლოდ სამი ქვევრი. თავდაპირულოდ ქვევრების რიცხვი აქ გაცილებით მეტი ყოფილი, რასაც ქვევრების ნატეხების სიმრავლე და ქვევრის ჩასადგმელად ამოთხრილი ორმოცხანები მოწმობს. ქვევრები სილანასევე იჩინისაგანაა დამზადებული, წითლადა გამომწვარი და გარედან სადა სარტყები შემოუყვებათ. აღნიშნული მარნი გამოვლენილი მასალების საფუძველზე VIII — IX ს. თარიღდება.

მარნები არა მარტო საცხოვრებელ ადგილებში, არამედ სახისარ მოვალ მღვიმეებშიც გვხვდება. ჩეხეთის XI საუკუნის II ნახევრის ქვაბთა შორის, იქ საზაც წყალი კონავდა, მოუწყვიათ დიდი ზომის წყალსაცავები, რომელშიაც უფრო გვიან ქვევრები ჩაუყრიათ და მარანი გაუმართავთ.<sup>53</sup>

1936—1937 წწ დმანისის ნაქალიარის გათხრების დროს გამოვლენილი და შესწავლილი იქნა ორი მარნი: პატარა და დიდი. პატარა მარნში 9, ხოლო დაზში 15 ქვევრი აღმოჩნდა. ყველა ქვევრი დაკირული იყო, თავზე ფილაქების სარქეელები ეხურაოთ და კარგად იყო შენახული. ქვევრების გარდა მარნში თონეც აღმოჩნდა, მომოვებული იყო სხვა ქურჭელიც. აღნიშნული მარნები, როგორც ამას ძეგლის გამოხრელი ვარაულობს, შენობის პირები სართულზე იყო მოთავსებული. დიდი მარნის აღმოსავლეთი კუთხეში თორჩნეა. ქვევრებს და თორჩნეს თოაბის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნახევარი უკირავს. მისი ჩრდილოეთ-დასავლეთი ნახევარი ცაიიელია და აქ მიწაში ამოღებული ორი ორმო აღმოჩნდა. მარნები მოპოვე-

53 გ. გ. ფ. ა. ნ. დ. ა შ ვ ი ლ ი, ლეონტი მროველის სახისარ მღვიმეებში, გვ. 2. „კომუნისტი“, 25/VI, 1958, № 143.

ბული მასალებითა და მონეტით კარგად თარიღდება XIII—XIV საუკუნეები  
მიწიტოლულითა და XIII საუკუნის დასაწყისით<sup>54</sup>.

იმ ნასახლარის თხრის დროს, რომელიც გარს ეკვრის კუნძულობრივი მარკების  
ხის ცნობილ ტაძარს, ფრიად მნიშვნელოვანი მასალები გამოვლინდა  
განეითარებული ფეოდალური ხანის შესასწავლიდა. ექვთხილი  
ნაგებობიდან ორი მარანიცაა აღსანებული: ისინი ცალკე მდგრად შე-  
ნობებს ით არ წარმოადგენ, არამედ კომპლექსების უშუალო ნაწი-  
ლებს, ორსახოთულიანი ნაგებობის ძირა სართულს. პირველ მარანში,  
რომელიც შედარებით პატარაა სასახლის მარანთან, 14 სხვადასხვა  
ზომის ქვევრი აღმოჩნდა. დიდი ქვევრების გვერდით გვევდება პა-  
ტარა დერები, რომელთა სიმაღლე 0,50 მ უდრის. როგორც ვა-  
რაუდობენ, კველანი საღვინედ არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული.  
შეორე მარანი სასახლის ძირა სართულს შეადგენს. მას გრძელი  
ოთხეუთხედის ფორმა აქვს, რომელშიც 16 სხვადასხვა ზომის  
ქვევრი აღმოჩნდა. ნაწილი ქვევრებისა დაკირულია. ორივე მარანში  
ქვევრებს ქვის სარქველი ეხურათ. სასახლის მარანში საწნახელი და  
ტკბილის აუზიც იქნა დაბატურებული. აღნიშნული მარნები განა-  
თხარი მასალების საშუალებით (რომელთა შორის მონეტაცა) XIII — XII სს თარიღდება<sup>55</sup>.

საყურადღებოა ნასოფლარ ბალდადში (ბოლნისის რაიონი, მდ.  
ფოლადაურის შენაკად რკინის წყლის (დემურ-სუს ზეობა) გათხრი-  
ლი საცხოვრებელი კომპლექსი, რომელშიც რამდენიმე სათავსო და  
მათ შორის მარანიც შედიოდა. მასში სამი დიდი ზომის ქვევრი იყო  
მოთავსებული. აქვე სხვა ქვევრებიც უნდა ყოფილიყო, რომლებიც  
მოვიანო ხანის მცხოვრებლებს ამოცულიათ, რასაც ქვევრების ნატი-  
ხებზ და მათთვის გათხრილი ორმოები მოწმობენ. გათხრილი კომ-  
პლექსი. მარნითურთ, მოპოვებული მასალების მიხედვით, XIII —  
XII სს თარიღდება<sup>56</sup>.

შეაფერდალური ხანის რუსთავის ნაქალაქარის გათხრების დროს

<sup>54</sup> ლ. მ ე ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ლმანის, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის  
აღწერა, შოთა რუსთაველის ეპოქის შეტერიალები კელტურა, თბილისი, 1938,  
გვ. 408—413, სერ. 57, 61; კ. ჭ ი ჭ ა რ ი ძ ე, ქართული კერამიკა (X) — XIII სს)  
თბილისი, 1956, გვ. 17.

<sup>55</sup> ლ. მ ე ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, გუდარები, თბილისი, 1954, გვ. 62—101,  
სერ. 34, 38, გვგმ. III, კ. ჭ ი ჭ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

<sup>56</sup> ი. გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1957 წ.  
შემანაბის ძირითადი შედეგები, ხელნაწერი, თბილისი, 1960 წ. გვ. 17—18.

აღმოჩენილი იქნა საყურადღებო მასალები. ექვემდებარებული შემოგვიანები საფრანგ დიდი სენაკებისაგან შედგება — მათი ფართოი საშუალოდ 50 — 60 კვ. მეტრს უდრის. ბევრ მათვანში შემოგვიანებული ისეთი სამცურნეო დანიშნულების მოწყობილობა, როგორმაც ჭავჭავაები, ქოცოვები, დერგები, მარცვლეულის შესანახი არმოები და ოორნეები, ერთ-ერთი შენობის (I თხრილში) ნანგრევთა შორის, შედარებით ძველ ფენაში, ნამდვილი მცირე მარნის ნაშენებიც აღმონიდა: 30-ოდე კვ. მეტრი ფართობის მქონე ოთახის ფარგლებში იყო 7 ქვევრის ძირი თუ უფრო დიდი ნაწილები<sup>57</sup>. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის ქვევრები ნაქალაქარის თხრის დროს. ერთ-ერთ ქვევრში აღმოჩნდა ნალექა, როგორც ანალიზში გამოიჩინა, იგი ღვინის ნაშთს წარმოადგენს. III თხრილის №3 ოთახში მდებარე ქვევრში აღმოჩენილი იყო უურძნის წილწებიც<sup>58</sup>. აღმოჩენილი ქვევრების მეტი წილი დაუკირავია. ქვევრების ნაწილი სადაა, ნაწილი კი სარტყელებითაა შემქული. ყველა ქვევრის წესირი, კვერცხისმაგვარი ფორმა აქვს, ზოგ შემთხვევაში შემორჩა ფილაქებისაგან ვაკეთებული სარქველებიც.

ვანეოთარებულ ფეოდალურ ხანს მიეკუთვნება ოეთრიწყაროს რაიონში, მდ. ჭიეკიფას მარჯვენა ნაპირზე მდებარე ნასოფლარი. იგი სამცურნერო ლიტერატურაში ცნობილია ნაკიცავების სახელით. ვათხრილია რამდენიმე საცხოვრებელი კომპლექსი. სხვა სამცურნეო დანიშნულების სათავსოებს შორის, ერთ-ერთი წამყვანი აღგილი მარნებსაც უკირავს.

1953 და 1956 წწ გათხრილ საცხოვრებელ კომპლექსებში აღმოჩენილი იქნა მარნები. ისინი ნაგებობათა უშეულო ნაწილებია, სათავსოებია, სადაც ქვევრები იყო ჩაყრილი. მათი რიცხვი 5-დან 9-დე აღწევს. ქვევრები პატარა ზომისა, დაყირულები იყო და ოვაზე ქვის სარქველები ეხურათ. ზოგიერთ მათვანში შემორჩენილი იყო ლვინისა და სხვა პროდუქტების ნარჩენებიც. გათხრილ მარნებში დადასტურდა ოორნეების არსებობა. 1956 წ. კომპლექსში შემავალ მარანთან ერთად გათხრილ იქნა ქვევრები ნაგებობის ეზოში, რომელიც ღია მარანი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული მარნები სა-

<sup>57</sup> გ. ლომთათიძე, დასახ, ნაშრ., გვ. 184 — 186, ტაბ. III, 4; V, 1, 2; VII, 1 — 4; III, 2.

<sup>58</sup> ლ. ჭიეკიფასი, ქალაქი რუსთავი, გვ. 168, 169.

ცოლის ნაგებობებთან ერთად მე-11 — მე-13 სს მიეკუთხა  
ნებათ.

ფოლადურის ხეობაში ნასოფლარ თაღის გათხრების ფულტონისა  
ერთი საცხოვრებელი კომპლექსი იქნა შესწავლილი. ძეგლი ორჯე-  
ნოვანი აღმოჩნდა. ქვედა ფენის ნასახლარი წარმოდგენილია დარ-  
ბაზის, საოთნისა და მარნის ნაშთებით, ზედა ფენის ნასახლარი  
საკუჭნოს, მარნისა და ერთმხრივ ოვალურებულიანი დიდი ნაგე-  
ბობის ნაშთებით. ქვედა ფენა, მოპოვებული მასალების მიხედვით,  
მე-12 მე-13 სს, ხოლო ზედა ფენა მე-16, მე-18 სს არის დათარიღუ-  
ბული<sup>50</sup>. აქ ერთ ნასოფლარში, ერთ და იმავე ადგილზე, ორი სხვადა-  
სხვა ჰერიონის კულტურული ფენია დადასტურებული და თითოე-  
ულ მათგანს საკუთარი მარანი ქვენია, რაც იმის ვარაუდის საშუა-  
ლებას იძლევა, რომ აქაური მცხოვრებნი მევენახეობას საუკუნეე-  
ბის მანძილზე მისდევდნენ და იყი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი  
ინტენსიური დარგი ყოფილა.

ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლია თავისი მარნებით, საწნახლებით,  
საქავავებით კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია. ამ ქალაქის ავება,  
როგორც ისტორიული წყარო გვაუშევს, გომევი III დაუშეყიდ-  
ა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მის შეიღს თამარს დაუმთავ-  
რება<sup>51</sup>. ამზიგად ვარძიის ქვაბული ქალაქის ძირითადი მშენებლობა  
მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში დასრულებულა, ხოლო მისი შე-  
კეთება, ზოგიერთი ახალი ქვაბის გამოკვეთა და გადაკეთება, მე-15  
საუკუნის შემდეგ დარღაუდება<sup>52</sup>.

ჩვენთვის აქამად საინტერესოა ქვაბული ქალაქის მეურნეობა  
და კერძოდ მელეინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ნასიათის  
ქვაბები, მათში მოთავსებული, ქვეცრები, საწნახლები, საქავავები.  
ქალაქის გაწმენდილ და დღემდე შესწავლილ ნაწილში 25 მარანია

<sup>50</sup> И. А. Гзелишвили, Селиша Тетрицкароцкого района. Сообще-  
ния АН Груз ССР т. XV, №5, Тб. 1954, გვ. 319; ი. გ დ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ნასო-  
ფლარ ნაკიევავებში, 1956 წ. ჩატარებული გათხრების შედეგები ხელნაშერი, 1956.

<sup>51</sup> ი. გ დ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ბოლნის არქეოლოგიური ექსპედიციის 1957 წ.  
მემორანის ძირითადი შედეგები, ხელნაშერი, 1960, გვ. 13—16.

<sup>52</sup> ი. სტორიანი და იზმანი შარავანდედ თანი, კ. კაცლიძის  
ვამცემა, თბილისი, 1941, გვ. 123.

<sup>53</sup> კ. მ ე ლ ი თ ა უ რ ი, ნ. შ ა ვ ი თ ა უ რ ი, ზ. ხ ა ნ თ ა დ კ, გ. ჭ ა მ-  
ს უ რ ი ა, ვარძია, გზამკელევი, თბილისი, 1955; კ. მ ე ლ ი თ ა უ რ ი, ვარძიას  
სამშენებლო-ხერთმოძღვრული შესწავლას საქათხები, თბილისი, 1961.

<sup>54</sup> გ ა ფ რ ი ხ ა ბ დ ა შ ვ ი ლ ი, ვარძიისა და მისი მოფამოების ქანები, თბი-  
ლისი, 1957; Ц. Габашвили, Вардзия, Путеводитель, Тбилиси, 1949; Г. Г ა-  
პრიაძე შვამი, მეცნიერებელი ვარძია, თბილისი, 1960.

ალტიცენული, რომელშიაც 185 მთელი ქვეპრი და ქვევრის ჩასვა  
მელი ორმოა დალგენილი<sup>63</sup>. ქვევრების რიცხვი მარანში 1-დან 18-  
მდე მერყეობს,<sup>64</sup> მაგრამ 195-ე გამოქვაბულში სულ ცოდნილი ქვევრების  
რი ყოფილა.<sup>65</sup> ქვევრებისათვის კლდეში საგანგებოდაა მოკვეთილი  
ორმოები. ყველა ქვევრი დაკირულია კირსნარით, ქვებითა და  
ჭურჭლის ნატეხებით<sup>66</sup>. ქვევრები სხვადასხვა, უმეტეს შემთხვევაში.  
დიდი ზომისა, გარედან შემოუყვებათ სადა საჩტყლები<sup>67</sup>.

მარნები უმთავრეს შემთხვევაში საცხოვრებელ კომპლექსებთან  
ეკვდება. როგორც არქიტექტორი კ. მელითაური აღნიშნავს, კომ-  
პლექსი სამი გამოქვაბულისაგან — დერეფნისა, დარბაზისა და სა-  
უნგისაგან — შედგება და ქმნის ერთ დამოუკიდებელ საცხოვრებელ  
ბინას. დარბაზის უკან, სიღრმეში მოთავსებულია მცირე, დაუდევ-  
რად გამოკვეთელი გამოქვაბული, რომელიც სასმელ-საჭმელის შე-  
სანახეად იყო განკუთვნილი და ქველად საუნჯე ეწოდებოდა.  
ბევრ საუნჯეში მე-14, მე-15 საუკუნეში დიდი საქვევრე ორმოები  
ამოუკრიათ და შიგ ქვევრები ჩაუდგამთ. რითაც შემდგომ ხანებში.  
მარნების გამართვა დასტურდება<sup>68</sup>. ნაწილი მარნებისა, რომლებიც  
საცხოვრებელ კომპლექსებთან არის დაკავშირებული, გ. გაფრინ-  
დაშვილსაც ამავე ხანისად მიაჩნია და მას ქვაბების გადაკეთებას  
უკავშირებს<sup>69</sup>.

აღსანიშნავია ვარძის მთავარი ეკლესის აღმოსავლეთით 1938  
წელს გაშენდილი მარანი, სადაც ერთ სათავსოში 13 ქვევრი აღმოჩნ-  
და. ქვიშა ქვის ბრტყელი სარქველებით თავდახურული (ტაბ. V, 5).  
ხოლო მეორეში მარტო ქვევრის ძირები შემოინახა<sup>70</sup>. აღმოსავლეთ

63 კ. მელითაური. 6. შოშიაშვილი. 7. ხანთაძე. გ. გამბეჭ-  
ბერია, ვაჩია, გვ. 76.

64 კ. მელითაური. 6. შოშიაშვილი. 7. ხანთაძე. გ. გამბ-  
ებერია, ვაჩია, გვ. 76.

65 კ. მელითაური. დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

66 კ. მელითაური. დასახ. ნაშრომი, გვ. 55; კ. მელითაური. ჩ.  
შოშიაშვილი. 7. ხანთაძე. გ. გამბეჭბერია, ვაჩია, გვ. 76, სურ. 30.  
Г. Гаприნდაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89, ფოტო 43.

67 კ. მელითაური. დასახ. ნაშრომი, სურ. 98, 99, 102.

68 კ. მელითაური. დასახ. ნაშრომი, გვ. 57 — 58; კ. მელითაური.  
6. შოშიაშვილი. 7. ხანთაძე. გ. გამბეჭბერია, ვაჩია გვ. 97.

69 გ. გაფრინდაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 89; გ. გაფრინდა-  
შვილი, ვაჩია, უცრალი „დროშა“ 1953 წ. №9.

70 ც. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69—70. სურ. 28; Г. გაფრინდ-  
აშვილი, პეშერნის ანსაბა, ვარდანი, გვ. 89. სურ. 26. ფოტო 45.

ნაწილში მოთავსებულია მეორე დიდი მარანი, რომელსაც ტრადიციის მიხედვით „სალინო“ ეწოდება. ამავე კომპლექსში, უკავშირდები ნაწილი ჩამონაგრეულია, სატრაბეზოს არსებობათ ნავარიულებაზე მოყვარეობა

ვარძის მარნებში შემონახული ქვევრებიდან, როგორც ეს კ-შელითაურს აქვს გამოთვლილი, უკელაზე მცირენი 59—88 და 106 ლიტრის ტევადობისაა, უკელაზე დიდი კი 1782 და 1003 ლიტრის ტევადობის. უმრავლესობა ქვევრებისა 336 ლ ტევადობისაა თოთოვეული. ყველა ქვევრის საერთო ტევადობა დაახლოებით 91 ათას ლიტრს შეადგენს. უნდა ილინიშნოს ის გარემოებაც, რომ ვარძიაში ღვინოს დერებშიც ინახავდნენ. ზოგჯერ ასეთი დერები, რომელთა სიმაღლე 1,00 მ უდრის, ქვედა ნაწილით კლფოვან იატაქში კირის ფულაბით მაგრდებოდა, რის მაგალითს 83-ე საუნჯ იძლევა<sup>71</sup>.

როგორც გამოანგარიშებიდან ჩანს, ვარძიაში არსებულ მარნებს, რომლებიც დღეისათვის არის ცნობილი, 9100 დეკალიტრი ღურინის მოთავსება შეეძლოთ. ამის შესატყვისი ჩანს ქვაბებში არსებული საწნახლები და საქაფავები, რომელთა არსებობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა მრავალრიცხოვანი მარნების არსებობა. საწნახლები და საქაფავები ცალკე ქვაბებშია მოთავსებული, მარნები კი ცალკე ყურძნის დაწურების შემდეგ. ტებილი მარნებში გაღამეშონდათ; სადაც ხდებოდა დაღულება და ღვინის დაყენება. საწნახლების მოცულობა, მათი გამოსავლიანობა გამოანგარიშებული არ არის, ხოლო რამდენიმე საწნახლისა და საქაფავის არსებობა მათი ინტენსიური გამოყენების ვარაუდს იძლევა. გამორიცხული არ უნდა იყოს ჭაქარის საწნახლების გამოყენება, რომელთა ნაწილი აღბათ უშუალოდ ეკუთვნოდა ვარძის ქვაბებში მცხოვრებთ.

ვენახის პლანტაციები, როგორც ამას კ. მელითაური ვარაუდობს, გამოქვაბულის წინ ფერდობშე უნდა ყოფილიყო გაშენებული<sup>72</sup>. სავარაუდოა, ვენახები მეფის მიერ შეწირულ სოფლებშიც იყო. ვენახის არსებობა ამ მიღამოებში, მარნების, საწნახლების, საქაფავებისა და ქვევრების გარდა, თვით შემორჩენილი ვაშითაცაა დადას-

71 ც. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69, სურ. 27; გ. გამრი-დაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88; ნაბ. 25 სურ. 42. კ. მელითაური, 6. შო-შიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯვარბურია. ვარძია, გვ. 104—105, სურ. 66; კ. მელითაური დასახ. ნაშრომი, გვ. 58, სურ. 82.

72 კ. მელითაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

73 კ. მელითაური, 6. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯვა-რბურია, ვარძია, გვ. 75.

ტურქებული. ვაზი ეხლაცაა ვარძიანი აღმართული სამრეკლოს გვა-  
ლობლად, წოლო ქაჭკარში საქმიოდ ლილი ძირებია. წერმაყებული  
დღესაც შესანიშნავ ყურძების ისხამს.

ვარძიის ქვაბთა ანსაბლს თავის დროზე შესანიშნავად მოწყო-  
ბილი მეურნეობა პქონდა. მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად,  
დაწინაურებული და ფრიად განვითარებული მევენახეობა-მეღვი-  
ნეობა ჩანს. ამ დარგს საგანვებო ყურადღება პქონია დათმობილი,  
ხოლო მეღვინეობას ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელო-  
ვანი აღილი უნდა სცეროდა.

მცირე ვათხრების შედევები მარანი (და საწინახელიც) აღმოჩე-  
ნილი იქნა იყალთაში. ვათხრების ადგილზე მოპოვებული მოკიქუ-  
ლი ქურქლის ნატეხები შეა საუკუნეების კერამიკას უკავშირდება<sup>74</sup>.

1961 წელს ორქეოლოგიური ექსპედიცია ვათხრებს აწარმოებდა  
„მთა ქართლზე“, რომელიც ბაგინეთის მთათა სისტემის უმაღლეს  
მწვერვალს წარმოადგენს და სადაც წმინდა ნინოს სახელზე აგებუ-  
ლია პატარა ერთნავიანი ეკლესია. ამ მთათა სისტემის ქართლის  
მთაც ქვია და იყი ძელ წერილობით წყაროებშიაც არის მოხსენე-  
ბული. ვათხრების შედევები მთის წევრზე, იქ. საღაც  
წმინდა ნინოს სახელზე ეკლესია აღმართული, მისგან სამხრეთით  
50-ოდე მეტრის დაშორებით, ჩრდილოეთ უბანზე გამოვლენილი  
იქნა ორი მარანი.

პირველ მარანში სულ 14 ქვევრი აღმოჩნდა (ტაბ. VI, 4), რომ-  
ებიც ორ რიგად იყო ჩამწერილებული ვალავნის კედლის სამხრეთი  
გვერდიდან 2, 5 მეტრის დაშორებით (სურ. 4). ქვევრები იმდენად  
ახლო იყო ჩაღმული ერთმანეთთან, რომ მათ გვერდებს შორის  
დაშორება ზოგჯერ 5 სმ არ აღმატებოდა. ერთი პატარა ქვევრი  
ჩაღმული აღმოჩნდა პირდაპირ ვალავნის კედლის გასწვრივ. აღმო-  
ჩენილ ქვევრებში სამი სახეობის ვარჩევა არის შესაძლებელი: 1.  
ქვევრები, რომლებსაც წესიერი კვერცხისმაგვარი მოყვანილობა  
აქვთ. მათ ფართე პარი, სქელი და გაბრტყელებული ქობა, დაბალი,  
თღნავ გამოყვანილი ყელი, წესიერად გამობერილი მეცელი და  
ბრტყელი ძირი აქვთ. ქვევრები ვარედან სადაა, მხოლოდ ერთ მათ-  
განს მხარს ზევით შემოსდევს გრეხილი სარტყელი. თიხა საქმიოდ  
უხეშადაა დამზადებული, მსხვილმარცლოვანია და რუხად არის  
გამომწვარი. ისინი საშუალო სიღილისაა, საშუალოდ 60 დეკალიტ-  
რამდე მოცულობისაა. 2. მეორე სახეობის ქვევრები თღნავ წაგრ-  
ძელებული მოყვანილობისაა, დანარჩენი ნიშნებით პირველი სახის  
ქვევრებს გვანან.

<sup>74</sup> 3. ფაფური კ. ქართული ერამიქა, გვ. 18.

ლოდ არი აღმოჩნდა. ამ სახის ქვევრს საშუალო სიფართის-პირზე გატეთ გადმოიეცილა და ვაბრტყელებული ფართვლი, მაღალი, კლინდრული ყელი, კერძოსმაგვარი მოყვანილობის ტერიტორიული ბრტყელი ძირი იქნა. ყელი მხრებიდან გამოყოფილია გზების გრძელებით სარტყლით, ხოლო გვერდებზე შემოსდევს ოდნავ შესამჩნევი სარტყლები. ამ ქვევრების თიხა სხვა ქვევრებთან შედარებით კარგი ნახელადია, კეცი წითლადაა გამომწვარი. თუ ფორმისა და თიხის ფაქტურის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი ამ მარანში აღმოჩენილ ქვევრებს შორის აღრეული ჩანს და უახლოედება არმაზულსა და ვარ-



სურ. 4. მარანი. მთა-ჭართლი (მცხეთა).

სიმაშვილის ეზოში აღმოჩენილ ქვევრებს, მსგავსია ურბნისის ქვევრებისაც. ყველა ქვევრი თავდახურული აღმოჩნდა ქვის ბრტყელი, მრგვალი და ოთხკუთხა ფილაქვით, არც ერთი მათგანი დაკრული არ ყოფილა. გათხრების დროს ქვევრების გარშემო აღმოჩენილი არ ყოფილა შენობის ნაშთის კვალი. ამდენად იგი ღია ტიპის მარანი უნდა ყოფილიყო. შეიძლება ვითიქროთ, აღნიშნული მარანი ზემოდან იყო გადახურული, საყრდენად ჩრდილოეთის მხრიდან გამოყენებული იყო გალავნის კედელი, სამხრეთით კი, ხის ბოძები მარანის საერთო საშუალო ტევაღობა 900 — 980 დეკალიტრს შეადგენდა.

იმავე ჩრდილოეთის უბანზე, პირველი მარნიდან 10-ოზე რენტის დაშორებით, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, აღმოჩნდა მეორე მარანი, რომელშიც ოთხი საშუალო ჟამის გამოვლინდა. მათ თავი დახურული ქონდათ ქვეიტუჭმა-ფრილუება ბით. აյ აღმოჩნდილი ქვევრები პირველი მარნის პირველი და მესამე სახის ქვევრების მსგავსია. ქვევრები დაუკირავად ყოფილა ჩაფლული. ორივე მარნის ქვევრები სალვინედ ჩანს გამოყენებული. ეტუბა ხანგრძლივა რეცხვის კვალიც.

